

სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

2019

ანგარიში მომზადებულია სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის - „თანადგომა“ ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ორგანიზაციის პოზიციად.

ავტორები: თამარ გაგნიაშვილი, ხატია ლომიძე
მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი: მარიამ ცუცქირიძე

სარჩევი

სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

შესავალი 6

მეთოდოლოგია 8

თავი 1. მედიამონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი 11

1.1 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ზოგადი მიმოხილვა 11

1.2 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში 15

მედია პროფილი - აჭარის ტელევიზია 23

მედია პროფილი - ტვ იმედი 24

მედია პროფილი - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი 25

მედია პროფილი - რუსთავი 2 26

მედია პროფილი - ტვ პირველი 27

1.3 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება რადიოებში 28

1.4 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში 35

1.5 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში 41

1.6 ორგანიზაცია „თანადგომა“ სქესობრივი განათლების გაშუქებისას 47

თავი 2. მედია მონიტორინგის შედეგების თვისებრივი ანალიზი 48

2.1 სქესობრივი განათლების საკითხები ტელევიზიებში - თვისებრივი ანალიზი 48

2.2 სქესობრივი განათლების საკითხები რადიოში - თვისებრივი ანალიზი 54

2.3 სქესობრივი განათლების საკითხები ონლაინ მედიაში - თვისებრივი ანალიზი 56

2.4 სქესობრივი განათლების საკითხები ბეჭდური მედიაში- თვისებრივი ანალიზი 62

2.5 დეზინფორმაცია გაზეთ „ასავალ-დასავალში“ 66

დასკვნა და ძირითადი მიგნებები 72

როგორ შევიტანოთ სქესობრივი განათლების საკითხები მედიის დღის წესრიგში: პრაქტიკული გზამკვლევი და რეკომენდაციები 77

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 82

მონიტორინგის სუბიექტი მედიასაშუალებების არქივი 83

დანართი 88

დიაგრამების ჩამონათვალი 88

ცხრილების ჩამონათვალი 89

შესავალი

სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხი საქართველოში ბოლო წლებია აქტუალურია. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ქვეყანამ საკუთარ თავზე გარკვეული ვალდებულებები აიღო, მათ შორის სხვა საკითხებთან ერთად სქესობრივი განათლების კურიკულუმში დამატება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების პრეზენტაცია გამართა, რომლის მიზანი საზოგადოებრივი მეცნიერებების ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის განახლებული სტანდარტის განხილვა იყო. 2016-2017 სასწავლო წლიდან საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების გაძლიერება და დაწყებით საფეხურზე (III და IV კლასებში) დამოუკიდებელი საგნის სწავლება სახელწოდებით „მე და საზოგადოება“ დაიგეგმა, თუმცა, 2016 წელს მისი საპილოტე სწავლება გადაიდო. ამავე წელს უკვე ახალი 2017-2023 წლებზე გათვლილი ეროვნული სასწავლო გეგმები დამტკიცდა, მასში “მე და საზოგადოება” ისევ მოხვდა. სწორედ ამ საგნის გამო უპირისპირდებოდა სამინისტროს საზოგადოების გარკვეული ნაწილი სასულიერო პირების ჩათვლით. სკოლებში ახალი საგნის სწავლება საპილოტე რეჟიმში 2017 წლის სექტემბრიდან დაიწყო, ხოლო 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მისი სწავლება 2018-2019 სასწავლო წლიდან III-IV კლასებში დაინერგა, გრიფი მიენიჭა დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოსაც. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაბამისი ინფორმაცია ინტეგრირებულია სხვა სასკოლო საგნებშიც, მათ შორისაა: „ბუნება“, „ბიოლოგია“, „სამოქალაქო განათლება“.

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ნაკლებობა ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში განათლების სისტემის ერთ-ერთი კრიტიკულ გამოწვევად მიაჩნია საქართველოს სახალხო დამცველს. 2019 წლის დოკუმენტში „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება“ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, საუბარია მის მნიშვნელობაზეც: „ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლება ფუნდამენტურ როლს თამაშობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში“. ქვეყანაში სქესობრივი განათლების კუთხით პრობლემების არსებობას მოწმობს ამავე წლის (2019) მეორე ანგარიშიც: „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება ძირითადი მიგნებები“. ორივე მათგანი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანამშრომლობით ჩატარდა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად არსებობს საქართველოს მთავრობის სამოქმედო დოკუმენტი -“საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია”. 2017-2019 წლებში მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა 2017 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცდა.

სქესობრივი განათლების სწავლება პრიორიტეტულია საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომისთვის“. ორგანიზაცია საქართველოში 2000 წლიდან მუშაობს. მისი საქმიანობის ძირითადი სფერო რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებებია. ცენტრის მისია საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. სქესობრივი განათლების კუთხით, „თანადგომამ“ ჯერ კიდევ 2010 წელს გამოაქვეყნა სქესობრივი აღზრდის საკითხებზე X-XI კლასის მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მათ მშობლებში ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის შედეგები. 2016 წელს კი - ანგარიში - „საგანი „მე და საზოგადოება“ - სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და საჭიროებები“. 2019 წელს უკვე გამოქვეყნდა „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქება ქართულ მედიაში“. კვლევის თანახმად, 2018 წელს სქესობრივ განათლებას მედიაში საკვლევ საკითხებს შორის ყველაზე ნაკლები დრო დაეთმო და ის ძირითადად ნეიტრალურად იყო გაშუქებული. "თანადგომა" აგრძელებს ამ საკითხებზე მუშაობს და მას მომავალი აქტივობების დასაგეგმად სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ცოდნა სჭირდება.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს არაერთი კვლევაა ჩატარებული, თუმცა, მათგან განსხვავებით წინამდებარე კვლევა პირველია, რომელიც მედიის მიერ უშუალოდ სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებას ეხება. ამ პროცესში მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, სწორი ინფორმაციის მიწოდების, გამოცდილების გაზიარებისა და მიმღებლობის გაზრდის შესაძლებლობის გამო.

აღნიშნული მედია მონიტორინგის ანგარიში 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალი ნაწილის შემდეგ წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, პირველ ნაწილში - მედია მონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი, მეორეში - თვისებრივი ანალიზი, ბოლოს კი დასკვნა და მედია მკვლევართა რეკომენდაციები.

2019 წელს ქართულ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით განხორციელდა მედია მონიტორინგი, რომელიც 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა. წინამდებარე კვლევაში კომბინირებული სახით გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები, ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, არამედ ისეთი შინაარსობრივი მახასიათებლების შესწავლაც როგორიცაა: ჟურნალისტისა ან/და რესპონდენტის ნარატივი და მესიჯ-ბოქსი. უფრო კონკრეტულად კი დაკვირვების საგანს წარმოადგენდა **გაშუქების:**

- **სიხშირე და პერიოდულობა**
- **ტიპი და ფორმატი**
- **ტონი** (ნეგატიური, ნეიტრალური,პოზიტიური)
- **წყარო** (რესპონდენტთა პროფესია, სფერო)
- **გენდერული ბალანსი**
- **დისკრიმინაციის ან/და სიძულვილის ენის გამოყენება**
- **დეზინფორმაცია**
- **ტერმინოლოგია**
- **ჟურნალისტის მიერ გამოყენებული რესურსები**
- **ორგანიზაცია „თანადგომა“ სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას**

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მონიტორინგის სუბიექტების განსაზღვრისას მთავარი ფაქტორი იყო ისეთი მედიების შერჩევა, რომლებიც საკვლევი წლის (2019) განმავლობაში სტაბილურად ფუნქციონირებდნენ, ჰქონდათ მაღალი რეიტინგი და ხელმისაწვდომი იყო მათი საარქივო მასალები. ამის გათვალისწინებით, კვლევაში მოხვდა სულ **29 მედია სუბიექტი: 5 ტელევიზია, 4 რადიო, 10 ონლაინ მედიასაშუალება, 7 გაზეთი და 3 ჟურნალი.**

მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიები შეირჩა რეიტინგების მთვლელი კომპანია TVMR.GE-ს 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (იხ. დიაგრამა N1).



წლის განმავლობაში ყველაზე რეიტინგული არხების ათეულში პოზიციები უმნიშვნელოდ იცვლებოდა, თუმცა, მათგან 5 ტელევიზია შეირჩა რეიტინგთან ერთად ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა არქივის ხელმისაწვდომობა და არხზე დილის, შუადღის, საინფორმაციო, თოქ-შოუ და სამედიცინო პროფილის გადაცემების არსებობა. ამ კრიტერიუმებით, მ**ონიტორინგში მოხვდა შემდეგი არხები და გადაცემები:**

- **საზოგადოებრივი მაუწყებელი -** "ახალი დღე", "ნაშუადღევს", "პირადი ექიმი - მარი მალაზონია", "რეალური სივრცე", "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად", "მოამბე", "ახალი კვირა"

- **რუსთავი 2 -** "დილამშვიდობისა საქართველო", "სხვა შუადღე", "შაბათის შუადღე", "კვირის შუადღე", "მთავარი ექიმი", "არჩევანი", "კურიერი", "შაბათის კურიერი", "P.S"

- **ტვ იმედი -** "იმედის დილა", "იმედის დღე", "ექიმები", "პირისპირ", "ქრონიკა", "შაბათის ქრონიკა", "იმედის კვირა"

- **აჭარის ტელევიზია -** "დილის ტალღა", "რადიოვიზია", "ჰეშთეგი", "იმპულსი", "სათქმელი", "მთავარი", "კვირის მთავარი"

- **ტვ პირველი -** "დღის ამბები", "პირველამდე - ნინო არაზაშვილთან ერთად", "რეაქცია", "ღამის ამბები"

- ტელევიზიებთან ერთად მედია **მონიტორინგისთვის ასევე შეირჩა 4 რადიო და მათი გადაცემები:**

- **საზოგადოებრივი რადიო -** "პიკის საათი" , "სახლისკენ", "ჩვენი სკოლა", "ღია სტუდია"

- **რადიო იმედი -** "დილის არხი", "დღის არხი", საღამოს არხი", "მე დედა ვარ", "ჩვენ აქ ვართ"

- **რადიო თავისუფლება -** "დილის საუბრები", "საღამოს თავისუფლება", "პოდკასტები"

- **რადიო ფორტუნა -** "პულსი", "7 რჩევა ფსიქოლოგისგან**"**

რაც შეეხება მონიტორინგის სუბიექტ ონლაინ მედიასაშუალებებს, ისინი შერჩეულია ერთმანეთისგან განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკისა და ფორმატის მიხედვით. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია რეიტინგების პორტალ TOP.GE-ს 2019 წლის მაჩვენებლები, საიდანაც მსგავსი მონაცემების სააგენტოების განხილვისას უპირატესობა მიენიჭა რუბრიკის "განათლება" მქონე ვებ-გვერდებს. მათ შორის პრინციპულად შეირჩა - EDU.ARIS.GE, რომელიც მხოლოდ განათლების საკითხებს აშუქებს და ამ კუთხით ერთადერთი სააგენტოა საქართველოში. დანარჩენი 9 ონლაინ მედიის ჩამონათვალი კი ასეთია: NETGAZETI.GE, INTERPRESNEWS.GE, GHN.GE, NEWPOSTS.GE, AMBEBI.GE, MSHOBLEBI.GE, RADIOTAVISUPLEBA.GE, IPRESS.GE, SAQINFORM.GE

ბეჭდური მედია საშუალებები კი ტირაჟისა და განსხვავებული პროფილის მიხედვით შეირჩა. მათგან მონიტორინგში ძირითადად ყველა ის ჟურნალ-გაზეთი მოხვდა, რომელიც საქართველოში უკანასკნელი ათეული წლებია გამოიცემა. ესენია როგორც ყოველდღიური, ასევე ყოველკვირეული და ყოველთვიური გამოცემები, ჯამში 7 გაზეთი და 3 ჟურნალი:

- **ახალი განათლება** (როგორც განათლების საკითხების გაშუქებაზე ორიენტირებული გაზეთი) - გამოდის თვეში ერთხელ
- **ალია -** ყოველკვირეული
- **ასავალ-დასავალი -** ყოველკვირეული
- **კვირის პალიტრა -** ყოველკვირეული
- **ახალი თაობა -** ყოველდღიური
- **რეზონანსი -** ყოველდღიური
- **სარკე -** ყოველკვირეული
- **თბილისელები -** ყოველკვირეული
- **ოჯახის მკურნალი -** გამოდის თვეში ერთხელ

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე კვლევა ეყრდნობა 2019 წლის მედიის საარქივო მასალებს, მისი მთავარი შეზღუდვა სწორედ არქივის გამართულობასთან დაკავშირებული ხარვეზებია. ეს შეზღუდვა ეხება მონიტორინგის 4 სუბიექტს - საზოგადოებრივ რადიოს, რადიო იმედს, ტვ პირველს და აჭარის ტელევიზიას. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სუბიექტების საარქივო მასალების მონიტორინგი განხორციელდა მათი ვებ-გვერდების, "ფეისბუქ-გვერდებისა" (Facebook page) და "იუთუბ არხების" (youtube channel) გამოყენებით, მათი გაუმართაობის ან/და მათზე მასალების სპეციფიკური პრინციპით განთავსების გამო, მონიტორინგში ვერ მოხვდა წლის ყველა ჩანაწერი. კერძოდ, "საზოგადოებრივი რადიოს" შემთხვევაში ეს იყო "საინფორმაციო გადაცემა", რომლის არქივსაც აღნიშნული სუბიექტი არ ინახავს, "რადიო იმედს" არ აქვს ერთ სივრცეში თავმოყრილი ყველა გადაცემა, "აჭარის ტელევიზიის" გადაცემა "დილის ტალღა" ხელმისაწვდომი არ არის ვებ-გვერდზე არსებულ საარქივო მასალებში, "ფეისბუქ-გვერდი" (Facebook page) "დილის ტალღა/Dilis Talga" კი ტექნიკური პრობლემების გამო რამდენჯერმე ხელახლა შექმნეს და მასზე 2019 წლის ყველა მასალა არ არის განთავსებული, რაც შეეხება "ტვ პირველს", ვებ-გვერდზე არ დევს არქივი და მონიტორინგში მოხვდა მხოლოდ 2019 წელს "ფეისბუქ-გვერდზე" (Facebook page) "TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი" და "იუთუბ არხზე" (youtube channel) "TV Pirveli" განთავსებული მასალები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული შეზღუდვის მასშტაბი არ არის ისეთი მოცულობის, რომ მნიშვნელოვანი დანაკლისი მიაყენოს საერთო მაჩვენებლებს. საუბარია, კონკრეტულ თარიღებში გამოტოვებულ გადაცემებზე.

თავი 1. მედიამონიტორინგის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი

1.1 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ზოგადი მიმოხილვა

2019 წელს კვლევისთვის შერჩეულმა მედიასაშუალებებმა სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ჯამში 170 მასალა მოამზადეს. მათგან ყველაზე მეტი (80) ონლაინ მედიამ გამოაქვეყნა, ყველაზე ცოტა რადიოს ეთერში მოხვდა (19), მასზე ოდნავ მეტი ბეჭდურ მედიაში დაიბეჭდა (21), დარჩენილი 50 მედიაპროდუქტი კი ტელევიზიის ეთერში გავიდა (იხ. დიაგრამა N2).



დიაგრამა N2 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში

სამონიტორინგო წლის განმავლობაში კვლევის საკითხები განსხვავებული ინტენსივობით შუქდებოდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მედიებმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ თემებს ყურადღება ყველა თვეში დაუთმეს. თებერვალი-ივნისი კი ის პერიოდია, როდესაც გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (128), მარტში კი მან პიკს მიაღწია. კვლევის სუბიექტებმა ამ თვეში ყველაზე მეტი (53) მასალა მოამზადეს. ეს ტენდენცია ბეჭდური მედიის გარდა სხვაგან ყველგან გვხვდება. შემოდგომით გაშუქების დონემ კვლავ მოიმატა, თუმცა, უმნიშვნელოდ. თებერვლიდან ქართულ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გააქტიურება საკანონმდებლო ორგანოში „ბავშვის უფლებათა კოდექსზე“ მსჯელობის დაწყებას უკავშირდება. მარტში კი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, სოფო კილაძე სქესობრივ აღზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ დისკუსიის მედიაში გადატანამ კი სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია. შემოდგომით საკვლევი თემის გააქტიურება კი ახალი სასწავლო წლის დაწყებასა და დაგეგმილ სიახლეებს უკავშირდება (იხ. დიაგრამა N3).



დიაგრამა N3 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების და სიხშირე პერიოდულობა

კვლევის პერიოდში სქესობრივი განათლების საკითხებს სამონიტორინგო მედიასაშუალებები უფრო მეტ დროს ირიბი გაშუქებისას უთმობდნენ, ვიდრე მათ პირდაპირ აშუქებდნენ. ჯამურად გაშუქების 170 შემთხვევიდან 97 ირიბია, 73 კი - პირდაპირი. ბეჭდური მედია ერთადერთი იყო, სადაც პირდაპირი გაშუქება ირიბზე მეტია (1-ით). ონლაინ მედიაში მათი რაოდენობა თანაბარია, ტელევიზიასა და რადიოში ირიბი გაშუქების მაჩვენებელი პირდაპირს აღემატებოდა (იხ. დიაგრამა N4).



დიაგრამა N4 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი

სქესობრივი განათლების საკითხები 2019 წელს ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდა (117). მათ პოზიტიურ გაშუქებას 38 მასალა დაეთმო, 15 შემთხვევაში კი საკვლევი თემა ნეგატიურ ტონით იყო გაშუქებული. ყველაზე მეტი პოზიტიური მედიაპროდუქტი (17) ტელევიზიების ეთერში მოხვდა, ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ონლაინ მედიას ეკუთვნის. მონიტორინგის სუბიექტებს შორის რადიო ერთადერთია, სადაც ნეგატიური გაშუქების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ტელევიზიაში მხოლოდ 1 მაგალითი შეგვხვდა. ნეგატიური მასალების სიმრავლით კი ბეჭდური მედია გამოირჩეოდა (8). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში ნეგატიური მასალების რაოდენობა პოზიტიურისას აჭარბებდა (იხ. დიაგრამა N5).



დიაგრამა N5- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი კვლევის სუბიექტებში

სამონიტორინგო მედიასაშუალებები სქესობრივი განათლების საკითხებს განსხვავებული წყაროების დახმარებითა თუ მათთან ერთად მსჯელობით განიხილავდნენ. 2019 წელს მათ მიერ გამოყენებული წყაროები წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიებად დაჯგუფდა. აღმოჩნდა, რომ მედია კვლევის საკითხებზე მსჯელობისთვის ყველაზე ხშირად საზოგადოების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, ფსიქოლოგებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავდა. რესპონდენტებს შორის ასევე გვხვდებოდნენ: სფეროს ექსპერტები, განათლების სამინისტრო, ექიმი, მასწავლებელი, მოსწავლე, სახალხო დამცველის ოფისი და სხვ. წყაროების საერთო რაოდენობამ 338 შეადგინა. მათი უმრავლესობა ტელევიზიებსა (166) და ონლაინ მედიაში (122) გვხვდება. რადიოსა და ბეჭდურ მედიაში კი 25-25 წყარო გამოიკვეთა.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო მედიის მიერ სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისთვის შერჩეული რესპონდენტების სქესიც, იმ შემთხვევებში სადაც მათი იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო. შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევის საკითხებს უფრო ხშირად ქალები განიხილავდნენ, ვიდრე კაცები. 309 რესპონდენტიდან 214 ქალი და 95 კაცი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტენდენცია ყველა სახის მედიაში გვხვდება და ყველგან კაცებს ქალები სჭარბობდნენ (იხ. დიაგრამა N6).



დიაგრამა N6 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი კვლევის სუბიექტებში

აღსანიშნავია, რომ სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების 73 შემთხვევიდან მედიამ რესპონდენტებს შორის სქესობრივი ბალანსი მხოლოდ 17 შემთხვევაში დაიცვა. ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს მაჩვენებელი ბეჭდურ მედიასა და რადიოს არ ეხება. გენდერული ბალანსი მხოლოდ ტელევიზიასა და ონლაინ მედიაში იყო დაცული. ამასთან, ტელევიზიებში ყველაზე მეტი - 12 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც მის საპირისპირო მაჩვენებელზე ორჯერ მეტია. ონლაინ მედიამ კი პირდაპირი გაშუქების 40 შემთხვევიდან ბალანსი მხოლოდ 5-ში დაიცვა (იხ. დიაგრამა N7).



დიაგრამა N7 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების გენდერული ბალანსი კვლევის სუბიექტებში

კვლევის პერიოდში სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მომზადებული მასალები ოთხ ქვეკატეგორიაში დაჯგუფდა. ესენია: “სქესობრივი განათლების საჭიროება”, “სქესობრივი განათლება სკოლაში”, “პროტესტი სქესობრივ განათლებას” და “საკანონმდებლო ცვლილება”. ამ კატეგორიებიდან ყველაზე მეტი მასალა სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადდა (68), ყველაზე ცოტა კი სქესობრივი განათლების პროტესტს შეეხებოდა (23). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეკატეგორიისთვის რადიოს ეთერი საერთოდ არ დაუთმია, რაც გამონაკლისია. ყველა კატეგორიის ყველაზე მეტი მასალა ონლაინ მედიაში გამოქვეყნდა. ბეჭდური მედიის გარდა, ტენდენციაა ისიც, რომ ყველა მედიაში ქვეკატეგორიები მასალების რაოდენობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით დალაგდა: “სქესობრივი განათლების საჭიროება”, სქესობრივი განათლება სკოლაში”, “საკანონმდებლო ცვლილება” და “პროტესტი სქესობრივ განათლებას”. ამასთან, ონლაინ მედიაში ბოლო ორი კატეგორიის მაჩვენებელი თანაბარია. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, მასში ყველაზე ნაკლები მასალა სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ მომზადდა, შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებაზე, ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობის კი - სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებასა და პროტესტზე (იხ. დიაგრამა N8).



დიაგრამა N8 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში

კვლევის დროს ყურადღება გამახვილდა სქესობრივი განათლების საკითხებთან დაკავშირებით გამოყენებულ ტერმინოლოგიაზეც. აღმოჩნდა, რომ სამონიტორინგო მედიაში კვლევის საკითხებს ყველაზე ხშირად შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებდნენ: “სექსუალური განათლება”, “სქესობრივი აღზრდა”, “სქესობრივი განათლება” და “სექსუალური აღზრდა”. ხშირად გვხვდება რეპროდუქციულ განათლებასთან და ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული ვარიანტები.

1.2 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში

2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მონიტორინგის სუბიექტ 5 ტელევიზიაში სულ 50 მასალა გავიდა. მათგან ყველაზე მეტი (14) - აჭარის ტელევიზიაში. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ტვ იმედმა აღნიშნულ საკითხებზე 12-12 მასალა მოამზადეს, რუსთავი 2-მა - 8, ტვ პირველმა კი - 4 (იხ. დიაგრამა N9).



დიაგრამა N9 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში

სხვა თვეებთან შედარებით სქესობრივი განათლების საკითხები ყველაზე ხშირად მარტისა და აპრილის თვეებში შუქდებოდა. ტელევიზიებმა ყველაზე მეტი მასალა სწორედ ამ თვეებში მოამზადეს, რაც პირდაპირ კავშირშია ამავე პერიოდში საკანონმდებლო ორგანოში „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ განხილვებთან. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების მიერ ინიცირებული ეს კოდექსი ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს ეხება, როგორიცაა: ბავშვის კეთილდღეობა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, განვითარება, განათლება და სხვ. განათლების ხელმისაწვდომობაზე საუბრისას სოფო კილაძემ განაცხადა, რომ მშობლების თანხმობის შემთხვევაში, ბავშვები სქესობრივი განათლების სკოლაში მიღებას შეძლებდნენ და პროცესში ჩართვა სასულიერო პირებსაც შეეძლებოდათ, რასაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ტელევიზიებშიც ეს თემა სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდა (იხ. დიაგრამა N10). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ტელევიზიამ თემა - მაისში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი - ივნისის თვეში საკუთარი ინიციატივით მიმდინარე მოვლენებთან კავშირის გარეშე გააშუქეს.



დიაგრამა N10 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ტელევიზიებში

გაშუქების პერიოდულობის გარდა, კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო იმის დადგენაც, თუ რა ტიპის გადაცემები ეთმობოდა სქესობრივი განათლების საკითხებს. როგორც აღმოჩნდა, მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიები ყველაზე ხშირად ჩვენს საკვლევ თემას დროს შუადღის გადაცემებში უთმობდნენ. 50 მასალიდან 20 სწორედ შუადღის გადაცემა იყო, 9 - საინფორმაციო, 8 - სპეციალიზირებული ანუ სამედიცინო ტიპის, 7 - თოქ-შოუ და 6 - დილის გადაცემა (იხ. დიაგრამა N11). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თემა საერთოდ ვერ მოხვდა აჭარის ტელევიზიისა და ტვ იმედის თოქ-შოუში, საზოგადოებრივი მაუწყებლის - დილის გადაცემაში, რუსთავი 2-ის - სამედიცინო ტიპის გადაცემაში და ტვ პირველის - საინფორმაციოში. სპეციალიზირებული სამედიცინო პროფილის პროგრამა ამ არხს საერთოდ არ ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი გადაცემა „სხვა შუადღეში“.მასალა სქესობრივი განათლების საკითხებზე სხვა არხების გადაცემებთან შედარებით, აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ჰეშთეგმა“ მოამზადა (8 მასალა). თითოეული არხის გადაცემების შედარებისას კი აღმოჩნდა, რომ ტვ იმედზე ყველაზე მეტჯერ საკვლევი საკითხები შუადღის გადაცემა „იმედის დღეში“ გაშუქდა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე - თოქ-შოუში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“, რუსთავი 2-ზე კი - შუადღის



დიაგრამა N11- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება გადაცემების ტიპის მიხედვით

მონიტორინგის შედეგების უკეთ გაანალიზებისა და აღქმის მიზნით, სქესობრივი განათლების საკითხები თემატურად დაყოფილი იყო 4 კატეგორიად. ესენია: “სქესობრივი განათლების საჭიროება”, “სქესობრივი განათლება სკოლაში”, “საკანონმდებლო ცვლილება” და “პროტესტი სქესობრივ განათლებას”. ამათგან ყველაზე მეტი მასალა (28) სქესობრივი განათლების საჭიროებას ეხებოდა და მასზე საინფორმაციო გამოშვების გარდა ყველა ტიპის გადაცემაში საუბრობდნენ. აქტუალური იყო ასევე სქესობრივი განათლების სკოლაში შეტანის საკითხიც (იხ. ცხრილი N1).

სქესობრივი განათლების საჭიროება	28
სქესობრივი განათლება სკოლაში	16
საკანონმდებლო ცვლილება	5
პროტესტი სქესობრივ განათლებას	3

ცხრილი N1 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში

რაც შეეხება გაშუქების ფორმატს, 2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების ზემოთ აღნიშნულ საკითხებს ტელევიზიები უმეტესად გადაცემის ბლოკს უთმობდნენ. მათი მასალების 46% სწორედ ასეთია. თემა ასევე შუქდებოდა მთლიანი გადაცემისა და სიუჟეტის სახითაც. საინტერესოა ისიც, რომ ეს საკითხები დიდი ქრონომეტრაჟით შუქდებოდა და მათი კადრ-სინქრონის ან გადაფარვის ფორმატით განხილვის მხოლოდ ერთეული ფაქტები გამოვლინდა (იხ. დიაგრამა N12). მაგალითად, აჭარის ტელევიზიას და რუსთავი 2-ს საკვლევი თემა ამ ფორმატით საერთოდ არ გაუშუქებიათ. ტვ იმედს არცერთხელ არ დაუთმია თემის განხილვისთვის მთლიანი გადაცემა, ტვ პირველს კი პირიქით - არცერთი სიუჟეტი, გადაფარვა და კადრ-სინქრონი არ მოუმზადებია და თემას მხოლოდ გადაცემაში ან მის რომელიმე ბლოკში განიხილავდნენ.



დიაგრამა N12 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმატი ტელევიზიებში

მედია მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო იმის დადგენაც, სქესობრივი განათლების საკითხებს ტელევიზიები პირდაპირ აშუქებდნენ თუ ირიბად. შედეგები აჩვენებს, რომ თემა უმეტესად ირიბად შუქდებოდა. 50 მასალიდან 32 ირიბი გაშუქებაა, ხოლო 18 - პირდაპირი. ამ მხრივ საინტერესო განსხვავებაა ტელევიზიებს შორის, ვინაიდან აჭარის ტელევიზია თემას უმეტესად პირდაპირ აშუქებდა, ტვ იმედი, ტვ პირველი და საზოგადოებრივი მაუწყებელი - ირიბად, ხოლო რუსთავი 2-ზე პირდაპირი და ირიბი გაშუქების თანაბარი (4-4) მაჩვენებელი დაფიქსირდა. გაშუქების ტიპთან ერთად უნდა აღინიშნოს გაშუქებული მასალების ტონიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური იყო (იხ. დიაგრამა N13).



დიაგრამა N13 -სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ტელევიზიებში

თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა ირიბი და პირდაპირი გაშუქების შემთხვევებში ტონის შედარებისას. პირდაპირი გაშუქებისას ტელევიზიები სქესობრივი განათლების საკითხებს უმეტესად პოზიტიურად აშუქებდნენ მაშინ, როდესაც ირიბი გაშუქებისას ტონი თითქმის ყოველთვის ნეიტრალური იყო (28 მასალა). ამასთანავე, თემა ნეგატიურ ტონში მხოლოდ ერთხელ ირიბად განიხილეს, პირდაპირი გაშუქებისას კი ნეგატიური ტონი არცერთ მასალაში არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა N14). თითოეული ტელევიზიის ტონის გაანალიზებისას, აღმოჩნდა, რომ პოზიტიურად თემა ყველაზე მეტჯერ (7) აჭარის ტელევიზიამ გააშუქა, ნეიტრალურად კი - ტვ იმედმა (10). ნეგატიური გაშუქების ფაქტი მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაფიქსირდა, ტვ პირველი კი მას მხოლოდ ნეიტრალურ ტონში აშუქებდა.



დიაგრამა N14- სქესობრივი განათლების საკითხების ტონი პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას

განურჩევლად იმისა გაშუქება პირდაპირი იყო თუ ირიბი, 5 ტელევიზიაში გასული 50 მასალიდან ჯამში გამოიკვეთა 166 წყარო. მათგან 143 - პირდა-პირი და 43 - ირიბი. სქესობრივი განათლების თემებზე ტელევიზიებში უმე-ტესად: საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ფსიქოლოგები, პოლიტიკოსები, სფეროს ექსპერტები, მოსწავლეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექიმები და მასწავლებლები საუბრობდნენ. საკითხების

პირდაპირი გაშუქებისას მედიის წყარო ძირითადად საზოგადოება იყო, ირიბი გაშუქებისას კი საკითხს ყველაზე ბევრჯერ თავად ჟურნალისტები განიხილავდნენ (იხ.დიაგრამა N15).



დიაგრამა N15 - ტელევიზიების ინფორმაციის წყარო სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

ინფორმაციის წყაროთა უმრავლესობა სქესობრივი განათლების საჭიროებასა (91) და მის სკოლაში სწავლებაზე (58) საუბრობდა. ამასთანავე, პირდაპირი გაშუქებისას ამ ორ ქვეკატეგორიაზე ყველაზე მეტად საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები საუბრობდნენ. სქესობრივი განათლების საჭიროების განხილვისას ტელევიზიების წყარო არცერთხელ არ ყოფილა პოლიტიკოსი, სასულიერო პირი და განათლების სამინისტროს წარმომადგენელი. აღსანიშნავია ისიც, რომ სასულიერო პირი წყარო მხოლოდ სქესობრივი განათლების სკოლაში შეტანის საკითხზე და საკანონმდებლო ცვლილებაზე საუბრისას იყო. ფსიქოლოგები მედიაში ორივე ტიპის გაშუქებისას უმეტესად სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ საუბრობდნენ, ისევე როგორც სფეროს ექსპერტები. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები ინფორმაციის წყარო იყვნენ სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხზე როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქების დროს მსჯელობისას, თუმცა, ამ თემაზე მშობელი არცერთ ტელევიზიას არ ჰყოლია ჩაწერილი (იხ.დიაგრამა N16). უშუალოდ კონკრეტული ტელევიზიების წყაროებს შორის გამოიკვეთა მცირე განსხვავება. მაგალითად, პოლიტიკოსი ყველაზე მეტჯერ წყარო ტვ იმედზე იყო, მოსწავლე - აჭარის ტელევიზიაში, ექიმი - საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - კი რუსთავი 2-ზე.

ინფორმაციის წყაროთა უმრავლესობა სქესობრივი განათლების საჭიროებასა (91) და მის სკოლაში სწავლებაზე (58) საუბრობდა. ამასთანავე, პირდაპირი გაშუქებისას ამ ორ ქვეკატეგორიაზე ყველაზე მეტად საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები საუბრობდნენ. სქესობრივი განათლების საჭიროების განხილვისას ტელევიზიების წყარო არცერთხელ არ ყოფილა პოლიტიკოსი, სასულიერო პირი და განათლების სამინისტროს წარმომადგენელი. აღსანიშნავია ისიც, რომ სასულიერო პირი წყარო მხოლოდ სქესობრივი განათლების სკოლაში შეტანის საკითხზე და საკანონმდებლო ცვლილებაზე საუბრისას იყო. ფსიქოლოგები მედიაში ორივე ტიპის გაშუქებისას უმეტესად სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ საუბრობდნენ, ისევე როგორც სფეროს ექსპერტები. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები ინფორმაციის წყარო იყვნენ სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხზე როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქების დროს მსჯელობისას, თუმცა, ამ თემაზე მშობელი არცერთ ტელევიზიას არ ჰყოლია ჩაწერილი (იხ.დიაგრამა N16). უშუალოდ კონკრეტული ტელევიზიების წყაროებს შორის გამოიკვეთა მცირე განსხვავება. მაგალითად, პოლიტიკოსი ყველაზე მეტჯერ წყარო ტვ იმედზე იყო, მოსწავლე - აჭარის ტელევიზიაში, ექიმი - საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - კი რუსთავი 2-ზე.



დიაგრამა N16 - ტელევიზიების წყარო სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქებისას

სქესობრივი განათლების საკითხებზე მედიის ინფორმაციის წყაროს დადგენასთან ერთად, მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანი რესპონდენტთა სქესის განსაზღვრაც იყო. შერჩეულ 5 ტელევიზიაში რესპონდენტებიდან 103 ქალი იყო, ხოლო 55 - კაცი. მათგან უმრავლესობა (70) როგორც ქალი (47), ასევე კაცი (23) რესპონდენტი აჭარის ტელევიზიას ჰყავდა ჩაწერილი. ტვ პირველსა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე როგორც ქალები, ასევე კაცები თემაზე უმეტესად საკვლევი საკითხების ირიბი გაშუქებისას საუბრობდნენ, რუსთავი 2-სა და აჭარის ტელევიზიაში კი ორივე ტიპის გაშუქებისას ქალი და კაცი რესპონდენტები თითქმის თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი (იხ.დიაგრამა N17). 5 ტელევიზიიდან ყველაზე ცოტა რესპონდენტი ტვ პირველს ჰყავდა, რაც პირდაპირ კავშირშია ამ ტელევიზიის მიერ წლის განმავლობაში მომზადებული მასალების რაოდენობასთან, ვინაიდან შერჩეული ტელევიზიებიდან ყველაზე ცოტა დრო ჩვენი საკვლევი თემის გაშუქებას სწორედ ტვ პირველმა დაუთმო.



დიაგრამა N17 - რესპონდენტთა სქესი ტელევიზიებში სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას

პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას ორივე სქესის რესპონდენტთა უმრავლესობა სქესობრივი განათლების საჭიროებისა და მისი სკოლაში სწავლების შესახებ საუბრობდა. სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტის გაშუქებისას კი რესპონდენტი 7 ქალი და 3 კაცი იყო (იხ. ცხრილი N2).

	ქალი	კაცი
სქესობრივი განათლების საჭიროება	57	31
სქესობრივი განათლება სკოლებში	36	17
პროტესტი სქესობრივ განათლებას	7	3
საკანონმდებლო ცვლილება	3	4

ცხრილი N2 - რესპონდენტთა სქესი ტელევიზიებში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

მედიამონიტორინგისთვის შერჩეულ 5 ტელევიზიაში, რესპონდენტთა გენდერული ბალანსის შესწავლის მიზნით, მხოლოდ სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების შემთხვევები გაანალიზდა, ვინაიდან ირიბი გაშუქების შემთხვევაში მედიის წყარო უმეტესად საკუთარი ინიციატივით ან გარემოებიდან გამომდინარე საუბრობდა საკვლევ საკითხებზე, ამიტომ ამ შემთხვევაში მედიას რესპონდენტთა შერჩევის დროს გენდერული ბალანსის გათვალისწინების პირობას ვერ წავუყენებთ. საკვლევი საკითხების პირდაპირი გაშუქების 18 შემთხვევიდან 12-ში ბალანსი დაცული იყო (იხ.დიაგრამა N18).



დიაგრამა N18 - გენდერული ბალანსი ტელევიზიებში სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქებისას

გაშუქების რაოდენობა	14		
გაშუქების ყველაზე მაღალი სიხშირე და პერიოდი			
გადაცემების ტიპი და გაშუქების რაოდენობა			
გაშუქების მიხედვით ლიდერი გადაცემები	„ჰეშთეგი“	8	
	„იმპულსი“	4	
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება	10	
	სქესობრივი განათლება სკოლაში	4	
გაშუქების ფორმატი	გადაცემის ბლოკი	გადაცემა	სიუჟეტი
გაშუქების ტიპი	პიდაპირი	8	
	ირიბი	6	
გაშუქების ტონი	პოზიტიური - 7	ნეიტრალური - 7	
გაშუქების წყარო	საზოგადოება	მოსწავლე	
	ფსიქოლოგი	სფეროს ექსპერტი	
რესპონდენტის სქესი	ქალი - 47	კაცი - 23	
გენდერული ბალანსი პირდაპირი გაშუქებისას	კი - 5	არა - 3	
ხშირად გამოყენებული ტერმინები	სექსუალური განათლება		
	სქესობრივი აღზრდა		
	სქესობრივი განათლება		

გაშუქების რაოდენობა	12	
გაშუქების ყველაზე მაღალი სიხშირე და პერიოდი		
გადაცემების ტიპი და გაშუქების რაოდენობა		
გაშუქების მიხედვით ლიდერი გადაცემები	„იმედის დღე“	5
	„იმედის დილა“	3
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება	5
	სქესობრივი განათლება სკოლაში	3
	საკანონმდებლო ცვლილება	3
	პროტესტი სქესობრივ განათლებას	1
გაშუქების ფორმატი	გადაცემის ბლოკი	სიუჟეტი
	კადრ-სინქრონი	გადაფარვა
გაშუქების ტიპი	პირდაპირი - 3	ირიბი - 9
გაშუქების ტონი	პოზიტიური 2	ნეიტრალური 10
გაშუქების წყარო	პოლიტიკოსი	ჟურნალისტი / ფსიქოლოგი
რესპონდენტის სქესი	ქალი - 12	კაცი - 4
გენდერული ბალანსი პირდაპირი გაშუქებისას	კი - 2	არა-1
ხშირად გამოყენებული ტერმინები	სექსუალური განათლება	სქესობრივი აღზრდა / სქესობრივი განათლება

გაშუქების რაოდენობა	12		
გაშუქების ყველაზე მაღალი სიხშირე და პერიოდი			
გადაცემების ტიპი და გაშუქების რაოდენობა			
გაშუქების მიხედვით ლიდერი გადაცემები	„აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“-	4	
	„პირადი ექიმი - მარი მალაზონია“	3	
	„მოამბე“	3	
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება	5	
	სქესობრივი განათლება სკოლაში	5	
	საკანონმდებლო ცვლილება	2	
გაშუქების ფორმატი	გადაცემა	სიუჟეტი	
	გადაცემის ბლოკი	კადრ-სინქრონი	
გაშუქების ტიპი	პირდაპირი - 2	ირიბი - 10	
გაშუქების ტონი	პოზიტიური 5	ნეიტრალური 10	ნეგატიური 1
გაშუქების წყარო	ჟურნალისტი	ფსიქოლოგი	ექიმი
რესპონდენტის სქესი	ქალი - 14	კაცი - 6	
გენდერული ბალანსი პირდაპირი გაშუქებისას	კი - 2		
ხშირად გამოყენებული ტერმინები	სექსუალური განათლება		

გაშუქების რაოდენობა			8
გაშუქების ყველაზე მაღალი სიხშირე და პერიოდი			
გადაცემების ტიპი და გაშუქების რაოდენობა			
გაშუქების მიხედვით ლიდერი გადაცემები	„სხვა შუადღე“	4	
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება	5	
	სქესობრივი განათლება სკოლაში	3	
	პროტესტი სქესობრივ განათლებას	3	
გაშუქების ფორმატი	გადაცემის ბლოკი	გადაცემა	სიუჟეტი
გაშუქების ტიპი	პირდაპირი - 4	ირიბი - 4	
გაშუქების ტონი	პოზიტიური - 3	ნეიტრალური - 5	
გაშუქების წყარო	საზოგადოება	NGO	
	ჟურნალისტი	სფეროს ექსპერტი	
	ფსიქოლოგი		
რესპონდენტის სქესი	ქალი - 26	კაცი - 20	
გენდერული ბალანსი პირდაპირი გაშუქებისას	კი - 3	არა - 1	
ხშირად გამოყენებული ტერმინები	სექსუალური განათლება	სქესობრივი განათლება	

გაშუქების რაოდენობა	4	
გაშუქების ყველაზე მაღალი სიხშირე და პერიოდი		
გადაცემების ტიპი და გაშუქების რაოდენობა		
გაშუქების მიხედვით ლიდერი გადაცემები	„პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად“ 2	
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება	2
	სქესობრივი განათლება სკოლაში	1
	პროტესტი სქესობრივ განათლებას	1
გაშუქების ფორმატი	გადაცემის ბლოკი	გადაცემა
გაშუქების ტიპი	პირდაპირი - 1	ირიბი - 3
გაშუქების ტონი	ნეიტრალური - 4	
გაშუქების წყარო	ჟურნალისტი	პოლიტიკოსი
რესპონდენტის სქესი	ქალი - 4	კაცი - 2
გენდერული ბალანსი პირდაპირი გაშუქებისას	არა - 1	
ხშირად გამოყენებული ტერმინები	სექსუალური განათლება	

სამონიტორინგო პერიოდში რადიოებმა სქესობრივი განათლების შესახებ ჯამში 19 მასალა მოამზადეს. მონიტორინგის სუბიექტი 4 რადიოდან ყველაზე მეტი - 12 მედიაპროდუქტი რადიო იმედს ეკუთვნის, 4 - საზოგადოებრივ რადიოს, 2 - რადიო თავისუფლებას, ყველაზე ცოტა - 1 კი ფორტუნას ეთერში გავიდა (იხ. დიაგრამა N19).



დიაგრამა N 19- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება რადიოებში

აღსანიშნავია, რომ რადიო იმედის ეთერში 2019 წელს გადიოდა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომასთან“ ერთად მომზადებული პროექტი „გზავნილი ჯანსაღი ცხოვრების წესი“. უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემას ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული 4 გადაცემა ეხებოდა.

რაც შეეხება სქესობრივი განათლების გაშუქების სიხშირესა და პერიოდულობას, ყველაზე მეტი - ჯამში 10 მასალა რადიოების ეთერში თებერვალსა და მარტში მოხვდა, შემდეგ კი სექტემბერში - 3; სამივე მასალა ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში სამოქალაქო განათლების გაძლიერების კონტექსტში ახალი საგნის “მოქალაქეობის” დანერგვასა და დაწყებით კლასებში საგან “მე და საზოგადოების” არსებობას ეხებოდა. თებერვალსა და მარტში საკვლევი საკითხის გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 7 რადიო იმედზე მოდის. რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ ორგანიზაცია “თანადგომასთან” ერთად მომზადებულ პროექტს უკავშირდება, 3 გადაცემა სწორედ ამ პროექტის ფარგლებში გავიდა ეთერში. ამავე თვეებში ორმა სხვადასხვა რადიომ (რადიო იმედი, რადიო თავისუფლება) თითო-თითო მასალა “ბავშვის უფლებათა კოდექსზე” მსჯელობასაც მიუძღვნა. 2019 წლის 5 სხვადასხვა თვის განმავლობაში კი რადიოების ეთერში სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები საერთოდ არ გაშუქებულა (იხ. დიაგრამა N20).



დიაგრამა N20- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა რადიოებში

მონიტორინგის დროს რადიოებში სქესობრივი განათლების თემა სხვადასხვა ტიპის გადაცემებში სხვადასხვა ფორმატით გაშუქდა. ყველაზე მეტი - 7 მედიაპროდუქტი დილის გადაცემებში გავიდა, 6 მათგანი სპეციალიზირებულ გადაცემებში მოხვდა, შუადღის გადაცემებში - 4, საღამოს გადაცემასა და საინფორმაციო გამოშვებაში კი - თითო-თითო. დილის გადაცემებიდან ყველაზე მეტჯერ (6) სქესობრივ განათლებას ეთერი რადიო იმედმა გადაცემა "დილის არხში" დაუთმო, საიდანაც 4 პროექტ "გზავნილი ჯანსაღი ცხოვრების წესის" ფარგლებში გავიდა. სპეციალიზირებული გადაცემებიდანაც ყველაზე მეტი (4) მასალა რადიო იმედის გადაცემამ "მე დედა ვარ" მოამზადა. რადიო ფორტუნამ კი ჩვენი საკვლევი თემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთხელ და ისიც სპეციალიზირებულ გადაცემაში - "7 რჩევა ფსიქოლოგისგან" გააშუქა. აღსანიშნავია, რომ საკვლევი თემა 10 შემთხვევაში გადაცემის ბლოკის ფორმატში გაშუქდა, 8 შემთხვევაში - მთლიანი გადაცემის, ხოლო ახალი ამბავის ფორმატში მხოლოდ ერთხელ, რადიო თავისუფლების საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა. ყველაზე მეტი (3) გადაცემა და გადაცემის ბლოკიც (6) რადიო იმედის "მე დედა ვარ" და "დილის არხს" ეკუთვნის.

მონიტორინგის სუბიექტი რადიოები სქესობრივი განათლების საკითხებს ძირითადად ირიბად აშუქებდნენ. ჯამში გაშუქების 19 შემთხვევიდან საკვლევ საკითხს 15 სწორედ ირიბად ეხებოდა, პირდაპირ კი - მხოლოდ 4. ამასთან კვლევის თემა რადიო ფორტუნას მხოლოდ ერთხელ და ისიც პირდაპირ აქვს გაშუქებული. საზოგადოებრივ რადიოს სქესობრივი განათლების საკითხები პირდაპირ არ გაუშუქებია, ირიბად კი მის ეთერში ეს თემა 4-ჯერ მოხვდა. რადიო თავისუფლებამ საკვლევი თემა ირიბადაც და პირდაპირაც თანაბრად თითო-თითოჯერ გააშუქა. იმედმა კი - ირიბადაც და პირდაპირაც რადიოებს შორის ყველაზე მეტჯერ, მათ შორის 10-ჯერ - ირიბად, 2-ჯერ - პირდაპირ (იხ. დიაგრამა N21).



დიაგრამა N21 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი რადიოებში

სქესობრივ განათლებას რადიოები ძირითადად ნეიტრალურად (13) აშუქებდნენ. აღსანიშნავია, რომ სამონიტორინგო პერიოდში მათ საკვლევი საკითხები ნეგატიურად საერთოდ არ გაუშუქებიათ. პოზიტიურ გაშუქებაზე კი 6 შემთხვევა მოდის, მათგან უმრავლესობა (5) რადიო იმედს ეკუთვნის, 1 კი - რადიო ფორტუნას. რადიო თავისუფლებამ და საზოგადოებრივმა რადიომ სქესობრივი განათლების საკითხები მხოლოდ ნეიტრალური ტონით გააშუქეს (იხ. დიაგრამა N22).



დიაგრამა N22- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რადიოებში

რადიოები სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას სხვადასხვა წყაროს იყენებდნენ, რომლებიც კატეგორიებად შეგვიძლია დავაჯგუფოთ. პირდაპირი გაშუქების დროს მონიტორინგის სუბიექტები წყაროთა მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდნენ. რადიო ფორტუნასა და რადიო თავისუფლებას მხოლოდ თითო-თითო წყარო ჰყავდათ, პირველ შემთხვევაში - ფსიქოლოგი, მეორეში კი - თავად ჟურნალისტი. რადიო იმედს 2 წყარო ჰყავდა: ექიმი და “თანადგომა”. რაც შეეხება წყაროებს ირიბი გაშუქების დრო, ისინი შედარებით მრავალფეროვანია. თუმცა, ყველაზე ხშირად (9) სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ირიბად გაშუქებისას რადიოების წყაროები თავად ჟურნალისტები იყვნენ, ეს სამივე რადიოს ეხება. [რადიო ფორტუნას ირიბი გაშუქება არ ჰქონია] ამასთანავე, რადიო თავისუფლების წყაროები როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაშუქებისას მხოლოდ ჟურნალისტები იყვნენ და მათ სხვა რესპონდენტი არ ჰყოლიათ. ჟურნალისტი წყაროდ ყველაზე მეტჯერ (4) სწორედ რადიო თავისუფლებას ჰყავდა. წყაროების მრავალფეროვნებით რადიო იმედი გამოირჩეოდა (7 კატეგორია), მას 5 კატეგორიით საზოგადოებრივი რადიო მოჰყვება (იხ. ცხრილი N3).

	რადიო იმედი	საზოგადოებრივი რადიო	რადიო თავისუფლება	რადიო ფორტუნა
ჟურნალისტი	3	2	5	
ფსიქოლოგი	1			1
სფეროს ექსპერტი	2			
სახალხო დამცველის ოფისი	2			
“თანადგომა”	2			
განათლების სამინისტრო	1	1		
წიგნის ავტორი		1		
მასწავლებელი		1		
ექიმი	1			
დირექტორი	1			
NGO		1		

ცხრილი N3 - სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი და ირიბი გაშუქების წყაროები რადიოებში

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო რადიოების მიერ შერჩეული წყაროების სქესიც. სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი ამბების გაშუქებისას მედიის რესპონდენტების უმრავლესობა - 21 ქალი იყო, კაცი კი - მხოლოდ 4. რადიო თავისუფლებასა და რადიო ფორტუნას კაცი რესპონდენტი საერთოდ არ ჰყოლიათ. ქალი რესპონდენტების ნახევარზე მეტი (11) რადიო იმედის წყარო იყო. მათგან 10 ქალი საკვლევ საკითხზე ირიბი გაშუქების დროს საუბრობდა, პირდაპირი გაშუქების დროს კი სქესობრივ განათლებაზე ერთ შემთხვევაში კაცი იყო წყარო, მეორეში - ქალი(იხ. დიაგრამა N23).



დიაგრამა N23 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი რადიოებში

აღსანიშნავია, რომ სქესობრივი განათლების საკითხების ყველა (4) პირდაპირი გაშუქების დროს რესპოდენტთა შორის სქესობრივი ბალანსი დაცული არცერთ შემთხვევაში არ იყო.

სამონიტორინგო პერიოდში რადიოებმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხი გააშუქეს, რაც წინასწარ განსაზღვრულ ქვეკატეგორიებად დაჯგუფდა. ესენია: "სქესობრივი განათლება სკოლაში", "სქესობრივი განათლების საჭიროება", "პროტესტი სქესობრივ განათლებას" და "საკანონმდებლო ცვლილება". აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სუბიექტ რადიოებს სქესობრივი განათლების პროტესტთან დაკავშირებული ამბები საერთოდ არ გაუშუქებიათ. მათ შორის ყველაზე მეტი (3) ქვეკატეგორია რადიო იმედის ეთერში მოხვდა. სქესობრივი განათლების საჭიროებას კი ყველაზე მეტი (11) მასალა მიეძღვნა. 8-ჯერ ამ თემას ეთერი რადიო იმედმა დაუთმო, რომლის ნახევარიც (4) სპეციალიზირებულ გადაცემაში გავიდა. დანარჩენი 3 მასალა კი საზოგადოებრივ რადიოზე, რადიო თავისუფლებასა და ფორტუნაზე გადანაწილდა. ამასთან, რადიო ფორტუნამ მხოლოდ ეს თემა გააშუქა. სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება, იგულისხმება "ბავშვის უფლებათა კოდექსში" შესატანი ცვლილებები, მხოლოდ ორჯერ რადიო თავისუფლებისა და რადიო იმედის ეთერში მოხვდა. ეს ამბავი საზოგადოებრივ რადიოს და ფორტუნას საერთოდ არ გაუშუქებიათ. სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლება კი მონიტორინგის სუბიექტი რადიოებიდან მხოლოდ ორის: საზოგადოებრივი რადიოსა და რადიო იმედის ეთერში მოხვდა და ჯამში ამ თემას 6 მასალა დაეთმო, რაც ამ რადიოებს შორის თანაბრად (3-3) გადანაწილდა. რადიო იმედის სამივე გადაცემა დილის ეთერში გავიდა (იხ.დიაგრამა N 24).



დიაგრამა N24 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება რადიოებში

მონიტორინგის დროს რადიოებმა სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ირიბად გააშუქეს, საკანონმდებლო ცვლილება ერთხელ ირიბად გააშუქა რადიო იმედმა, ერთხელ კი პირდაპირ - რადიო თავისუფლებამ. პირდაპირ ყველაზე მეტჯერ (3) სქესობრივი განათლების საჭიროება გაშუქდა, იმავე თემას ირიბად 8-ჯერ შეეხნენ.

2019 წელს რადიოებმა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით პოზიტიურად მხოლოდ სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადებული მასალები გააშუქეს, ამ თემაზე მომზადებული 11 მედიაპროდუქტიდან 6-ს სწორედ პოზიტიური ტონი ჰქონდა, დანარჩენ 5-ს კი - ნეიტრალური. პოზიტიური მასალების უმრავლესობა (5) რადიო იმედის ეთერში მოხვდა, 1 კი - რადიო ფორტუნის. საზოგადოებრივმა რადიომ და რადიო თავისუფლებამ ამ თემაზე მომზადებული თითო-თითო მასალა ნეიტრალური ტონით გააშუქეს. სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებულ 6-ვე მასალას კი ნეიტრალური ტონი ჰქონდა. რადიო იმედისა და რადიო თავისუფლების ეთერში ნეიტრალურად იყო წარმოჩენილი საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებული თითო-თითო მასალაც (იხ.დიაგრამა N25).



დიაგრამა N25 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რადიოებში

ამ ორივე მასალაში სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე მხოლოდ ქალები (1-1) საუბრობდნენ, კაცებს ამ თემაზე რადიო იმედისა და რადიო თავისუფლების ეთერში საერთოდ არ უსაუბრიათ. ზოგადად კაცი რესპონდენტები მხოლოდ რადიო იმედსა და საზოგადოებრივ რადიოს ჰყავდათ, თანაც თანაბრად 2-2-ჯერ. მათ ორივე რადიოს ეთერში სქესობრივი განათლების საჭიროებასა და სკოლებში სქესობრივ განათლებასთან

დაკავშირებულ საკითხებზე თანაბრად (1-1) ისაუბრეს. რადიო ფორტუნისა და რადიო თავისუფლების წყაროები მხოლოდ ქალები იყვნენ, მათ კაცი რესპონდენტები საერთოდ არ ჰყოლიათ. ოთხივე რადიოს ეთერში ჯამში 21 ქალიდან უმრავლესობა (15) სქესობრივი განათლების საჭიროებაზე საუბრობდა. ყველაზე მეტჯერ ქალებმა სქესობრივი განათლების საჭიროებაზე რადიო იმედის (8) და რადიო თავისუფლების (4) ეთერში ისაუბრეს. სკოლებში სქესობრივ განათლებაზე კი ქალებმა 2-2-ჯერ რადიო იმედისა და საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ილაპარაკეს (იხ.დიაგრამა N26).



დიაგრამა N26 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი რადიოებში

სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე მოსაუბრე ორივე ქალი ჟურნალისტი იყო. იმ 15 ქალ წყაროს შორის კი, რომლებიც სქესობრივი განათლების საჭიროებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას იყვნენ: ჟურნალისტები (7), სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი (2), სფეროს ექსპერტი (2), ფსიქოლოგი (2), NGO-სა და “თანადგომის” 1-1 წარმომადგენელი. სქესობრივი განათლების საჭიროების ქვეკატეგორია ზოგადად წყაროების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა (იხ. ცხრილი N4).

	სქესობრივი განათლების საჭიროება	სქესობრივი განათლება სკოლაში	საკანონმდებლო ცვლილებები
ჟურნალისტი	8		2
სახალხო დამცველის ოფისი	2		
სფეროს ექსპერტი	2		
ფსიქოლოგი	2		
“თანადგომა”	1	1	
განათლების სამინისტრო		2	
NGO	1		
ექიმი	1		
წიგნის ავტორი		1	
დირექტორი		1	
მასწავლებელი		1	

ცხრილი N4 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების წყაროები რადიოებში

1.4 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში

2019 წლის განმავლობაში კვლევის სუბიექტმა 10-მა ონლაინ მედიასაშუალებამ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ჯამში 80 მასალა გამოაქვეყნა. ყველაზე მეტი - 18 მედიაპროდუქტი netgazeti.ge-იმ მოამზადა, 11 და 10 – radiotavisupleba.ge-იმ და edu.aris.ge-იმ, interpressnews.ge-ის, newposts.ge-ის და AMBEBI.GE-ის თანაბარი 8-8 მასალა ეკუთვნით, ერთით ნაკლები (7) – mshoblebi.ge -ის, 6 - iPress.ge-ის, ყველაზე ცოტა - 4 კი saqinform.ge-ის. აღსანიშნავია, რომ სამონიტორინგო პერიოდში GHN.ge-ის საკვლევ თემაზე არცერთი მასალა არ გამოუქვეყნებია (იხ. დიაგრამა N27).



დიაგრამა N27 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში

რაც შეეხება სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირესა და პერიოდულობას, ონლაინ მედიას 2019 წლის განმავლობაში მისთვის დრო მხოლოდ იანვარში არ დაუთმია. დანარჩენ პერიოდში კი ყველაზე მეტი - 32 მასალა მარტში გამოქვეყნდა. ამ თვეში საკვლევი საკითხების გაშუქების მაღალი მაჩვენებელი "ბავშვის უფლებათა კოდექსის" განხილვასთანაა დაკავშირებული. ონლაინ მედიასაშუალებებს შორის საკვლევ საკითხებს ყველაზე ხშირად 2019 წლის 8 სხვადასხვა თვის განმავლობაში netgazeti.ge აშუქებდა, გაშუქების სიხშირის მაჩვენებელი 7 სხვადასხვა თვეზე ნაწილდება interpressnews.ge-ის შემთხვევაში, 6-6 თვის - radiotavisupleba.ge-ის და edu.aris.ge-ის, ხოლო ყველაზე ცოტა პერიოდის, 2 თვის მაჩვენებელი iPress.ge-ის ეკუთვნის (იხ. დიაგრამა N28).



დიაგრამა N28 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ონლაინ მედიაში

სამონიტორინგო პერიოდში ონლაინ მედია სქესობრივი განათლების საკითხებს სხვადასხვა ფორმით აშუქებდა. მათზე ყველაზე ხშირად, ნახევარზე მეტ შემთხვევაში (44), ახალი ამბები მზადდებოდა. ასევე, გამოქვეყნდა: 26 სტატია, 5 ინტერვიუ, 4 ვიდეო და ყველაზე ცოტა - 1 ბლოგი, რომელიც radiotavisupleba.ge-ის ეკუთვნის. მან კვლევის საკითხები ინტერვიუს გარდა ყველა სხვა ფორმით გააშუქა, ხოლო mshoblebi.ge-იმ მკითხველს ამ საკითხებზე ბლოგის გარდა ყველა ტიპის მასალა შესთავაზა. iPress.ge კი კვლევის თემაზე მხოლოდ ახალ ამბებს ამზადებდა. ონლაინ მედიასაშუალებებს შორის სქესობრივი განათლების საკითხებზე ყველაზე მეტი სტატია (7) radiotavisupleba.ge-იმ გამოაქვეყნა, ყველაზე მეტი ახალი ამბავი (10) - netgazeti.ge-იმ, 2-2- ინტერვიუ კი - netgazeti.ge-იმ და mshoblebi.ge-იმ, ხოლო ყველაზე მეტი - 2 ვიდეო radiotavisupleba.ge-ის ეკუთვნის (იხ. დიაგრამა N29).



დიაგრამა N29 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმა ონლაინ მედიაში

ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხებზე გამოქვეყნებული 80 მასალა პირდაპირ და ირიბ გაშუქებაზე თანაბრად (40-40) ნაწილდება. პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებელი თანაბარია (9-9) netgazeti.ge-ის შემთხვევაშიც, სხვა მედიასაშუალებებში კი ამ მონაცემებს შორის სხვაობაა. edu.aris.ge-ისა და newposts.ge-ის კვლევის საკითხები მხოლოდ პირდაპირ აქვთ გაშუქებული, მხოლოდ ირიბი გაშუქება კი არცერთ მედიაში არ გვხვდება. ამასთან, პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელიც (10) edu.aris.ge-ის აქვს, ყველაზე ცოტა - თითო-თითო კი - interpressnews.ge-სა და saqinform.ge-ის. აღსანიშნავია, რომ netgazeti.ge-ის გარდა, ყველა მედიასაშუალება, რომელსაც ჰქონდა ირიბი გაშუქება, სქესობრივი განათლების საკითხებს უფრო ხშირად ირიბად აშუქებდა, ვიდრე პირდაპირ. netgazeti.ge-ის შემდეგ ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (7) interpressnews.ge -ის აქვს, რაც პირდაპირ გაშუქებაზე (1) ამდენჯერვე მაღალია. saqinform.ge-ზე კი ირიბი გაშუქების მაჩვენებელი სამჯერ მეტია პირდაპირზე (იხ. დიაგრამა N30).



დიაგრამა N30 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში

2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხებს ონლაინ მედია ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდა. ჯამში 80 მასალიდან 62 სწორედ ნეიტრალური ტონით არის გაშუქებული. 12 მათგანს პოზიტიური ტონი აქვს, 6-ს კი - ნეგატიური. ნეგატიური მასალების ნახევარი (3) saqinform.ge-ზეა გამოქვეყნებული, დანარჩენი თითო-თითო მასალა კი გადანაწილებულია: newposts.ge-ზე, interpressnews.ge-სა და mshobleli.ge-ზე. ამასთან, mshobleli.ge და newposts.ge ის მედიაგამოცემებია, რომლებზეც გაშუქების სამივე ტონი გვხვდება. iPress.ge სამონიტორინგო მედიებს შორის ერთადერთია, რომელსაც საკვლევი საკითხები მხოლოდ ნეიტრალურად აქვს გაშუქებული. ყველაზე მეტი (4) პოზიტიური მასალა კი edu.aris.ge-ზეა გამოქვეყნებული. saqinform.ge-ის, iPress.ge-ისა და interpressnews.ge-ის კი პოზიტიურად არცერთი მასალა არ გაუშუქებიათ (იხ. დიაგრამა N31).

აღსანიშნავია, რომ ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხებს პოზიტიური ტონი ძირითადად თემის პირდაპირი გაშუქების დროს ჰქონდათ. ჯამში პოზიტიურად გაშუქებული 12 მასალიდან 9 სწორედ პირდაპირია. საკვლევ საკითხებს ნეგატიური ტონი კი ძირითადად ირიბი გაშუქების დროს ჰქონდათ. ჯამში 6 ნეგატიური მასალიდან 5 სწორედ ირიბი გაშუქების შემთხვევებზე მოდის.

ონლაინ მედია სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას სხვადასხვა წყაროს იყენებდა. ჯამში 122 წყარო 15 კატეგორიაში გადანაწილდა. რესპონდენტებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდებოდა: პოლიტიკოსი (22), NGO (17), ჟურნალისტი (16), ფსიქოლოგი (12), განათლების სამინისტროსა და საზოგადოების წარმომადგენლები (10). აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ათივე წარმომადგენელი radiotavisupleba.ge-ზე გვხვდება. ჯამში 22 პოლიტიკოსი რესპონდენტიდან არცერთი მხოლოდ mshoblebi.ge-ს არ ჰყოლია. მოსწავლე კი თითო-თითოჯერ მხოლოდ mshoblebi.ge-ისა და edu.aris.ge-ის წყარო იყო. რესპონდენტებს შორის მასწავლებელიც ასევე მხოლოდ edu.aris.ge-ისა (2) და newposts.ge-ზე გვხვდება. ამ ორ მედიასაშუალებასთან ერთად წყაროთა მრავალფეროვნებით AMBEBI.GE-იც გამოირჩეოდა. მონიტორინგის სუბიექტებს შორის რესპონდენტთა სიმრავლე კი აღინიშნებოდა: radiotavisupleba.ge, edu.aris.ge, netgazeti.ge, newposts.ge და AMBEBI.GE. წყაროების უმეტესობა (81)

სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა და მათი რაოდენობა თითქმის ორჯერ მეტია, თემის ირიბი გაშუქების დროს მოსაუბრე რესპონდენტებზე (41). აღსანიშნავია, რომ საკვლევ საკითხებზე წყაროებიდან პირდაპირი გაშუქების დროს მხოლოდ სასულიერო პირები (3) და მასწავლებლები (3) საუბრობდნენ. მათ კვლევის თემაზე ირიბად არ უსაუბრიათ. მათგან განსხვავებით, საერთაშორისი ორგანიზაცია (3) წყაროდ მხოლოდ ირიბი გაშუქებისას გვევლინება. დანარჩენი რესპონდენტები კი როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაშუქების დროს გვხვდებიან. მათ შორის განათლების სამინისტროსა (5-5) და მოსწავლის (1-1) პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თანაბარია.

სქესობრივი განათლების საკითხებზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია ონლაინ მედიის მიერ შერჩეული წყაროების სქესიც. იმ შემთხვევების მიხედვით, სადაც სქესის იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო, აღმოჩნდა, რომ საკვლევ საკითხებზე ქალები (78) უფრო ხშირად საუბრობდნენ, ვიდრე კაცები (25). ამასთან, 4 მედია გამოცემას: netgazeti.ge, interpressnews.ge, iPress.ge, saqinform.ge კაცი რესპონდენტი საერთოდ არ ჰყოლია. იმ 5 ონლაინ მედიასაშუალებას შორის კი, რომლებსაც კაცი რესპონდენტები ჰყავდათ, ყველაზე მეტი (8) radiotavisuple-ba.ge-ის ეკუთვნის. ამავე მედიაში გვხვდება ყველაზე მეტი ქალი (18) რესპონდენტიც. ამასთან, 1 ქალი რესპონდენტი მაინც კვლევის ყველა სუბიექტს ჰყავდა [ghn.ge-ის გარდა, რადგან მას საკვლევი თემა საერთოდ არ გაუშუქებია]. აღსანიშნავია, რომ ქალების უმეტესობა (51) სქესობრივი განათლების საკითხებზე პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა (იხ. დიაგრამა N32) mshoblebi.ge კი ერთადერთი მედია გამოცემაა, სადაც ერთმა ქალმა საკვლევ საკითხზე მხოლოდ ირიბად ისაუბრა. 4-ჯერ მეტმა კაცმა (20) ისაუბრა კვლევის თემაზე პირდაპირ, ვიდრე ირიბი გაშუქების შემთხვევაში (5). კაცებს პირდაპირი გაშუქებისას დრო დაუთმეს შემდეგმა მედიასაშუალებებმა: radiotavisupleba.ge, edu.aris.ge, newposts.ge და mshoblebi.ge; AMBEBI.GE-ზე კი კაცები(2) მხოლოდ ირიბი გაშუქებისას გვხვდებიან.



დიაგრამა N32 - წყაროს სქესი ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

აღსანიშნავია, რომ სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების 40 შემთხვევიდან რესპონდენტთა შორის სქესობრივი ბალანსი მხოლოდ 5 შემთხვევაშია დაცული. 3 მათგანი edu.aris.ge-ზე გვხვდება, 1-1 კი radiotavisupleba.ge-სა და newposts.ge-ზე.

სამონიტორინგო პერიოდში ონლაინ მედიამ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი გააშუქა. სქესობრივი განათლების საჭიროებაზე 27 მასალა მომზადდა, სკოლაში მის სწავლებასთან დაკავშირებით - 25, სქესობრივი განათლების პროტესტსა და საკანონმდებლო ცვლილებაზე კი - თანაბარი, 14-14. მედიასაშუალებებმა: netgazeti.ge, radiotavisupleba.ge, newposts.ge და interpressnews.ge ოთხივე ქვეკატეგორიის მასალები გამოაქვეყნეს. სქესობრივი განათლების საჭიროებისა და სკოლაში მისი სწავლების შესახებ მასალები მხოლოდ saqinform.ge-ის არ მოუმზადებია, საკანონმდებლო ცვლილება მხოლოდ - mshoblebi.ge-ის, ხოლო სქესობრივი განათლების საპროტესტო მასალები 3 მედიასაშუალებას: edu.aris.ge, AMBEBI.GE და iPress.ge-ის არ ჰქონიათ. სქესობრივი განათლების საჭიროებასა (8) და პროტესტზე (5) ყველაზე მეტი მასალა netgazeti.ge-ზე გვხვდება, სკოლაში მის სწავლებასთან დაკავშირებული ამბები (6) - edu.aris.ge-ზე, ხოლო საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა (4) - iPress.ge-ზე (იხ. დიაგრამა N33).



დიაგრამა N33 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში

მონიტორინგის პერიოდში სქესობრივი განათლების საჭიროების ქვეკატეგორია ძირითადად ირიბად (20) შუქდებოდა. სხვა კატეგორიებთან შედარებით მას ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სქესობრივი განათლების საჭიროება ერთადერთი ქვეკატეგორიაა, სადაც ირიბი გაშუქება პირდაპირზე მეტია, დანარჩენ სამ კატეგორიაში პირდაპირი გაშუქება ირიბზე მაღალია. პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი (13) მაჩვენებელი კი სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებას აქვს (იხ. დიაგრამა N34).



დიაგრამა N34 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში

“პროტესტი სქესობრივ განათლებას” საკვლევი თემის ქვეკატეგორიებს შორის ერთადერთია, რომელიც სამივე ტონით არის გაშუქებული. სქესობრივი განათლების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებაზე მომზადებულ ყველა მასალას (14) კი ნეიტრალური ტონი აქვს. პოზიტიურად ყველაზე ხშირად (7) სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადებული მასალები შუქდებოდა, ნეიტრალურად (21) - სკოლაში სქესობრივი განათლება. ნეგატიური ტონი მხოლოდ სქესობრივი განათლების პროტესტის შესახებ მომზადებულ მასალებს აქვთ. კვლევის ფარგლებში ასეთი 6 შემთხვევა გამოვლინდა. ამ კატეგორიას პოზიტიური გაშუქების ყველაზე დაბალი (1) მაჩვენებელი აქვს (იხ. დიაგრამა N35).



დიაგრამა N35 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში

სამონიტორინგო პერიოდში სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე ონლაინ მედიაში კაც რესპონდენტს საერთოდ არ უსაუბრია, დანარჩენი სამი ქვეკატეგორიის მასალებში კი ქალების რაოდენობა კაცებზე მეტია. ამასთან, ყველაზე მეტმა ქალმაც (29) და კაცმაც (15) სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებაზე ისაუბრა. ყველაზე ცოტა ქალმა (14) და კაცმა (3) კი - სქესობრივი განათლების პროტესტთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე სამივე კაცმა პირდაპირი გაშუქებისას ისაუბრა. ძირითადად პირდაპირი გაშუქების დროს ისაუბრეს კაცებმა (14) სკოლაში სქესობრივ განათლებაზეც. ქალი რესპონდენტები სქესობრივი განათლების საკითხების ოთხივე ქვეკატეგორიაზე პირდაპირაც საუბრობდნენ და ირიბადაც. პირდაპირი გაშუქების დროს ყველაზე მეტმა ქალმა (19) სკოლაში სქესობრივ განათლებაზე ისაუბრა, ირიბი გაშუქებისას კი - სქესობრივი განათლების საჭიროებაზე (13).

ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებული მასალები წყაროთა სიმრავლითა (49) და მრავალფეროვნებით (12) გამოირჩევა. ყველაზე ცოტა - 18 წყარო კი საკანონმდებლო ცვლილებაზე მომზადებულ მასალებში გვხვდება. წყაროებიდან საკვლევი საკითხის ოთხივე ქვეკატეგორიის მასალებში მხოლოდ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ფსიქოლოგები გვხვდებიან. სახალხო დამცველის ოფისი (7) მხოლოდ სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ მომზადებული მასალების წყაროა, სასულიერო პირები (3) და მოსწავლე (2) კი რესპონდენტებად მხოლოდ სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლების გაშუქების დროს საუბრობდნენ.

1.5 სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში

სქესობრივი განათლების თემა 2019 წლის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტი 10 ჟურნალ-გაზეთიდან მხოლოდ 8-მ გააშუქა. ჟურნალებს „თბილისელები“ და „ოჯახის მკურნალი“ საკვლევ საკითხებზე არცერთი მასალა არ გამოუქვეყნებიათ, დანარჩენებმა კი სულ 21 მასალა მოამზადეს. ყველაზე მეტჯერ თემა გაზეთებმა - „ასავალ-დასავალმა“ (6) და „ახალმა განათლებამ“ (6) გააშუქეს. „ალიამ“ მონიტორინგის თემას - 4, „ვერსიამ“, „კვირის პალიტრამ“, „რეზონანსმა“, „ახალმა თაობამ“ და „სარკემ“ კი მხოლოდ თითო-თითო მასალა დაუთმეს (იხ. დიაგრამა N36).



დიაგრამა N36- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში

ბეჭდური მედია სქესობრივი განათლების საკითხებს უმეტესად გასული წლის გაზაფხულზე აშუქებდა. 21 მასალიდან 13 სწორედ ამ პერიოდშია გამოქვეყნებული. მათგან ყველაზე მეტი (6) სტატია აპრილის თვეში დაიბეჭდა. იანვრის, ივლისის, სექტემბრის და დეკემბრის განმავლობაში კი საკვლევ საკითხებზე არცერთი მასალა არ გამოქვეყნებულა (იხ. დიაგრამა N37). მომზადებული მასალებიდან 6 - სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხს შეეხებოდა, 6 - სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს, 5 - საკანონმდებლო ცვლილებას და 4 - სქესობრივი განათლების საჭიროებას. მედიებს შორის საინტერესო განსხვავება

გამოიკვეთა აღნიშნული საკითხების გაშუქების კუთხით, ვინაიდან, გაზეთებმა - „ვერსიამ“ და „რეზონანსმა“ მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილება გააშუქეს, „კვირის პალიტრამ“, „სარკემ“ და „ახალმა თაობამ“ - მხოლოდ სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხი, „ახალმა განათლებამ“ - სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლება, ხოლო „ალიამ“ და „ასავალ-დასავალმა“ ყველაზე მეტი მასალა (3-3) სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტზე მოამზადეს.



დიაგრამა N37 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ბეჭდურ მედიაში

სქესობრივი განათლების საკითხებს ბეჭდური მედია უმეტესად სტატიის ფორმატით აშუქებდა (12). ყველაზე ცოტა მასალა კი ინტერვიუს ფორმატში დაიბეჭდა (2). „რეზონანსმა“, „ვერსიამ“ და სარკემ“ თემა მხოლოდ ახალი ამბის ფორმატით გააშუქეს, „ახალმა თაობამ“ ინტერვიუ მოამზადა, „კვირის პალიტრამ“ კი მხოლოდ ერთი სტატია მიუძღვნა (იხ. დიაგრამა N38). ყველაზე მეტი სტატია სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხს შეეხებოდა (5). სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტისა და საკანონმდებლო ცვლილების შესახებ არცერთი ინტერვიუ არ მომზადებულა. სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხი კი ერთადერთია, რომელიც სამივე ფორმატით (ინტერვიუ, სტატია, ახალი ამბავი) გაშუქდა.



დიაგრამა N38 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმატი ბეჭდურ მედიაში

ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მომზადებული 21 მასალიდან 11 პირდაპირი გაშუქებაა, 10 - კი ირიბი. პირდაპირ თემა ყველაზე მეტჯერ (4) გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გააშუქა, ირიბად კი - „ახალმა განათლებამ“ (4). „ვერსიამ“ და „რეზონანსმა“ თემა გააშუქეს მხოლოდ პირდაპირ, „კვირის პალიტრამ“, „ახალმა თაობამ“ და „სარკემ“ კი - მხოლოდ ირიბად. რაც შეეხება გაშუქების ტონს, მასალების უმრავლესობა - 10 ნეიტრალურია, 8 - ნეგატიური, 3 კი - პოზიტიური (იხ. დიაგრამა N39).



დიაგრამა N39 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ბეჭდურ მედიაში

მონიტორინგის სუბიექტებიდან „ახალი განათლება“ ერთადერთი გაზეთია, რომელმაც თემა როგორც პოზიტიურად (2), ასევე ნეიტრალურად (4) ყველაზე მეტჯერ გააშუქა, ყველა ეს მასალა სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლების საკითხს შეეხებოდა. „ასავალ-დასავალმა“ მასალები მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში მოამზადა, „ალიამ“ კი - მხოლოდ პოზიტიურსა და ნეგატიურში. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური ტონი ამ ორი გაზეთის გარდა არცერთ ბეჭდურ მედიასაშუალებაში არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა N40). „ასავალ-დასავალში“ სქესობრივი განათლების საკითხებზე გამოქვეყნებული 6 სტატიიდან 5-ს ნეგატიური ტონი ჰქონდა. მათგან 3 სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს შეეხებოდა, 2 კი - საკანონმდებლო ცვლილებას. „ალიაში“ გამოქვეყნებული 4 მასალიდან ნეგატიური ტონი 3-ს ჰქონდა და სამივე სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს ეხებოდა.



დიაგრამა N40 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი კვლევის სუბიექტებში

ბეჭდურ მედიას მონიტორინგის საკვლევ საკითხებზე გამოქვეყნებულ 21 მასალაში სულ 25 წყარო ჰყავდა. მათ შორის იყო: 7 ჟურნალისტი, 5 პოლიტიკოსი, 4 მასწავლებელი, 3 ექიმი, 2 საზოგადოების წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სასულიერო პირი, სახალხო დამცველის ოფისისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები (იხ. ცხრილი N5). ამასთანავე, მათი უმრავლესობა (15) საკითხზე პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა. წყაროთა მრავალფეროვნებით გაზეთი „ახალი განათლება“ გამოირჩეოდა. სწორედ მას ჰყავდა ჩაწერილი ყველაზე მეტი რესპონდენტიც (9) და მათგან 4 მასწავლებელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა არცერთ მედიასაშუალებას მასწავლებელი წყაროდ არ ჰყოლია. უნდა გამოვყოთ ასევე გაზეთი „ასავალ-დასავალიც“, რადგან მას 6 მასალაში სულ ინფორმაციის 7 წყარო ჰყავდა. აქედან 5 შემთხვევაში ის თავად ამ გაზეთის ჟურნალისტი იყო და ყველა ამ მასალას ნეგატიური ტონი ჰქონდა. წყაროსთან არის დაკავშირებული გაზეთ „ალიაში“ პოზიტიური ტონით გამოქვეყნებული მასალაც, ვინაიდან აქ მედიის წყარო იყო ექიმი, რომელიც სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ საუბრობდა.

	ალია	ასავალ-დასავალი	ახალი განათლება	ახალი თაობა	ვერსია	კვირის პალიტრა	რეზონანსი	სარკე
ჟურნალისტი	1	5	1					
პოლიტიკოსი	1	2	1		1			
მასწავლებელი			4					
ექიმი	1			1		1		
საზოგადოება	1							1
განათლების სამინისტრო			1					
სასულიერო პირი							1	
სახალხო დამცველის ოფისი			1					
ფსიქოლოგი			1					

ცხრილი N5- ბეჭდური მედიის წყარო სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

სქესობრივი განათლების საკითხებზე ბეჭდურ მედიაში ქალი და კაცი რესპონდენტები თითქმის თანაბარი რაოდენობით საუბრობდნენ. მათგანი 12 ქალი იყო, 11 კი - კაცი. თუმცა, ორივე მათგანი მონიტორინგის სუბიექტი ჟურნალ-გაზეთებიდან მხოლოდ „ასავალ-დასავალს“ ჰყავდა ჩაწერილი (2 ქალი და 4 კაცი). დანარჩენ მედიებს კი ან მხოლოდ ქალი რესპონდენტები ჰყავდათ, ან მხოლოდ კაცები. მათგან ყველაზე მეტი ქალი რესპონდენტი გაზეთ „ახალ განათლებას“ ჰყავდა (9), ყველაზე მეტი კაცი რესპონდენტი კი - გაზეთებს „ალიასა“ და „ასავალ-დასავალს“ (4-4) (იხ. დიაგრამა N41).



დიაგრამა N41 - რესპონდენტთა სქესი ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

როგორც კაცი, ასევე ქალი რესპონდენტების უმრავლესობა საკვლევ საკითხებზე პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა. თუმცა, საკმაოდ განსხვავებული მაჩვენებლები გამოიკვეთა რესპონდენტის სქესისა და გაშუქების ტონის ერთად გაანალიზებისას. აღმოჩნდა, რომ კაცი რესპონდენტები საკვლევ საკითხებზე უმეტესად ნეგატიური ტონით გაშუქების დროს საუბრობდნენ (იხ. დიაგრამა N42). სწორედ ასეთია 11-დან 7 შემთხვევა და 6 მათგანი სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს შეეხებოდა. კაცი რესპონდენტის საუბრისას, პოზიტიური ტონი მხოლოდ ერთ მასალას ჰქონდა. ქალი რესპონდენტების გაშუქებისას კი პირიქით, 12-დან - მხოლოდ ერთს. ქალები სქესობრივი განათლების საკითხებზე უმეტესად ნეიტრალურ (6) და პოზიტიურ(5) ტონში საუბრობდნენ. 5-ვე პოზიტიურ ტონში გაშუქებული მასალა, სადაც რესპონდენტი ქალი იყო, სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხს შეეხებოდა მაშინ, როცა არცერთ კაც რესპონდენტს ამ თემაზე არ უსაუბრია.



დიაგრამა N42 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რესპონდენტის სქესის მიხედვით ბეჭდურ მედიაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2019 წელს ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკვლევ საკითხებზე გამოქვეყნებული 21 მასალიდან 11 პირდაპირი გაშუქება იყო, თუმცა, მათგან არცერთ შემთხვევაში გენდერული ბალანსი დაცული არ ყოფილა (იხ. დიაგრამა N43).



დიაგრამა N43 - გენდერული ბალანსი ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

1.6 ორგანიზაცია „თანადგომა“ სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

გაშუქების რაოდენობა	6
გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა	თებერვალი - 2 მარტი - 2 აპრილი - 1
ტელევიზია გადაცემის ტიპი ფორმატი	რუსთავი 2 თოქ-შოუ „არჩევანი“ გადაცემა - 1
ონლაინ მედია ფორმატი	radiotavisupleba.ge ვიდეო - 1
რადიო გადაცემის ტიპი ფორმატი	რადიო იმედი დილის გადაცემა „დილის არხი“, პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, გადაცემის ბლოკი - 4
გაშუქებული ქვეკატეგორია და რაოდენობა	სქესობრივი განათლების საჭიროება - 3 სქესობრივი განათლება სკოლაში - 3
გაშუქების ტიპი	პირდაპირი - 3 ირიბი - 3
გაშუქების ტონი	პოზიტიური - 3 ნეიტრალური - 3
„თანადგომა“ როგორც წყარო	მაია ჯიბუტი -3, ხათუნა ხაჟომია - 2

2.1 სქესობრივი განათლების საკითხები ტელევიზიებში - თვისებრივი ანალიზი

2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხებს მონიტორინგისთვის შერჩეული ტელევიზიები უმეტესად ირიბად ეხებოდნენ. მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია „თანადგომას“ დაკვეთით 2018 წელს ჩატარებული კვლევის [„სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქება ქართულ მედიაში“] შედეგებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ამ წელს სამაუწყებლო მედიაში თემის გაშუქების მაჩვენებელი თითქმის სამჯერ არის გაზრდილი. თუ გასულ წელს მონიტორინგის სუბიექტმა 5-მა ტელევიზიამ სქესობრივი განათლების შესახებ სულ 13 მასალა მოამზადა, 2019 წელს გაშუქების მაჩვენებელი 50-ია, რაც ცალსახად პოზიტიური ფაქტია. ეს ზრდა “ბავშვის უფლებათა კოდექსში” შესატან ცვლილებაზე დაწყებულ მსჯელობას უკავშირდება. მართალია, ეს კონკრეტული ფაქტი მარტის თვეში მოხდა, თუმცა, გარკვეულწილად მისი გავლენით სქესობრივი განათლების საკითხები მედიის დღის წესრიგში მთელი წლის განმავლობაში დარჩა.

სქესობრივი განათლების გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებით დაიწყო და თანდათან სხვა გადაცემებშიც გადაინაცვლა, მაგრამ ეს იყო უკვე ისეთი კონკრეტული საკითხების გაშუქება, როგორიცაა: სქესობრივი განათლების საჭიროება, მისი სკოლაში სწავლება და მის მიმართ პროტესტი. ამასთანავე, შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს ის ფაქტი, რომ ტელევიზიები სქესობრივი განათლების საკითხებს უმეტესად ისეთი გადაცემების ფორმატში განიხილავდნენ, სადაც მიწვეულ სტუმრებსა თუ თავად ჟურნალისტებს მსჯელობისა და შეფასებებისთვის საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ და არა მხოლოდ რამდენიმე წუთი. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხებს საეთერო დრო დაუთმეს თოქ-შოუს ტიპის გადაცემებმაც, სადაც თემაზე მსჯელობა კიდევ უფრო ფართოდ და მრავალმხრივად მიმდინარეობს, ვიდრე სხვა პროფილის გადაცემებში. მართალია, საკვლევ საკითხებზე ირიბი გაშუქების დროს უფრო ხშირად მსჯელობდნენ ვიდრე პირდაპირისას, მაგრამ ორივე მათგანის შემთხვევაში, ამ მსჯელობას გადაცემა ან გადაცემის ბლოკი ეთმობოდა, რაც მაყურებლისთვის ბევრად უფრო ინფორმატიული იყო, ვიდრე მაგალითად, ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტი.

მნიშვნელოვანი მიგნებაა ისიც, რომ პირდაპირი გაშუქების რაოდენობის სიმცირის მიუხედავად, მათი უმრავლესობა პოზიტიური იყო და კვლევის სუბიექტ ტელევიზიებში სქესობრივი განათლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არ გამოკვეთილა. პირიქით, საინფორმაციოს გარდა, მონიტორინგის ბაზაში მოხვედრილ ყველა ტიპის გადაცემაში ყურადღება სქესობრივი განათლების საჭიროებასა და მის სკოლაში სწავლების აუცილებლობაზე მახვილდებოდა. ინფორმაციის წყარო კი სხვა არაერთი სფეროს წარმომადგენელთან ერთად, ჟურნალისტებიც იყვნენ და ისინიც აქტიურად ერთვებოდნენ თემის განხილვაში. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ გასულ წელს კვლევის სუბიექტ მაუწყებლებში სქესობრივი განათლების საკითხებზე ყველაზე ნაკლებად სასულიერო პირები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები საუბრობდნენ. სოფო კილაძე, ფაქტიურად ერთადერთი

პოლიტიკოსია, რომელიც გასულ წელს საკვლევ თემაზე საუბრობდა. ფსიქოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო ხშირად განიხილავდნენ სქესობრივი განათლების სწავლების საკითხს, ვიდრე განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და კანონმდებლები. თვალშისაცემია ისიც, რომ მედიის წყაროებს შორის ყველაზე ნაკლებად იყვნენ: მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, მოსწავლეები და მშობლები, ანუ ის პირები, რომელთაც აღნიშნული საკითხი უშუალოდ ეხებათ. როგორც მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, გადაწყვეტილების მიმღები [კანონმდებელი თუ აღმასრულებელი] პირები და იმ ჯგუფის წარმომადგენლები, ვისაც ეს გადაწყვეტილება ეხება, სქესობრივი განათლების საკითხების განხილვისას პასიურ პოზიციაში იყვნენ წარმოდგენილნი.

რაც შეეხება მედიის რესპონდენტთა სქესს სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას, დადგინდა, რომ ქალი რესპონდენტების რაოდენობა თითქმის ორჯერ მეტია კაცებზე, თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავება საკითხებისადმი დამოკიდებულებაში არ შეინიშნება. აღსანიშნი აქ სხვა რამ არის, თემის პირდაპირი გაშუქების დროს სქესთა შორის ბალანსი უმრავლეს შემთხვევაში დაცულია. ფაქტია, რომ როდესაც ტელევიზიას გადაცემის ფორმატი რამდენიმე სტუმრის მოწვევის საშუალებას აძლევდა, ის იცავდა სქესთა შორის ბალანსსაც.

კონკრეტულ ტელევიზიებზე თუ ვისაუბრებთ, 5 მაუწყებელს შორის უნდა გამოვყოთ აჭარის ტელევიზია. შეიძლება ითქვას, რომ არხს სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების მიმართ ერთგვარი სამაუწყებლო პოლიტიკა ჰქონდა, ვინაიდან, 2019 წლის განმავლობაში ის ყველაზე მეტად ინტერესდებოდა ამ თემით და მასზე მასალა აგვისტოსა და სექტემბრის გარდა ყველა თვეში მოამზადა. მას საკვლევი თემა მხოლოდ თოქ-შოუს ფორმატში არ გაუშუქებია. აჭარის ტელევიზიის სოციალურმა მედია პროდუქტმა „ჰეშთეგმა“ კი მონიტორინგის სუბიექტ გადაცემებს შორის თემა პირდაპირ ყველაზე მეტჯერ გააშუქა. გადაცემაში განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სექსუალური განათლების დეფიციტი, „უხერხული გაკვეთილები“, რეპროდუქცია, განათლების პოლიტიკა, სქესობრივი განათლების საჭიროება და სხვ.

“ჰეშთეგი” აქტიურად აშუქებდა ტრენინგების კურსს სახელწოდებით „იცოდე შენი სხეული“, რომელიც აჭარაში ტარდებოდა და გოგონებისთვის სხვა საკითხებთან ერთად, სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ისახავდა მიზნად. პოზიტიური გაშუქების მაგალითად უნდა განვიხილოთ 2019 წლის 16 ოქტომბერს გასული გადაცემის ერთ-ერთი ბლოკი, რომლის თემა „სექსუალური განათლების დეფიციტი და ძალადობა ბავშვებზე“ იყო და სტუმრად ჰყავდათ გენდერის მკვლევარი, ხატია ახალაია. წამყვანებმა სტუმართან ერთად საუბარი პედოფილიის ერთ-ერთი ფაქტის განხილვით დაიწყეს და შემდეგ გადავიდნენ სქესობრივი განათლების საჭიროების თემაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ გადაცემაში სქესობრივი განათლება წარმოჩენილია, როგორც პრევენცია ბევრი საკმაოდ რთული და არასასურველი მოვლენისა, რომელიც შეიძლება ბავშვს შეემთხვეს. წამყვანები ცდილობდნენ, განათლების ეს მიმართულება პოზიტიურად

წარმოეჩინათ და მაყურებელი მის საჭიროებაში დაერწმუნებინათ. სქესობრივი განათლების აუცილებლობის შესახებ საუბრობდნენ ასევე 2019 წლის 7 იანვარს გასული გადაცემის ბლოკშიც, სადაც ხატია ახალაია უშუალოდ სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებაზე ამახვილებდა ყურადღებას და საკითხის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას, მითებს თუ ამ საგნის ანტიდასავლური პროპაგანდის ჭრილში განხილვას, ინფორმაციის ნაკლებობით ხსნიდა.

2019 წლის 18 თებერვალს გასული „ჰეშთეგი“ კი მთლიანად სქესობრივი განათლების საჭიროებას ეხებოდა. ეს იყო საკვლევი თემის პოზიტიური გაშუქების ფაქტი, რომელიც შეიძლება სამოდელო მაგალითად განვიხილოთ. ვინაიდან, გარდა იმისა, რომ თემას მთელი გადაცემა დაეთმო, აქ წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა რგოლი, რომელსაც აღნიშნული საკითხი ეხება. სქესობრივი განათლების თემაზე მომზადებული იყო მცირე სიუჟეტი და ქუჩის გამოკითხვა, რომელშიც რესპონდენტებს შორის იყვნენ: საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები, მასწავლებელი, ექიმი. გადაცემაში სტუმრად ჰყავდათ ფსიქოლოგი და სფეროს ექსპერტი. წარმოჩენილი იყო ყველა პოზიტიური თუ ნეგატიური დამოკიდებულება, რაც ამ პროცესის მიმართ საზოგადოებაში არსებობს. თუმცა, ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება ამ თემის მიმართ მხოლოდ ქუჩის გამოკითხვის დროს ჩაწერილ ერთ-ერთ რესპონდენტს ჰქონდა, რომელიც ამბობდა, რომ: „მისით მიხვდება და გეიგებს [ბავშვი]! მასე, ჩვენი დრო რომ მოვიდა და მოვმწიფდით, მერე გევიგეთ. რათ უნდა მაგას განათლება და ის!“ დანარჩენ შემთხვევაში მთელი გადაცემა ამ თემის პოზიტიურად წარმოჩენას ემსახურებოდა.

გარდა გადაცემა „ჰეშთეგისა“, სქესობრივი განათლების თემა პოზიტიურად და პირდაპირ გააშუქა აჭარის ტელევიზიის სამედიცინო პროფილის გადაცემა „იმპულსმაც“. 2019 წლის 22 ივლისს გასული „იმპულსი“ მთლიანად ბავშვებში სქესობრივი განათლების საკითხს ეხებოდა. გადაცემის წამყვანი - ირაკლი ფარულავა მოწვეულ სტუმართან, ფსიქოლოგ ქეთევან ბერიძესთან ერთად სქესობრივი განათლების საჭიროებაზე და ამ პროცესში მშობლის ჩართულობის მნიშვნელობაზე საუბრობდა. ამავე თემაზე ჰქონდათ მომზადებული საინფორმაციო რგოლიც. მართალია, ეს არ არის ერთადერთი გადაცემა, რომელიც „იმპულსმა“ საკვლევ საკითხებს დაუთმო, თუმცა, სამედიცინო პროფილის გადაცემებიდან ყველაზე მეტჯერ სქესობრივი განათლების თემა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემამ „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“ გააშუქა. რაც შეეხება სხვა ტელევიზიებს, ტვ იმედის „ექიმებმა“ თემა ერთხელ ირიბად გააშუქა, რუსთავი 2-ის „პირადი ექიმს“ მონიტორინგის პერიოდში საკვლევ თემაზე მასალა არ მოუმზადებია, ტელეკომპანია პირველს კი სამედიცინო ტიპის გადაცემა საერთოდ არ ჰქონდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სამედიცინო გადაცემიდან „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“ უნდა გამოვყოთ პოზიტიური გაშუქების 2 ფაქტი. 2019 წლის 29 იანვარს გადაცემის თემა იყო „ბავშვის სქესობრივი აღზრდა“, სადაც წამყვანი - მარი მალაზონია სექსოლოგ სტუმართან - ლევან კობალაძესთან ერთად სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხს განიხილავდა. გადაცემა გამორჩეულია იმით, რომ ისინი საუბრობდნენ გარდატეხის ასაკში ბავშვის ფიზიკური და რეპროდუქციული განვითარების ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, რომლის შესახებ ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მათ შორის დასახელებულია მენსტრუალური ციკლი - გოგონებში

და მასტურბაცია - ბიჭებში. ყურადღება გამახვილებულია მშობლის როლის მნიშვნელობასა და უხერხულობის დაძლევაზე ამ პროცესში. ამ გადაცემისგან განსხვავებით, 2019 წლის 17 ივნისს გასულ მასალაში - „სქესობრივი კულტურა და სექსუალური ძალადობა“ აქცენტები უფრო მეტად სქესობრივი განათლების სკოლაში მიღების საკითხზეა დასმული. მარი მალაზონია თემას სექსოლოგ ლევან კობალაძესთან და რეპროდუქტოლოგ - ჯენარა ქრისტესაშვილთან ერთად განიხილავდა. რეპროდუქტოლოგმა მაგალითად ბრიტანული სწავლების მოდელი მოიყვანა და ამის ფონზე, ქართულ სისტემის ხარვეზებზე ისაუბრა. ორივე სტუმარმა აღნიშნა ის მნიშვნელოვანი პრევენციული სარგებელი, რომელიც ამ ტიპის განათლებას მოაქვს. კონკრეტულად, ისინი სქესობრივი განათლების სწავლებას ნაადრევი ქორწინების, არასასურველი ორსულობის, სქესობრივი ინფექციებით დაავადებისა და ძალადობის ფაქტების თავიდან არიდების ბერკეტად წარმოაჩენდნენ.

გარდა სამედიცინო პროფილის გადაცემისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გამორჩეული იყო იმითაც, რომ თოქ-შოუს ფორმატის გადაცემებიდან ყველაზე მეტჯერ საკვლევი საკითხები მის თოქ-შოუში -„აქტუალური თემა მაკა ციცაძესთან ერთად“ გაშუქდა. მართალია, 4 გაშუქებიდან სქესობრივ განათლებას ოთხივე ირიბად ეხებოდა, თუმცა, უნდა გამოვყოთ ორი მათგანი. კერძოდ, 2019 წლის 14 ივნისს გასული გადაცემა, რომლის თემა „ნაადრევი ქორწინება და საზოგადოების დამოკიდებულება“ იყო. გადაცემა დაიწყო 9 ივნისს კახეთში, ლაგოდეხში მომხდარი ამბის განხილვით. 16 წლის გოგონა მეზობელმა გააუპატიურა, თუმცა მან ეს ფაქტი შიშისა და მოძალადის მუქარის გამო დამალა. აღმოჩნდა, რომ გოგონა ორსულად იყო. თუმცა, მან ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც სკოლაში მუცელი ასტკივდა და საავადმყოფოში მიყვანილმა ბავშვი გააჩინა. გოგონას თქმით, არ იცოდა თუ ორსულად იყო და არც იმაზე ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სქესობრივ აქტს. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით, გადაცემაში ფსიქოლოგმა - ნინო გოგიჩაძემ სქესობრივი განათლების კრიტიკულ საჭიროებაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა, როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე. „ადრეული ქორწინება - მიზეზები, შედეგები, გამოსავალი“ იყო 2019 წლის 25 ოქტომბერს გასული გადაცემის თემაც. თუმცა, აქ უმეტესად სკოლაში მისი სწავლების აუცილებლობაზე ისაუბრეს. გადაცემაში მოწვეული ჟურნალისტი - რამილია ალიევა და ბოშათა თემის აქტივისტი - ელენე პროშიკიანი აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოება არ არის მზად ამ ტიპის განათლების სკოლაში შეტანისთვის, თუმცა, მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, გარკვეულმა წრეებმა და უშუალოდ ჩართულმა მხარეებმა უნდა დაიწყონ საინფორმაციო კამპანია სქესობრივი განათლების კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მიმღებლობის გასაზრდელად, განსაკუთრებით კი მშობლებისა და მასწავლებლების წრეებში. მათი თქმით, ხშირად სწორედ ისაა პრობლემა, რომ ეს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი უხერხულობისა თუ ტაბუების გამო ვერ აწვდის ბავშვებს მათთვის საჭირო ინფორმაციას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის თოქ-შოუსგან განსხვავებით, სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხი პირდაპირ გააშუქა რუსთავი 2-ის თოქ-შოუმ „არჩევანი“. 2019 წლის 19 თებერვალს აღნიშნული საკითხის გაშუქებას მთელი გადაცემა დაეთმო. „არჩევანის“ თემა იყო „სქესობრივი განათლება სკოლებში“ და ის წყაროთა და მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

საკითხზე მსჯელობა დაიწყეს სქესობრივი განათლების შესახებ ვიდეოების ავტორის - ხატია ახალაიას მიმართ მუქარის ფაქტის განხილვით. მუქარა სწორედ მის მიერ ამ ტიპის ვიდეოების მომზადებას მოჰყვა. თუმცა, ახალაიას გარდა სტუმრად იყვნენ ორგანიზაცია "თანადგომას" წარმომადგენლები - მაია ჯიბუტი და ხათუნა ხაჟომია, ასევე განათლების სფეროს ექსპერტი - რევაზ აფხაზავა, ფსიქოლოგი - მაია ცირამუა, „აი ისას" დამფუძნებელი - ანანია გაჩეჩილაძე და საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი და სახელმწიფოს" დამფუძნებელი - ზვიად ტომარაძე. გადაცემის თემაზე მომზადებული იყო ქუჩის გამოკითხვაც. უცნაურია, მაგრამ გამოკითხული მოქალაქეებიდან სქესობრივი განათლების სწავლებას უფროსი ასაკის რესპონდენტები უფრო მეტად ემხრობოდნენ, ვიდრე ახალგაზრდები. გამოკითხვაში გაჟღერდა რამდენიმე ნეგატიური კომენტარიც. მაგალითად, ერთი მოქალაქე კითხვაზე: „უნდა ისწავლებოდეს თუ არა სქესობრივი განათლება სკოლაში?" პასუხობდა:

მოქალაქე: "არა, არ უნდა ისწავლებოდეს და იმიტომ! არაა საჭირო. გარყვნილების, ალბათ, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია, რომელიც ბიძგია იმისა, რომ პირდაპირ განათლებას აძლევ იმისას რა როგორ უნდა მოხდეს".

მეორე საგნის სწავლებას ახალგაზრდობის გახრწნად მიიჩნევდა:

მოქალაქე: "არაფრით არ შეიძლება! ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ გაიხრწნას ახალგაზრდობა და ბავშვები. ბავშვობიდან იწყებენ გახრწნას და გადაგვარებას!"

მესამე კი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ტიპის განათლების აუცილებლობას საერთოდ ვერ ხედავდა:

მოქალაქე: "ჩემო კარგო, გამოქვაბულშიც კარგად ახერხებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამ სექსუალურ ურთიერთობებს".

ქუჩის გამოკითხვაში ჩაწერილი რესპონდენტების მოსაზრების გაბათილებას და სქესობრივი განათლების საჭიროების წარმოჩენას ცდილობდნენ სტუდიაში მყოფი სტუმრები. მათ პოზიციას მხოლოდ ზვიად ტომარაძე არ ეთანხმებოდა. თუმცა, დისკუსიისა და ტერმინების განხილვის შემდეგ, შეაჯამეს, რომ მთავარია, ბავშვებმა მიიღონ ამ ტიპის განათლება, რათა დაცულები იყვნენ ბევრი იმ უარყოფითი გამოწვევისგან, რასაც ინფორმაციის ნაკლებობა შედარებით ზრდასრულ ასაკში იწვევს. ორგანიზაცია „თანადგომას" წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ამ მიზნის მისაღწევად ჩართულმა მხარეებმა მაქსიმალურად ნეიტრალური ფორმა და შინაარსი უნდა აირჩიონ, რათა საზოგადოებაში არსებული მიუღებლობა კიდევ უფრო არ გაზარდონ. აღსანიშნავია, რომ თოქ-შოუ „არჩევანის" წამყვანი - გიორგი გაბუნია მთელი გადაცემის განმავლობაში საკვლევი საკითხის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენდა.

რუსთავი 2-ის გადაცემებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, შუადღის გადაცემა „სხვა შუადღე", რომელმაც 2019 წელს სქესობრივი განათლების თემა როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად რამდენჯერმე გააშუქა. მაგალითად, 2019 წლის 6 მაისს გადაცემის ერთ-ერთი ბლოკის თემა იყო „როგორ დავგეგმოთ დაოჯახება". ამ ბლოკის სტუმრები ქალთა უფლებების დამცველი - იდა ბახტურიძე და ფსიქოლოგი თამარ თანდაშვილი იყვნენ. იდა ბახტურიძემ თქვა, რომ მიუხედავად საზოგადოების მზაობის დონისა, ექსპერტებმა და პროფესიონალებმა აქტიურად

უნდა დაიწყონ ამ თემაზე საუბარი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, რათა მომავალში პრევენცია მოხდეს ბევრი უფრო პრობლემატური საკითხისა. თამარ თანდაშვილმა კი საკუთარ სამუშაო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ასეთი შეფასება გააკეთა: „ძალიან ბევრი ჩემი პაციენტი, რომელიც ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო, გადარჩებოდა, ვინმეს პატარაობაშივე რომ მიეწოდებინა მისთვის სექსუალობის შესახებ ინფორმაცია“.

სქესობრივი განათლების საკითხებზე არსებული ტაბუების მოხსნას ეხმიანებოდა ტელეკომპანია იმედის შუადღის გადაცემა „იმედის დღის“ 2019 წლის 7 თებერვალს გასული გადაცემის ერთი ბლოკიც. ამ ბლოკში „ბავშვებში სქესობრივი აღზრდის“ შესახებ საუბრობდნენ. წამყვანის თქმით, სწორედ ამ საკითხზე დადებულ ტაბუებს მიჰყავს საზოგადოება ისეთ ტრაგიკულ შედეგებამდე როგორიც არის: არასრულწლოვნებს შორის ძალადობა, აგრესია, ნაადრევი ქორწინება, არასასურველი ორსულობა და სხვ. ჟურნალისტი არ აკონკრეტებს, თუმცა, საუბრობს კვლევების შედეგებზე, რომლის მიხედვითაც ბევრი ახალგაზრდა ამბობს, რომ სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაცია მეგობრებისგან მიიღო. ამ საკითხს ეხმიანებოდა სტუდიაში მოწვეული სტუმარი, ფსიქოლოგი - ნატა მეფარიშვილი, რომელიც მშობლის როლზე ამახვილებს ყურადღებას. ის წეროსა და კომბოსტოს შესახებ მითების დაგმობას ემხრობოდა. ფსიქოლოგის აზრით, მშობლებმა შვილებს ეტაპობრივად, მათივე კითხვების შინაარსის გათვალისწინებით უნდა მიაწოდონ ეს ინფორმაცია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასაჯონ ასეთი საკითხებით დაინტერესების გამო. მშობლებმა უნდა ასწავლონ შვილებს სექსუალური ადგილების სახელები, ასევე ვინ შეიძლება შეეხოს მათ ამ ადგილებზე და შეუქმნან პირადი სივრცის განცდა, რითიც ისინი შვილებს შესაძლო მოძალადეებისგან დაიცავენ.

რაც შეეხება დილის გადაცემებს, კვლევის სუბიექტი ტელევიზიებიდან გაშუქების სიხშირით ტელეკომპანია იმედის დილის გადაცემა „იმედის დილა“ გამოირჩეოდა. მის მიერ მომზადებული მასალებიდან უნდა გამოვყოთ 2019 წლის 3 აპრილს გასული გადაცემის ერთ-ერთი ბლოკი. ამ ბლოკის სასაუბრო თემა „სქესობრივი აღზრდა, სქესობრივი განათლების დეფიციტი“ იყო და ის სქესობრივი აღზრდის გაკვეთილებთან დაკავშირებით დაგეგმილ ცვლილებას ეხმიანებოდა. ეს გაშუქება გამორჩეულია წამყვანებისა და ჟურნალისტების განსაკუთრებული ჩართულობით, ისევე როგორც გამოყენებული რესურსებით. „იმედის დილის“ ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში ჩაატარა გამოკითხვა იმის გასაგებად, თუ როგორ აფასებდნენ საზოგადოებაში სოფო კილაძის მიერ გაუღერებულ ინიციატივას. შეკითხვაზე - „საჭიროა თუ არა მშობლის ნებართვა იმისათვის, რომ მოსწავლე დაესწროს სქესობრივი აღზრდის გაკვეთილებს სკოლაში?“ გამოკითხულთა 72%-მა უპასუხა, რომ „მშობლის ნებართვა აუცილებელია“. თვითონ ჟურნალისტი მშობლის ნებართვას საჭიროდ არ მიიჩნევს და ცდილობს საზოგადოება სქესობრივი განათლების უპირობო საჭიროებაში დაარწმუნოს. ამისათვის ის საუბრობს იმ ნეგატიურ შედეგებზე, რასაც ამ ტიპის განათლების არ ქონა იწვევს. ერთ-ერთ მაგალითად ნაადრევი ქორწინება მოჰყავს და ამ არგუმენტის გასამყარებლად 2018 წელს არასრულწლოვანი მშობლების ოფიციალურ სტატისტიკას იშველიებს და ამბობს, რომ ეს მაჩვენებელი საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით 8-ჯერ მაღალია. ჟურნალისტი ნათია ორველაშვილი ასევე საუბრობს ამ კუთხით სხვა ქვეყნების პოლიტიკასა და გამოცდილებაზე. ყველაზე პროგრესულ ქვეყნად შვეიცარიას ასახელებს, სადაც ჯერ კიდევ 1950 წლიდან შემოიღეს სკოლაში ამ საგნის სწავლება. ის ასევე საუბრობს საფრანგეთის, გერმანიის,

ნიდერლანდების, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე და იმ პოზიტიურ შედეგებზე, რომელიც სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებამ მოიტანა. რის გამოც ამ ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება სქესობრივი განათლების სწავლების მომხრე მშობლების პროცენტული რაოდენობა. ამ მიმოხილვის შემდეგ, გადაცემაში თემის განხილვა წამყვანებმა ფსიქოლოგ დავით ანდღულაძესთან ერთად გააგრძელეს და ამ პროცესში მშობლის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში დაცული იყო სქესთა შორის ბალანსი, მიმდინარეობდა მრავალმხრივი და ინფორმატიული მსჯელობა, რაც მაყურებელს საკითხზე ამომწურავ და პოზიტიურ ინფორმაციას აწვდიდა.

ამავე პერიოდში, 2019 წლის 28 მარტს, სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების შესახებ ქუჩის გამოკითხვა მოამზადა აჭარის ტელევიზიის დილის გადაცემა „რადიოვიზიამაც“. ეს ეთერიც სქესობრივი განათლების მშობლის თანხმობით სწავლების საკითხს ეხმიანებოდა, თუმცა, გადაცემა „იმედის დილის“ ზემოთ აღნიშნული მაგალითისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ჟურნალისტები მხოლოდ საზოგადოების შეფასებებით დაინტერესდნენ და საკითხი სტუდიაში არ განუხილავთ. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტები კი საკითხზე განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. მათ შორის ნეგატიურსაც:

მოქალაქე: „წინაპრებისთვის არ უსწავლებიათ და ჯანსაღი ერი გვყავდა და ეხლა თუ იმდენი გამოჩერჩეტებულია ჩვენი ერი, რომ ეს სჭირდება ამ ახალგაზრდობას, მე მგონია საოცარი სიტუაციის წინაშე ვდგევართ“.

მოქალაქე: „უსწავლელმაც კარგად მოიყვანა ის ცოლი და კარგად ყავდა! არ უჭამია სირცხვილი უსწავლელს!“

მოქალაქე: „არავითარი! არავითარი მაგნაირი! სკოლებში ის უნდა ასწავლო, სექსი?! ვინ მეიგონა მაგი ამ უტვინოებმა ამათ!“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია აჭარის ტელევიზიის დილის გადაცემაში სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხი დისკუსიის ფორმატით არ განუხილავთ, თუმცა, საკითხზე ყოვლისმომცველი მსჯელობა გაიმართა ამავე არხის კვირის შემაჯამებელ გადაცემაში „კვირის მთავარი“. 2019 წლის 31 მარტს გასულ გადაცემაში სოფო კილაძის ინიციატივაზე ისაუბრეს და განიხილეს „უნდა მიიღონ თუ არა ბავშვებმა სექსუალური განათლება სკოლაში? ბავშვთა კოდექსის ძლიერი და სუსტი მხარეები“. ეს იყო გაშუქების იშვიათი გამონაკლისებიდან ერთ-ერთი, რომელშიც მედიას ჩაწერილი ჰყავდა თითქმის ყველა ის წყარო, რომელსაც საკითხი უშუალოდ ეხება. მათ შორის: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგი, პოლიტიკოსები, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი. სტუდიაში კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - ანა აბაშიძე ჰყავდათ მიწვეული. გადაცემაში ყურადღება გამახვილებული იყო ამ საგნის სწავლებისას ქვეყნის ტრადიციული კონტექსტისა და ბავშვის ასაკის გათვალისწინების მნიშვნელობაზე. რესპონდენტები იხსენებდნენ საგან „მე და საზოგადოებას“, რომლის მიმართაც საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულება მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი და სწორი ინფორმაცია ამ საგნის არსისა თუ თემატიკის შესახებ. გადაცემის რესპონდენტების თქმით ჩართულმა მხარეებმა არ უნდა დაუშვან, რომ იგივე პროცესები ხელახლა განვითარდეს და მაქსიმალურად უნდა მოერიდონ ამ საკითხის განხილვისას რადიკალური განცხადებებისა თუ გადაწყვეტილებების გაჟღერებას.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის სუბიექტი 5 ტელევიზიიდან კვირის შემაჯამებელი გადაცემა 4-ს ჰქონდა და 2019 წელს ოთხივე მათგანმა გააშუქა სქესობრივი განათლების თემა. მაგალითად, ტელეკომპანია იმედის „იმედის კვირამ“ 31 მარტს სიუჟეტი დაუთმო „კილაძის სადავო ინიციატივას“ და ის ძირითადად საკანონმდებლო ცვლილებას შეეხებოდა. თუმცა, არ იყო ისეთივე მასშტაბური და მრავალმხრივი როგორც ამავე დღეს აჭარის ტელევიზიის „კვირის მთავარში“ გასული რეპორტაჟი. რაც შეეხებათ სხვა ტელევიზიებს, რუსთავი 2-ის გადაცემა „პოსტ კრიპტუმმა“ 2019 წლის 17 თებერვალს სიუჟეტი სქესობრივი განათლების ვიდეოების ავტორის ხატია ახალაიას მიმართ მუქარას მიუძღვნა და მასთან კავშირში გააშუქა სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხი. 2019 წლის 9 ივნისს კი საზოგადოებრივი მაუწყებლის კვირის შემაჯამებელ გადაცემა „ახალი კვირის“ ერთ-ერთ ბლოკში „შემთხვევითი დედობის“ ფაქტზე ისაუბრეს. ეს გახლდათ ზემოთ განხილული შემთხვევა, როცა ლაგოდეხში 16 წლის გოგომ გაუპატიურების შემდეგ ბავშვი ისე გააჩინა, რომ ორსულობის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონია. ჟურნალისტმა ეს ფაქტი სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების მნიშვნელობის დასაბუთებისთვის გამოიყენა. გარდა იმისა, რომ მან თავად გაუსვა ხაზი ასეთი ტიპის განათლების მიღების კრიტიკულ აუცილებლობას, სიუჟეტში ამავეს ამბობდნენ მისი რესპონდენტები - სკოლის მასწავლებელი, დაზარალებული გოგონას დედა და თავად ეს ბავშვი. სიუჟეტის ყველაზე ემოციური და მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ გოგონას კომენტარია, რომელიც ამბობს:

16 წლის გოგონა: „მე რომ მცოდნოდა ორსულობის შესახებ, აუცილებლად გავიკეთებდი აბორტს. რომ მცოდნოდა დედასაც ვეტყოდი... ციკლი პირველად რომ მომივიდა და მერე შემიწყდა, ვიფიქრე, რომ ეს ასეც უნდა იყოს და ეს ნორმალურია. არავისთვის მიკითხავს რატომ მოხდა ეს. ბუნებრივად მიმაჩნდა. ორსულობის შესახებ არაფერი ვიცოდი, არც მაინტერესებდა ეს თემა. მრცხვენოდა... მე არასდროს მქონია სხვა ბიჭთან ურთიერთობა და ჩემი მშობლები არასდროს შემირცხვენია...“

გაშუქების ეს კონკრეტული ფაქტი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია მედიას თავად გახდეს ინიციატორი მთავარ ამბავთან კავშირში მყოფი ისეთი აქტუალური პრობლემის პოზიტიური კუთხით გაშუქებისა, რომლის მიმართაც საზოგადოებაში უმეტესად ნეგატიური განწყობა არსებობს. ეს ერთის მხრივ, წარმოაჩენს საგანმანათლებლო სისტემის ხარვეზს, მეორე მხრივ ისეთი პრობლების სიმწვავეს, როგორიც არის ტაბუდადებული თემები საზოგადოებაში, მშობლებსა და შვილებს შორის და მესამე მხრივ, აჩვენებს ცვლილების აუცილებლობას.

მონიტორინგი სუბიექტი ტელევიზიების გაშუქების შინაარსზე მსჯელობის ბოლოს უნდა განვიხილოთ ის ტერმინოლოგია, რომლებსაც ჟურნალისტები სქესობრივი განათლების საკითხებზე მსჯელობისას იყენებდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ სამაუწყებლო მედიაში ნეგატიური გაშუქების მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა და თემა ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდა, სიძულვილის ენა თუ დისკრიმინაციული შეხედულებები მედიაში არ გაჟღერებულა. არცერთი მედიის ჟურნალისტს ნეგატიური შინაარსის მოსაზრება არ დაუფიქსირება. მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როდესაც ტელევიზიის რესპონდენტი სქესობრივი განათლების სწავლების მიმართ რადიკალურად საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებდა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ეს იყო დეკანოზ - დავით ლასურაშვილის კომენტარი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ გავიდა. სადაც ის ამბობდა, რომ:

დავით ლასურაშვილი, დეკანოზი: "ეხლა არის მოძალებული, რომ სექსუალური აღზრდა უნდა შევიდეს სკოლებში. თუ ეს ასე მოხდა, ჯვარი გვწერია! და მოხდა, ჩემი შვილები არიან მეცხრე, მეექვსე და მეთერთმეტე კლასში, არ გავუშვებ არც იმ გაკვეთილზე და თუკი ძალიან ცუდად წავიდა საქმე მე მივცემ განათლებას".

ხოლო მეორე შემთხვევაში, პოლიტიკოსმა კობა დავითაშვილმა 14 მაისს ტვ პირველის თოქ-შოუ „რეაქციაში“ სტუმრობისას განაცხადა:

კობა დავითაშვილი, პოლიტიკოსი: "...ბავშვი რომ გაიზრდება, მას ბავშვობის ასაკში ხატია ახალაიამ უნდა აუხსნას, რომ ანუსი ეს მარტო ცხოველმყოფელობის გამოყოფის საშუალება კი არაა, არამედ ზოგიერთი ადამიანისთვის სიამოვნებათ აღიქმება, ეს უნდა აუხსნას 4 წლის ბავშვს, რომ მას გაუჩნდეს ცნობისმოყვარეობა და დაინტერესდეს ამით, ეს ხდება საქართველოში, და ამ დროს რას აკეთებს სახელმწიფო... მე ვაპირებ ბრძოლას ხელისუფლებასთან, რომ კანონით აიკრძალოს ბავშვის სექსუალური განათლება..." .

რაც შეეხება უშუალოდ მედიის მიერ სქესობრივი განათლების საკითხებზე მსჯელობისას გამოყენებულ ტერმინებს, ამ ტიპის განათლებას მედია 2019 წელს უმეტესად 4 ტიპის ტერმინით მოიხსენიებდა. ესენია: “სექსუალური განათლება”, “სქესობრივი განათლება”, “სქესობრივი აღზრდა” და “სექსუალური აღზრდა”. ეს ტერმინები საერთოა მონიტორინგის სუბიექტი ხუთივე არხისთვის. თუმცა, მათ ჰქონდათ ერთმანეთისგან განსხვავებული ტერმინებიც. მაგალითად, აჭარის ტელევიზიამ რამდენჯერმე გამოიყენა ტერმინი „უხერხული გაკვეთილი, „ასევე რეპროდუქციული განათლება“, „სქესობრივი აქტის სწავლება“, „ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება“. ტელეკომპანია იმედმა - ტერმინი „ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული განათლება“, რუსთავი 2-მა - „სექსუალობის შესახებ განათლება“ და „სექსის შესახებ სკოლაში საუბარი“, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი - „რაღაც გარკვეული კურსი სექსუალობის შესახებ“. ყველა ეს ტერმინი ტელევიზიების მიერ ნეიტრალურ კონტექსტში იყო გამოყენებული.
სამწუხაროა, რომ 2019 წელს სქესობრივი განათლების შესახებ საუბრისას მონიტორინგის სუბიექტი ტელევიზიების ჟურნალისტები თითქმის არ იყენებდნენ ისეთ წყაროებს, როგორიცაა: კვლევის ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, წიგნები, სპეციალური გამოცემები, უცხოური გამოცდილების ამსახველი სტანდარტები, საგანმანათლებლო თუ სასწავლო გეგმები, სქესობრივი განათლების სახელმძღვანელოები და ა.შ.

2.2 სქესობრივი განათლების საკითხები რადიოში – თვისებრივი ანალიზი

2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხებს კვლევის სუბიექტი მედიებიდან ყველაზე ნაკლები დრო რადიომ დაუთმო. რადიოების ეთერში ყველაზე მეტი მასალა სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადდა. ამ თემას ეთერი მონიტორინგის სუბიექტმა ოთხივე რადიომ დაუთმო. ფორტუნას გადაცემა „7 რჩევა ფსიქოლოგისგან“ ერთადერთია, რომელიც ამ რადიოდან კვლევაში მოხვდა. ის მთლიანად სქესობრივი განათლების საკითხებსა და მოზარდებში მისი საჭიროების პოზიტიურ გაშუქებას დაეთმო. გადაცემაში სტუმრად მყოფმა ფსიქოლოგმა ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პროცესში მშობლების როლზეც ისაუბრა. ხაზი გაესვა სექსუალური განვითარების შესახებ სათანადო ცოდნის მნიშვნელობას ბავშვებისა და მოზარდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და

ზოგადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სქესობრივი განათლების საჭიროებას 2 სხვადასხვა გადაცემის ეთერი პირდაპირი გაშუქებისთვის დაეთმო რადიო იმედზე. ორივე გადაცემაში: „დილის არხი“ და „მე დედა ვარ“ სქესობრივი განათლების საჭიროება პოზიტიურად გაშუქდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „დილის არხის“ ეთერში არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომასთან“ ერთად მომზადებული პროექტი - „გზავნილი ჯანსაღი ცხოვრების წესი“ გადიოდა. სწორედ მის ფარგლებში მომზადებულ გადაცემაში ისაუბრა „თანადგომას“ წარმომადგენელმა და თანაწამყვანმა მაია ჯიბუტმა. გადაცემა მთლიანად სქესობრივ განათლებასა და მოზარდებთან ამ თემაზე საუბრის მნიშვნელობას მიეძღვნა. გადაცემა „მე დედა ვარ“ კი სქესობრივი განათლების საკითხებზე მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ისახავდა მიზნად. გადაცემის სტუმარი სექსოლოგი იყო, რომელიც მშობლებს ურჩევდა, თუ როგორ უნდა აღიქვან და როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ შვილების მიერ სქესობრივ თემებზე დასმულ შეკითხვებზე. ამავე გადაცემამ კიდევ ერთი ეთერი მამებისთვის რჩევების მიცემას დაუთმო და მათ ჟურნალისტმა შვილების 5 უხერხულ კითხვაზე სავარაუდო პასუხები შესთავაზა.

სქესობრივი განათლების საჭიროების ირიბი გაშუქების შემთხვევებიდან აღსანიშნავია, ის გადაცემები, სადაც სქესობრივი განათლება სხვადასხვა პრობლების პრევენციად იყო წარმოჩენილი. მაგალითად, ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე საუბრის დროს გადაცემის „მე დედა ვარ“ სტუმარმა, ფსიქოლოგმა სექსუალური განათლების მნიშვნელობაზე პოზიტიურად, როგორც სექსუალური ძალადობისგან თავდაცვის პრევენციაზე ისაუბრა. რადიო იმედის „დღის არხის“ ეთერში კი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა სქესობრივ განათლებაზე, როგორც ნაადრევი ქორწინების პრევენციის მთავარ კომპონენტზე გაამახვილა ყურადღება. ეს რესპონდენტი სტუმრად იყო რადიო იმედის მეორე გადაცემაშიც - „მე დედა ვარ“. ანა ილურიძემ ჟურნალისტის კითხვის პასუხად, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის შესამცირებლად გასატარებელ ღონისძიებებს ეხებოდა, სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ცალკე უნდა გამოვყოთ რადიო იმედის გადაცემა „ჩვენ აქ ვართ“, რომელიც ერთადერთია, სადაც საუბარი შშმ ქალების სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებს შეეხებოდა. ერთ-ერთმა სტუმარმა, სფეროს ექსპერტმა, კი მასზე ყურადღება, როგორც სექსუალური ძალადობის პრევენციაზე გაამახვილა. მისი თქმით, მშობლებმა არ იციან, რომ განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ მოიცავს ბავშვობის ასაკში არასასურველი შეხების ცოდნასაც. ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ მნიშვნელობის მიუხედავად, სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადებულ მასალებში მშობელი, როგორც რესპონდენტი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა.

სამონიტორინგო პერიოდში რადიოს სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების პირდაპირი გაშუქებისთვის ეთერი არ დაუთმია. ეს საკითხი ყურადღების ცენტრში მხოლოდ ირიბი გაშუქების დროს მოექცა. აღსანიშნავია, რომ რადიოების შემთხვევაში სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების გაშუქება ძირითადად საგან „მე და საზოგადოებასთან“ არის დაკავშირებული. ამ საკითხის ჯამში 6 ირიბი გაშუქებიდან 5 სწორედ „მე და საზოგადოებას” ეხებოდა. მათში ამ საგანზე, როგორც სკოლაში უწყვეტი სამოქალაქო განათლების მიღების კომპონენტზე იყო საუბარი და ახალი საგნის, „მოქალაქეობის“ წინა საფეხურად განიხილებოდა. ამ გადაცემებიდან 3 საზოგადოებრივი რადიოს სამ სხვადასხვა გადაცემაში გავიდა. დარჩენილი 2 კი - რადიო იმედის „დილის არხში“. “დილის არხი” ის ერთადერთი

გადაცემაა, რომელმაც სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლება სხვა კუთხითაც გააშუქა და ის პროექტ „გზავნილი ჯანსაღი ცხოვრების წესის“ ფარგლებში მომზადდა. მისი თემა ოჯახის დაგეგმვის მეთოდები იყო. ორგანიზაცია „თანადგომის“ წარმომადგენელმა და თანაწამყვანმა მაია ჯიბუტმა ამ საკითხების სკოლის პერიოდიდან სწავლების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. აღსანიშნავია, რომ კვლევის სუბიექტი რადიოების ეთერში მოსწავლეს სქესობრივ განათლებაზე საუბრის საშუალება არ მისცემია, მასწავლებელმა კი მხოლოდ ერთხელ საზოგადოებრივი რადიოს გადაცემაში - „ჩვენი სკოლა“ ირიბად ისაუბრა. ამასთან სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მასალა რადიოში ნეიტრალური ტონით გაშუქდა.

კვლევის სუბიექტებს შორის რადიო თავისუფლება ერთადერთია, რომელმაც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული “ბავშვის უფლებათა კოდექსში” შესატანი საკანონმდებლო ინიციატივა საინფორმაციო გამოშვებაში - „საღამოს თავისუფლება“ პირდაპირ გააშუქა. კოდექსის პროექტს კი ირიბად ეთერი რადიო იმედის „დილის არხმა“ გადაცემის ბლოკში დაუთმო.

აღსანიშნავია, რომ სამონიტორინგო პერიოდში რადიოს სქესობრივი განათლების პროტესტთან დაკავშირებული არცერთი მასალა არ გაუშუქებია და ნეგატიური ტონიც არცერთ მათგანს არ ჰქონია. შესაბამისად, კვლევაში არ გვხვდება სიძულვილის ენა და დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები.

სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას კვლევისთვის საინტერესო იყო მედიის მიერ გამოყენებული ტერმინებიც. სამონიტორინგო პერიოდში რადიოებმა 6 სხვადასხვა ტერმინი 16 შემთხვევაში გამოიყენეს. მათგან ყველაზე ხშირად გვხვდებოდა „სქესობრივი განათლება“, „სექსუალური განათლება“, „სქესობრივი აღზრდა“ და „ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება“. „ინფორმაცია სექსუალური განვითარების შესახებ“ - ერთხელ მოხვდა რადიო ფორტუნას ეთერში, „რეპროდუქციული და სქესობრივი განათლება“ კი ერთხელ - რადიო იმედის. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ რადიოს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინი საერთოდ არ გამოუყენებია.

მონიტორინგისთვის სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას მნიშვნელოვანი იყო მედიის მიერ გამოყენებული რესურსებიც, თუმცა, რადიოს შემთხვევაში ჟურნალისტებს საკვლევი საკითხების გაშუქებისას რაიმე დამატებითი რესურსი არ გამოუყენებიათ.

2.3 სქესობრივი განათლების საკითხები ონლაინ მედიაში - თვისებრივი ანალიზი

სამონიტორინგო პერიოდში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებას კვლევის სუბიექტებიდან ონლაინ მედიამ ყველაზე მეტი დრო დაუთმო. კვლევის საკითხებს ის ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდა. პოზიტიურად კი სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების გარდა, სამივე ქვეკატეგორია გაშუქდა. ონლაინ მედიასაშუალებებმა პოზიტიურად ძირითადად სქესობრივი განათლების საჭიროებასთან დაკავშირებული მასალები გააშუქეს, რომლებიც 5 სხვადასხვა საიტზე გამოქვეყნდა. პირდაპირი გაშუქების შემთხვევებიდან უნდა გამოვყოთ edu.aris.ge-ის მიერ მომზადებული სტატია - „ნაადრევი ქორწინების მიზეზით, საქართველოში სკოლის დამთავრებას ყოველწლიურად 300 მოსწავლე ვერ ახერხებს“. მასში ნაადრევი ქორწინებების

ერთ-ერთ მიზეზად სექსუალური საკითხების შესახებ მწირი ცოდნაა დასახელებული. ჟურნალისტს პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ოფიციალური მონაცემები ჰქონდა მოძიებული, იმის შესახებ თუ რამდენმა მოსწავლემ ვერ შეძლო საშუალო საფეხურზე სწავლის დასრულება ნაადრევი ქორწინების გამო და ეს ოფიციალურ მიზეზად დაასახელა. სურათის შექმნის შემდეგ ჟურნალისტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსში“ შესატანი ცვლილება განიხილა. ჟურნალისტმა სახალხო დამცველის მიერ რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, მომზადებული ეროვნული კვლევის შედეგებიც მოიშველია. მან სქესობრივი განათლების მნიშვნელობა და მისი სწავლების მსოფლიო პრაქტიკაც განმარტა. აღსანიშნავია, რომ ამ სტატიის ორივე წყარო ქალი იყო. სქესობრივი განათლება სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზად იყო შემოთავაზებული newposts.ge-ზეც, რომელმაც ტელეკომპანია იმედის გადაცემა „იმედის დღის“ მასალა გამოაქვეყნა სათაურით „სქესობრივი აღზრდა ბავშვებში - რატომ გმობენ წეროსა და კომბოსტოს შესახებ მითს ფსიქოლოგები“. ბავშვთა ქირურგი ლევან ფერაძე კი სქესობრივი განათლების საჭიროებას ნაადრევი ორსულობისა და მოზარდ ბიჭებში არასწორი ინფორმაციის მიღებით გამოწვეულ პრობლემებს უკავშირებს. მისი პოსტი mshoble-bi.ge-იმ გამოაქვეყნა. სქესობრივი განათლება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციად არის განხილული ირიბი გაშუქების დროსაც. Netgaze-ti.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში - „სექსუალური ძალადობა – როგორ ამოვიცნოთ და დავიცვათ ბავშვი“ ქვეთავში „პრევენცია“ ფსიქოლოგი სქესობრივ განათლებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ბავშვის სწავლებისა და განვითარების აუცილებელი ნაწილია, რომ ჩვენ მას მისი სხეულის შესახებ ვასწავლოთ. პრევენციაზე საუბრის დროს უნდა გამოვყოთ ambebi.ge-ის სტატიაც - "ზოგიერთი ამ ასაკში ჯერ კიდევ ეზოში თამაშობს" - როგორ აფასებენ ფსიქოლოგები და უფლებადამცველები აღაიანში მომხდარ ტრაგედიას“, რომელიც სოფელ აღაიანში არასრულწლოვანი დედის მიერ შვილის მკვლელობის ფაქტს ეხება. მასში ჟურნალისტი კითხვით - „არის თუ არა ბავშვებისთვის სექსუალური განათლების მიცემა ბევრი მსგავსი პრობლემის პრევენციის შესაძლებლობა“ - განათლების საკითხების მკვლევარს სიმონ ჯანაშიას მიმართავს. სფეროს ექსპერტი იმ საზოგადოებებში, სადაც ნაადრევი ქორწინების, ნაადრევი ორსულობისა და ოჯახური ძალადობის ხშირი შემთხვევებია, მათ შესამცირებლად სქესობრივი განათლების მნიშვნელობას ადასტურებს. ის ასევე ყურადღებას ჯანმრთელობის საკითხებსა და ნაადრევი ან დაუცველი სექსუალური ურთიერთობების საფრთხეებზე ამახვილებს. აღაიანში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით, სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლების კონტექსტში გამოაქვეყნა newposts.ge-იმ განათლების ყოფილი მინისტრის, ნიკა გვარამიას პოსტი სათაურით: "სირცხვილი მე, ყოფილ განათლების მინისტრს... სექსუალური განათლება სკოლაში! სასწრაფოდ!" - ნიკა გვარამია აღაიანში მომხდარ ტრაგედიაზე“.

ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებით მომზადებული პოზიტიური მასალებიდან უნდა გამოვყოთ radiotavisupleba.ge-ზე გამოქვეყნებული გოგი გვახარიას გადაცემა სათაურით „ვის ეშინია სექსის გაკვეთილების?“ მისი სტუმარი ორგანიზაცია „თანადგომას“ წარმომადგენელი ხათუნა ხაჟომიაა, რომელთან ერთადაც განიხილავს ქვეყანაში სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ ვითარებას, საბჭოური წარსულის გამოცდილებას, საზოგადოების დამოკიდებულებას, მათ შორის გარკვეული ნაწილის პროტესტს სკოლაში სწავლების გამო და ამ ფონზე მის მნიშვნელობას. გადაცემა გამოირჩევა

წყაროთა მრავალფეროვნებით, მასში დაცულია რესპონდენტთა შორის სქესობრივი ბალანსიც. რესპონდენტებს შორის გვხვდება სასულიერო პირიც, სწორედ მას ეკუთვნის სქესობრივი განათლების სწავლების საწინააღმდეგო და არასწორი ინფორმაციის შემცველი ციტატაც:

დავით ისაკაძე, სასულიერო პირი: „ცოტახანში დაგეგმილია იმ მშობლების დაჭერა, ვინც გააპროტესტებს თავისი შვილების გარყვნას, თითოეულ თქვენთაგანს, ვინც მოითხოვს რომ არ ასწავლონ სექსუალური განათლება არ მიაღებინონ სკოლებში, ცოტახანში დაგიჭერენ. ამიტომ სათავეშივე უნდა აღიკვეთოს ეს ბოროტება... ეს ჩვენ შვილებზე ფიქრია. ძალიან მკაცრები უნდა ვიყოთ, ეს არის ბრძოლა და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ". [radiotavisupleba.ge, 03.11.2019]

აღსანიშნავია edu.aris.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიაც - „მოსწავლეები კილაძეს: „ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, ინფორმირებული ვიყოთ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებით“, სადაც სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლების მიმართ მოსწავლეების პოზიციაა წარმოჩენილი. ამავე გამოცემამ ამ საკითხს უფრო ვრცელი სტატია - „კომბოსტოსა და წეროებს ამოფარებული პასუხები – რას უყვება ნორვეგიელი მასწავლებელი EDU.ARIS.GE-ს და როგორია საქართველოს რეალობა სქესობრივი განათლების კუთხით“ მოგვიანებით, სექტემბერში, მიუძღვნა. მასში სქესობრივი განათლების სწავლებასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და მოზარდებისთვის მისი სწავლების მნიშვნელობაზეა საუბარი. ხაზია გასმული ამ საკითხებთან დაკავშირებით ბავშვების კითხვებზე მშობლების მიერ ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე. სტატია რესპონდენტების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა და მათ შორის სქესობრივი ბალანსიც დაცულია. წყაროებს შორის გვხვდებიან: მასწავლებლები, ექიმი, ფსიქოლოგი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და განათლების სამინისტრო.

სამონიტორინგო პერიოდში ონლაინ მედიამ სქესობრივი განათლების პროტესტს მხოლოდ ერთი პოზიტიური მასალა - "გაუპატიურებით მემუქრებიან" - სექსუალური განათლების ვიდეოების ავტორს, სექსუალური ძალადობით ემუქრებიან (ვიდეო)“ დაუთმო, რომელიც newposts.ge-ზე გამოქვეყნდა. ის რუსთავი 2-ის გადაცემა P.S-ში გასული სიუჟეტია. ამავე გადაცემაში მოხვდა საზოგადოების წარმომადგენლების სიძულვილის ენისა და ძალადობის წახალისების შემცველი გამონათქვამები:

მოქალაქე: "4 წლის მყავს შვილიშვილი, აბა გაბედოს ვინმემ და დაელაპარაკოს ამ თემებზე. ტვინს დავასხმევინებ იქვე!"

მოქალაქე: "ცეცხლი უნდა გავუკიდოთ მაგათ სახლებს, ვინც მაგ პროექტს [სქესობრივი განათლების სწავლებას] ხმას მისცემს!"

მოქალაქე: "[სქესობრივი განათლების სწავლების] ამის წინააღმდეგ უკვე სერიოზული ბრძოლაა დასაწყები. ამის შესაჩერებლად სისხლისღვრასაც არ უნდა მოვერიდოთ".

მოქალაქე: "ტაბურეტკაოო? ტაბურეტკა კი არა ტყვია უნდა მაგათ, ტყვია! ორგრამიანი! [სქესობრივი განათლების სწავლების]"

მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი ხატია ახალაიას მიმართ განხორციელებულ მუქარას ეხებოდა და ზემოთ მოყვანილი კომენტარებიც სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს ასახავს, თვითონ მედიას ამ ტიპის განათლების მიმართ პოზიტიური ტონი ჰქონდა და რესპონდენტებთან ერთად მის საჭიროებაზე ამახვილებდა ყურადღებას.

„პროტესტი სქესობრივ განათლებას“ - კვლევის საკითხების ქვეკატეგორებს შორის ერთადერთია, რომელიც ონლაინ მედიაში ნეგატიური ტონით გაშუქდა. მონიტორინგის დროს ასეთი 6 შემთხვევა გამოვლინდა. მისი ნახევარი კი saqinform.ge-ზე ირიბი გაშუქების დროს გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ ამ მედიასაშუალებამ მომზადებული მასალებიდან თითქმის ყველა [ერთის გამოკლებით] სქესობრივი განათლების პროტესტთან დაკავშირებულ ნეგატიური გაშუქებას დაუთმო. სქესობრივი განათლების მიმართ saqinform.ge-ის ნეგატიური სარედაქციო პოლიტიკა იკვეთება ამ მასალების შინაარსიდანაც. ერთ-ერთი მათგანი saqinform.ge-ის განცხადებაა - „საქინფორმის განცხადება: საქართველოში სექსუალური კომპონენტის შემცველი უპრეცედენტო დანაშაულების გახშირებული შემთხვევები ხელისუფლების მცდარი პოლიტიკის ლოგიკური შედეგია“. პუბლიკაციაში რედაქცია სექსუალური ხასიათის დანაშაულის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად სქესობრივი განათლების სწავლებას ასახელებს:

რედაქცია: „ზოგი „მისიონერი“ სკოლის უმცროს კლასებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს ატარებს, რის უფლებასაც განათლების სამინისტრო აძლევს, „პროგრესული ბიზნესმენები“ კი პრეზერვატივებს უშვებენ ქართველი წმინდანების და მეფეების გამოსახულებებით!“ (Saqinform.ge, 27.02.2019)

რედაქციის დამოკიდებულება ჩანს მეორე მასალაშიც, რომელიც საქართველოში აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, მშვიდობის კორპუსის ახალი მოხალისეების ფიცის დადების ცერემონიას ეხება. მათ შორის იყვნენ ინგლისური ენისა და ორგანიზაციული და ინდივიდუალური განვითარების პროგრამის მოხალისეები, რომელთა ნაწილი ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს საჯარო სკოლებში ინგლისური ენის სწავლებას იწყებდა, ნაწილი კი - ქართულ არასამთავრობო სექტორსა და თემში მოქმედ ორგანიზაციებში მუშაობას. ამ მასალის შემთხვევაში აღსანიშნავია მისი ანტიდასავლური შინაარსის სათაურიც: „საქართველოში მორიგი დავალებით ამერიკელ მისიონერთა- გავლენის აგენტთა დამრტყმელი ჯგუფი ჩამოვიდა“. ამბავს კი თან ერთვის რედაქციის შემდეგი კომენტარი:

რედაქცია: „ცსს-ში ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ „მასწავლებელი“- პროპაგანდისტები ქართულ ოჯახებში დაბინავდებიან და მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას შეუდგებიან. ბევრი გავლენის აგენტი საქართველოში გარკვეული ხნით ანდა სულ რჩება, როგორც ის სახელგანთქმული გარყვნილი, მოსწავლეებს ორალური სექსის გაკვეთილებს რომ უტარებდა...“ [Saqinform.ge, 08.07.2019]

Saqinform.ge-ის რედაქციის ორივე ციტატა ანტიდასავლურ გზავნილს შეიცავს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოებაში გარკვეულ წანილში არსებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას და ანტიდასავლური პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. ამ მედიასაშუალებამ გააშუქა ამბავიც - „საქართველოში გაეროს ოფისთან ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ აქცია გაიმართა“. მასში ამონარიდია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ განცხადებიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ:

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ განცხადება: „შეწყდეს ოჯახის ნგრევის, გარყვნილებისა და მამათმავლობის კულტივირება საქართველოში, გაუქმდეს ბაღებში ნეიტრალური გენდერის პროგრამა, შეწყდეს ლგბტ ლობიზმი სპორტში, აიკრძალოს სკოლებში საგანი „მე და საზოგადოება“. აღიკვეთოს გაეროს ტრენინგები საზაფხულო ბანაკებში, რადგან ისინი ითრევს ბავშვებს ჰომოსექსუალიზმის მიმდებლობაში, შეწყდეს გაეროს მიერ მომზადებული ბავშვთა უფლებათა კოდექსის ინიცირება პარლამენტში, ვინაიდან ის ემსახურება ოჯახის დანგრევისა და ლგბტ ცნობიერების პროპაგანდას ბავშვებში“. [Saqinform.ge, 05.03.2019]

ეს აქცია ამავე ციტატით interpressnews.ge-იმაც გააშუქა. mshoblebi.ge-იმ კი სამი შვილის დედის, ხატია სიჭინავას 3 მარტის მილოცვასთან ერთად, მისი განათლების სამინისტროსადმი მიმართვა გამოაქვეყნა:

ხატია სიჭინავა, მშობელი:“იმის მაგივრად, მომავალი თაობები განათლებული და შემდგარი ადამიანები ჩააბარონ ქვეყანას, იპოვეს, რა აკლდათ თურმე სისტემაში!! და აი, ისიც!! სექსუალური განათლება!! ვაი თქვენს პატრონს!! დანარჩენი მოგვარებული გაქვთ განათლების სისტემაში!! სუიციდი მოზარდებში თქვენი პრობლემა არ არის და სასქესო ორგანოების სახელები და პრეზერვატივების ჩამოცმის ცოდნა აამაღლებს ჩვენი შვილების IQ-ს!!! ვერ გამიგია, რას ემსახურებით?! ვინ ხართ, საიდან მოხვედით ასეთი დეგრადირებული, რომ საკუთარი თავები არ გყოფნით, ახლა მომავალი თაობის დეგრადირება გინდათ!!! შეიძლება მე უკვე იმ ასაკში ვარ, რომ თქვენს “განვითარებულ “ აზრებს ვერ ვეწევი, მაგრამ არანაირი პრობლემა არ შექმნია ჩვენს თაობას, რომელსაც რეზინების ჩამოცმას არ გვასწავლიდნენ და დღევანდელი გადმოსახედიდან, ნეტავ თქვენი მშობლებისთვის ესწავლებინათ ეგ!!!“ [mshoblebi.ge, 03.03.2019]

ონალინ მედიაში სქესობრივი განათლების წინააღმდეგ გამოქვეყნებული კიდევ ერთი ციტატა კი “პატრიოტთა ალიანსის” ერთ-ერთ ლიდერს ემზარ კვიციანს ეკუთვნის და ის newposts.ge-ზე გამოქვეყნდა სათაურით: "უფალს ებარებოდეთ ქმრებზე ამხედრებულო დედაკაცებო!!!"- ემზარ კვიციანი“. ის “ბავშვის უფლებათა კოდექსში” შესატან ცვლილებას შემდეგნაირად ეხმაურება:

ემზარ კვიციანი, პატრიოტთა ალიანსი: „იქნებ მშობელი არ ჰყავს, რომ აუხსნას! ქალბატონო, ბუნების წინააღმდეგ რატომ ცდილობთ წახვიდეთ? უფალმა რაც დააწესა იმას რატომ უპირისპირდებით?! კაცისა და ქალის ცხოვრებაში ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანამიმდევრობით უნდა განვითარდეს, რომ ნორმალურ ადამიანად ჩამოყალიბდეს, თქვენ რა გინდათ, მოვლენებს გაასწროთ?! მოვლენების გასწრებას არაფერი დადებითი არ მოჰყვება! რატომ აქვს ადამიანს თავი, 1 წლიდან 12 წლამდე ყველაზე მაგარი, ანუ დაცული ტრავმისაგან?! იმიტომ, რომ ამ პერიოდში ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი წაქცევა. 14 წელი ის ასაკია მამრისთვისაც და დიაცისთვისაც, მომწიფების პერიოდი, რომ ჰქვია, თუ მათ ნაადრევი ინფორმაცია არა აქვთ მიღებული, რასაც დღეს უცხოეთიდან ცდილობენ მოგვახვიონ თავს (ინტერნეტის საშუალებით პორნო რეკლამები) დააკვირდით, რაც უფრო ჩქარობთ წახვიდეთ წინ, მით უფრო უკან მივდივართ, აბსოლუტურად ყველა მიმართულებით! შეხერდით! ნუ ეწინააღმდეგებით უფლის წესებს! მისი პასუხი მტკივნეულია და კიდევ უფრო გამკაცრდება,თუ გონს არ მოეგეთ!!! უფალს ებარებოდეთ ქმრებზე ამხედრებულო დედაკაცებო!!! ” [newposts.ge, 29.03.2019]

აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენისა თუ ძალადობის წახალისების გამომხატველ არცერთ შემთხვევაზე მედიას რეაგირება არ მოუხდენია. მათგან განსხვავებით, radiotavisupleba.ge-ს სტატიაში - „მუქარა სექსუალურ განათლებაზე ვიდეოების გამო“ ჟურნალისტმა სქესობრივი განათლების სწავლების წინააღმდეგ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კომენტარები საილუსტრაციოდ გამოიყენა. ეს სტატია სქესობრივი განათლების შესახებ ვიდეოების ავტორის, ხატია ახალაიას მიმართ დაწყებულ მუქარას ეხებოდა, რასაც შემდეგი კომენტარები მოჰყვა:

„დედას გეფიცები მეშინია ბავშვის სკოლაში შეყვანის დრო რომ მოვა რას ასწავლიანთქო. რა პროპაგანდა აგიტაციას ჩაუტარებენ ნეტა?“

„ჩვენმა ეკლესიამ უნდა იმარჯვოს“.

„სოროსი და სკოლაში სექსის სწავლება კი არა თქვენს შვილებს მიხედეთ ჯობია, და ბოლო მოდელი აიფონებით რომ ანებივრებთ.... ნეტა თუ გიფიქრიათ სკოლის გოგოები იმ ტელეფონებში რას უყურებენ“.

სქესობრივი განათლების მოწინააღმდეგეთა ციტატებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ის მესიჯბოქსები, რასაც ისინი სქესობრივ განათლებაზე ნეგატიურად საუბრის დროს უარყოფითი დამოკიდებულების გასაძლიერებლად იყენებდნენ:

- **სქესობრივი განათლების გარყვნილებასთან ასოცირება და შიშის დანერგვა;**
- **სქესობრივი განათლების ანტიდასავლურ კონტექსტში განხილვა;**
- **სქესობრივი განათლების სექსის და მაგალითად, პრეზერვატივის გამოყენების სწავლებასთან გაიგივება;**
- **სქესობრივი განათლების რელიგიასთან შეუთავსებლობა;**

სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების დროს მნიშვნელოვანია, მედიის მიერ გამოყენებული ტერმინების ანალიზიც. როგორც აღმოჩნდა, სამონიტორინგო პერიოდში ონლაინ მედია ყველაზე ხშირად შემდეგ ტერმინებს იყენებდა: “სქესობრივი აღზრდა”, “სექსუალური განათლება”, “სქესობრივი განათლება”, “სექსუალური აღზრდა”. ასევე გვხვდება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლებასთან და რეპროდუქციულ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინების ვარიანტები და ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების ვარიაციები. ონლაინ მედია ძირითადად ნეიტრალური ტერმინების გამოყენებას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად, saqinform.ge-ზე გამოქვეყნებულ ნეგატიური ტონის მასალაში რედაქცია იყენებს ტერმინს - “ორალური სექსის გაკვეთილები”.

2.4 სქესობრივი განათლების საკითხები ბეჭდური მედიაში - თვისებრივი ანალიზი

მონიტორინგის სუბიექტი ბეჭდური მედიის თვისებრივი ანალიზის შედეგად სხვა მედია კატეგორიებისგან განსხვავებული სურათი გამოიკვეთა. ამ განსხვავების მთავარი მიზეზი ჟურნალ-გაზეთებში სქესობრივი საკითხების გაშუქების ტონია. თუ სხვა მედიები ამ საკითხებს უმეტესად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ, ბეჭდურ მედიაში ნეიტრალური (10) და ნეგატიური (8) ტონით გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარია. პოზიტიურად კი საკვლევი საკითხები სუბიექტი ჟურნალ-გაზეთებიდან მხოლოდ ორმა გააშუქა. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ორ მათგანს: ჟურნალებს „თბილისელები“ და „ოჯახის მკურნალი“ ამ თემაზე არცერთი მასალა არ მოუმზადებიათ. შესაბამისად, ყველა ის მაჩვენებელი, რომელზეც ვსაუბრობთ მხოლოდ დარჩენილ 8 ბეჭდურ მედიასაშუალებას ეხება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 2019 წელს პოზიტიურად სქესობრივი განათლების თემა მხოლოდ მონიტორინგის სუბიექტმა ორმა გაზეთმა გააშუქა. ერთი მათგანია გაზეთი „ახალი განათლება“, რომელმაც თემას ორი პოზიტიური სტატია მიუძღვნა და მეორეა - გაზეთი „ალია“, რომელმაც თემაზე ერთი მასალა მოამზადა. შინაარსობრივ მხარეს რაც შეეხება, „ახალი განათლების“ ორივე სტატია სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებას შეეხებოდა. 21-27 თებერვლის გაზეთში გამოქვეყნებული სტატია „შეკითხვების "დასტა" "მე და საზოგადოების" საკითხების გასააზრებლად“ საგან „მე და საზოგადებას“ შეეხებოდა. ამ სტატიით თბილისის ერთ-ერთი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი - ელენე ჯელაძე საზოგადოებას ამ საგნის შესახებ საკუთარ მოსაზრებას უზიარებდა. საუბრობდა იმ გამოცდილებაზე, რომელიც მისი სწავლების პროცესში მიიღო და საზოგადოებაში საგნის მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების გაქარწყლებას ცდილობდა. 2019 წლის 4-10 აპრილის „ახალ განათლებაში“ დაბეჭდილი სტატია „სტიგმატიზებული სექსუალური განათლების ბარიერები“ კი უშუალოდ სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების საკითხს და ახალ საკანონმდებლო ცვლილებას შეეხებოდა. სტატიაში ჟურნალისტი ლალი ჯელაძე საუბარს “ბავშვის უფლებათა კოდექსში“ შესატანი ცვლილების განხილვით იწყებს და საზოგადოების ინფორმირების მიზნით სოფო კილაძის მიერ გაკეთებული კომენტარი მოჰყავს. ამ კომენტარს ურთავს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის - მარინა ჩიტაშვილის ფეისბუქ პოსტს, სადაც ის ახალ ინიციატივას აკრიტიკებს და სქესობრივი განათლების მშობლებისა თუ სასულიერო პირების ნება-სურვილზე დატოვებას ეწინააღმდეგება. აღნიშნული სტატია გამორჩეულია იმითაც, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის დამატებით რესურსად იშველიებს სახალხო დამცველის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, მომზადებული ეროვნული კვლევის – “რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა და უფლებები” – შედეგებს. აქვე იყო თავად სახალხო დამცველის - ნინო ლომჯარიას და მისი მოადგილის - ეკა სხილაძის მოსაზრებებიც ამ საკითხთან დაკავშირებით. ისინი სქესობრივი განათლების სწავლების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და სახელმწიფოს როლზე საუბრობდნენ. განსაკუთრებით გამოყოფილი იყო მასწავლებელთა მზაობის კუთხით არსებული პრობლემები, რომლებიც ბავშვებთან ამ თემებზე ვერ საუბრობენ და ხშირად მათ ან საერთოდ სახლში ავალებენ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გაკვეთილების წაკითხვას, ან გოგონებსა და ბიჭებს ცალ-ცალკე უხსნიან ამ თემებს. სტატიაში ჩამოთვლილია ის სახელმძღვანელოებიც, რომლებიც სქესობრივი განათლების კომპონენტებს შეიცავენ და სხვადასხვა კლასში ისწავლება.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების თემის პოზიტიურად გაშუქების მესამე შემთხვევას, 2019 წლის 28 თებერვალს გაზეთ „ალიაში“ ექიმ ლევან ფერაძის კომენტარი დაიბეჭდა - „15 წლის გოგოს გავუკეთე საშვილოსნოს გარე ორსულობის ოპერაცია და არ იჯერებდა, რომ შეიძლება დაორსულებულიყო“. რესპონდენტი საკუთარ სამედიცინო პრაქტიკაში არსებულ კონკრეტულ შემთხვევას იხსენებდა. მისი თქმით, 15 წლის გოგონას ჩატარებული ოპერაციის მიუხედავად, საკუთარ ორსულობაში ვერ არწმუნებდა, რადგან მას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. ის სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლების აუცილებლობაზე საუბრობდა და ამბობდა, რომ თუ ახალგაზრდებს ასეთი ცოდნა ექნებათ, მომავალში არაერთი ოჯახი გადაურჩება დანგრევას სწორედ სექსუალური „უცოდინრობისა თუ უკულტურობის გამო“.

იმ ჟურნალ-გაზეთებიდან, რომლებმაც 2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საკითხები გააშუქეს, უმრავლესობამ მათზე ნეიტრალურ ტონში ისაუბრა. ძირითადად ეს მასალები სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებას, მის საჭიროებას და ამ საკითხის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებას ეხებოდა. მათი უმეტესობა ირიბი გაშუქება იყო. მონიტორინგის სუბიექტი ბეჭდური მედიებიდან 2 ჟურნალს („თბილისელები“; „ოჯახის მკურნალი“) საკვლევი თემა საერთოდ არ გაუშუქებია. დარჩენილი 8 მედიიდან კი 5-მა მის გაშუქებას მხოლოდ თითო-თითო ნეიტრალური მასალა დაუთმო. გამოდის, რომ დღეს მოქმედი ყველაზე დიდი ტირაჟისა თუ აქტუალობის მქონე ბეჭდური მედიასაშუალებების უმრავლესობაში სქესობრივი საკითხების მიმართ ინტერესი ნაკლებია და მას თითქმის არ აშუქებენ. მათმა უმრავლესობამ ის საკანონმდებლო ცვლილებაც კი არ გააშუქა, რაც საზოგადოების დისკუსიის საგნად იქცა. ნეიტრალური მასალების უმრავლესობაც კი მხოლოდ ერთ კონკრეტულ გაზეთს - „ახალ განათლებას“ უკავშირდება. ის ერთგვარად სპეციალიზირებული გამოცემაა, მხოლოდ განათლების საკითხებს აშუქებს და სწორედ ამ ფაქტით აიხსნება ამ მედიაში გამოკვეთილი განსხვავებული სურათიც.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ კონკრეტულ გაზეთს უკავშირდება 2019 წელს ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების ნეგატიური გაშუქების ფაქტებიც. გაზეთ „ასავალ-დასავალში“ სამონიტორინგო პერიოდში საკვლევ თემაზე მომზადებული მასალებიდან ერთის გარდა, ყველას ნეგატიური ტონი ჰქონდა. ნეგატიური გაშუქების უმრავლესობა სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტს პირდაპირ ეხებოდა. გაზეთი ნეგატიურად აშუქებდა სქესობრივი განათლების კუთხით კანონში დაგეგმილ ცვლილებასაც. გაზეთი მთელი წლის განმავლობაში ერთგვარ საპროტესტო კამპანიას აწარმოებდა სქესობრივი განათლების სწავლების წინააღმდეგ. ამ მიზანს ემსახურებოდა 2019 წლის მარტში, აპრილსა და აგვისტოში გამოქვეყნებული ეს სტატიებიც:

1. „წაიკითხეთ და შეძრწუნდით - ეს ქართველთა გენოციდის ოფიციალური გეგმაა!“ - გაზეთი ასავალ-დასავალი, 04-10.03.2019

2. „სოფო კილაძის მიერ დაკანონებულ "სექსუალური განათლების" გაკვეთილებზე "ინსპექტორებად" მღვდლები ივლიან?!“ გაზეთი ასავალ-დასავალი, 01-07.04.2019

3. „შსს! არასრულწლოვანთა გარყვნა აღკვეთეთ!“- გაზეთი ასავალ-დასავალი, 12-18.08.2019

ეს სტატიები გამოირჩეოდა იმით, რომ ინფორმაციის წყარო თავად ჟურნალისტი იყო და ნეგატიურ კამპანიასაც სწორედ ის აწარმოებდა. ის სქესობრივი განათლების საკითხებზე მსჯელობისას იყენებდა სიძულვილის ენას, სკოლაში მის სწავლებას აბამდა ანტიდასავლურ კონტექსტს, ავრცელებდა დეზინფორმაციის და დისკრიმინაციის შემცველ გზავნილებს, აფასებდა მას როგორც ერის გენოციდისთვის განხორციელებულ ნაბიჯს და საზოგადოებას ამ ტიპის განათლების წინააღმდეგ განაწყობდა. მაგალითისთვის შეგვიძლია ეს ორი ციტატა მოვიყვანოთ:

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "კარგი, ბატონო, ვიღაც იდიოტი მშობელი (ასეთებს რა გამოლევს!) თანახმა იქნება, მისმა შვილმა იაროს ამ „სქესობრივი განათლების" გაკვეთილებზე, მაგრამ ჩვენთვის, ვისთვისაც ეს მიუღებელია, განა სულერთი უნდა იყოს, როგორი „შექსუალურად განათლებული" კლასელი და ამხანაგი ეყოლება ჩვენს შვილს?! ანდა, განა იმ დეგენერატი მშობლის შვილი ჩვენი საზრუნავი არ არის?! ეს სოფო კილაძეები, ანუ სოფისტრახოები იმის ნაცვლად, რომ ამ იუნისეფის დაკვეთილი სიბილწე საერთოდ არ ასწავლონ ჩვენს შვილებს, „დიდსულოვან არჩევანს" გვთავაზობენ - თუ გინდათ, ნუ ივლის თქვენი შვილი ასეთ გაკვეთილებზეო! და სხვისმა შვილმა საერთოდ რატომ უნდა იაროს ასეთ გაკვეთილებზე?!" [ასავალ-დასავალი, 01-07.04.2019]

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „იუნისეფის" მხარდაჭერით საქართველოში უკვე მოქმედებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად „ზრუნავენ" ბავშვების „სექსუალურ განათლებაზე". მაგალითად, ასო „განათლებისა და შრომის ასოციაციის" ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულია ასეთი ვიდეო-გაკვეთილი, რომელსაც ლგბტ აქტივისტი და გეი-აქციების მონაწილე ვინმე ხატია ახალია უძღვება! წინასწარ ბოდიშს გიხდით, მაგრამ სიტყვასიტყვით გავიმეორებ იმას, რასაც ასწავლის (და თან დაფაზე აჩვენებს) ეს ხატია მასწავლებელი ჩვენს ბავშვებს თავის ვიდეოგაკვეთილზე...ეს უკვე მამათმავლობის პროპაგანდაა! ამ ვიდეოგაკვეთილის ბოლოს კი ტიტრებში ვკითხულობთ: „ვიდეო მომზადებულია იუნესკოს სექსუალური განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს პრინციპების მიხედვით და რეკომენდირებულია 12 წლიდან. პროექტი დაფინანსებულია ახალგაზრდა ფენიმისტური ფონდი „ფრიდას" და „ორბელიანი საქართველოს" პლატფორმის საშუალებით, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით..." ვგონებ, ყველაფერი დღესავით ნათელია! ეს სხვა არაფერია თუ არა სოდომ-გომორის დაკანონება და სატანიზმის ზეობა საქართველოში!" [ასავალ-დასავალი, 18-24.02.2019]

გარდა ამ ნეგატიური გზავნილებისა, ნეგატიური კონტექსტის შემცველი იყო სტატიებისთვის თანდართული ფოტო მასალა, გამოტანილი კომენტარები და თავად ამ სტატიების სათაურები. ხშირ შემთხვევაში ფოტოს ვიზუალი საერთოდ არ შეესაბამებოდა სქესობრივი განათლების თემას ან თავად იყო იმ „გარყვნილების პროპაგანდის" შემცველი, რაშიც ავტორი სოფო კილაძეს, ხატია ახალაიასა თუ სქესობრივი განათლების თემასთან კავშირში მყოფ სხვა ადამიანებს სდებდა ბრალს. ეს ფოტოები ასახავდა ადამიანის სხეულის ინტიმურ ნაწილებს, შეიცავდა ვიზუალურ დისკრიმინაციას სქესობრივი უმცირესობების მიმართ და ასევე ცდილობდა იმ ადამიანების გარეგნული ნიშნით დისკრიმინაციას, რომლებიც სქესობრივი განათლების სწავლებას ემხრობიან.

გარდა გაზეთ „ასავალ-დასავალისა" სქესობრივი განათლების თემა რამდენჯერმე ნეგატიურად გააშუქა გაზეთმა „ალიამაც". თუმცა, ამ შემთხვევაში ნეგატიური ტონის წყარო რესპონდენტები იყვნენ და არა თავად გაზეთის ჟურნალისტები. სამი ასეთი გაშუქებიდან ორი ერთსა და იმავე ფაქტს ეხება. სოფელ აღაიანში

არასრულწლოვანმა დედამ რამდენიმე თვის შვილი გაგუდა, რასაც საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თემა არაერთ წრეში არაერთი კუთხით განიხილებოდა. მათ შორის, ამ ფაქტზე დაყრდნობით, ფსიქოლოგები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ზოგიერთი მედიის ჟურნალისტები სქესობრივი განათლების სწავლების საჭიროებაზე საუბრობდნენ. ასეთმა შეფასებებმა კი საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ამ პოზიციას გამოხატავს გაზეთ „ალიაში“ ახალი ამბის ფორმატით დაბეჭდილი 2 მასალა. ერთი ფეისბუქ-მომხმარებლის, ბექა ადამაშვილის პოსტია, სადაც ის სქესობრივ განათლებასთან მსგავსი ტრაგედიების კავშირს ვერ ხედავს და ცალსახად საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოხატავს:

ბექა რამიშვილი, ფეისბუქ-მომხმარებელი: "ესე იგი ქალმა შვილი გაგუდა, სახლიდან ოქროები წაიღო და ვიღაც ტიპთან სა...ნაუროდ გაიპარა და სასტავი ქოთქოთებს - "სექსუალური განათლება რო არ ქონდა ეგაა უბედურება" და "16 წლისა როგორ გაათხოვესო"...ბოდიში და შიგ ხო არა გაქვთ ბიძიკო თქვენ???? რა "სექსუალური განათლება", რაის "მშობლები ბნელები" შვილი რო არ უნდა გაგუგომაგას სექსუალური განათლება სჭირდება თქვე დედამო...ნულებო???" [ალია, 27.05-02.06.2019]

გაშუქების მეორე შემთხვევაში კი, თითქმის იგივე პოზიცია ჟურნალისტმა ბაკურ სვანიძემ სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე დააფიქსირა, რაც „ალიამ“ უცვლელად გამოაქვეყნა.

ბაკურ სვანიძე, ჟურნალისტი: "ზოგიერთი დებილი წერს - "აი, სექსზე ლაპარაკს და სექსის შესახებ საჯარო ლექციების აკრძალვას რომ ითხოვთ, ამიტომ ემართებათ ეგ გოგონებს! ჩვენ თქვენი შვილების ასეთი შეცდომებისგან დაზღვევა გვინდაო!" აი, მე თქვენი დემაგოგი თავებზეც დავეცი! ჯერ ერთი, არანაირი "სექსზე ტვინისტყვნა" არ იყო საჯაროდ ჩემს თაობაში, მაგრამ მაშინ რომელიმე 17 წლის გოგოს შვილი მოეკლას და საყვარელთან გაქცეულიყოს, რაღაც არ მახსენდება ასეთი ფაქტები! აი, თქვენი "კეთილისმყოფელ სექსზე ლექციების" ეპოქაში კი - პირიქით მომრავლდა ასეთი შემთხვევები! რატომ? იმიტომ, რომ სწორედ თქვენ უჩენთ არაჯანსაღ ინტერესს ე.წ. "თავისუფალი სექსის" მიმართ გოგონებს! თქვენ ჩააგონებთ მაგ თქვენი რეგვენული "ლექციებით", რომ "ქმარი - ეს აპრიორშივე არის ქალის თავისუფლების შეზღუდვა" და ა.შ. სწორედ თქვენი ავადმყოფური პროპაგანდის ბრალია ის, რაც ხდება! და ნუ ცდილობთ ეს პირიქით დახატოთ!“ [ალია, 27.05-02.06.2019]

ორივე ზემოთ მოყვანილი მასალა გაზეთმა „ალიამ“ ერთი და იგივე ნომერში დაბეჭდა. ეს იყო კონკრეტულად ამ ორი პიროვნების მოსაზრების გაშუქება, თუმცა მედია მათ პოზიციას არ გამიჯვნია და არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ერთ შემთხვევაში კი პოსტში სქესობრივი განათლების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრება მასალის სათაურად იყო გამოტანილი. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო, ორივე გაშუქება ნეგატიური ტონით შეფასდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ასავალ-დასავალისა“ და „ალიას“ გარდა სიძულვილის ენის, დისკრიმინაციული შეფასებებისა თუ სხვა ნეგატიური კონტექსტის გამოყენებას დანარჩენ ბეჭდურ მედიასაშუალებებში ადგილი არ ჰქონია. სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას მათი უმეტესობა ისეთ ნეიტრალურ ტერმინებს იყენებდა, როგორიცაა: “სექსუალური განათლება” და “სქესობრივი აღზრდა”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს მონიტორინგის სუბიექტი ჟურნალ-გაზეთები საკვლევ საკითხებზე საუბრისას დამატებით რესურსებს საერთოდ არ იყენებდნენ.

2.5 დეზინფორმაცია გაზეთ „ასავალ-დასავალში“

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საწინააღმდეგო მოსაზრებებს აქტიურად აქვეყნებდა. ამ მასალების ძირითად შინაარსობრივ მხარეზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა, ცალკე უნდა გამოვყოთ მათი დეზინფორმაციული ნაწილი. მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან „ასავალ-დასავალი“ ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან სხვა არცერთ მედიასაშუალებას სქესობრივი განათლების საკითხებზე ყალბი ინფორმაციის შემცველი მასალა არ მოუმზადებია. „ასავალ-დასავალის“ თითქმის ყველა მასალა კი დეზინფორმაციას, ფოტო - მანიპულაციასა თუ ანტიდასავლურ ნარატივს შეიცავდა. სექსუალური განათლების საკითხებზე საუბრისას ძირითადი ხაზი სწორედ მისი ანტიდასავლურ კონტექსტში განხილვა იყო და მთავარ მიზანს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ნეგატიურად და მიუღებლად წარმოჩენა წარმოადგენდა. ჟურნალისტი ცდილობდა საკუთარი ტექსტი, ძირითად შემთხვევაში რომელიმე დასავლური ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის ლანძღვა, ფოტო მასალით და საინფორმაციო ხასიათის „ბულეტით“ გაემყარებინა. რასაც უმეტესად მანიპულაციური ხასიათი ჰქონდა და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

დეზინფორმაცია N1

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: “ბავშვთა კოდექსით“, სოფო კილაძის აღიარებითვე სკოლებში შემოაქვთ „სექსუალური განათლება“ არჩევითია თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს - შემოაქვთ და აკანონებენ „საერთაშორისო სტანდარტებით“! ეს „საერთაშორისო სტანდარტები“ კი, ცნობილია: „5-8 წლის ასაკში ბავშვმა უნდა ისწავლოს, რომ მასტურბაცია არ არის სახიფათო“! „9 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს სექსუალური სტიმულაციების შესახებ და ორგაზმის არსი, განმარტება და დანიშნულება“! „9-12 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის პატივისცემა“! „12-15 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მამაკაცსა და ქალს შეუძლია სექსუალური სიამოვნების მიღება როგორც საკუთარი, ასევე საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან“! სწორედ ამ „საერთაშორისო სტანდარტებითა“ და იუნისეფის დაფინანსებით მომზადდა იმ ავადსახსენებელი ხატია ახალაიას ცნობილი ვიდეოგაკვეთილები, რომლებიდანაც ჩვენს შვილებს ასწავლიან, რომ „ანუსი უბრალოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის ნაწილი კი არაა, ბევრისთვის ის სიამოვნებასთან ასოცირდება“! [ასავალ-დასავალი, 01-07.04.2019]

ჟურნალისტი გიორგი გიგაური მის მიერ მომზადებულ თითქმის ყველა მასალაში აღნიშნავდა, რომ საქართველოში „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც სქესობრივი განათლების სწავლების კომპონენტსაც შეიცავდა, “გაეროს ბავშვთა ფონდის” - UNICEF-ის ინიციატივითა და „დირექტივით“ მომზადდა. რაც ცალსახად არასწორი ინფორმაციაა, ვინაიდან ეს კოდექსი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტერგაციის კომიტეტების მიერ მომზადდა და UNICEF-ი უბრალოდ ამ პროცესის მხარდამჭერი იყო. გარდა ამისა, ჟურნალისტი მკითხველს არწმუნებდა, რომ საქართველოში სქესობრივი განათლების სწავლებას სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ გაწერილი სტანდარტებით აპირებენ. ამ თითქოსდა „სტანდარტს“ ის თითქმის ყველა სტატიაში ბეჭდავდა. მასში გადმოცემულ ინფორმაციას, ბავშვის ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სქესობრივი განათლების კომპონენტების სწავლების შესახებ, არავითარი კავშირი არ აქვს

“იუნისეფის” მიერ რეალურად გაწერილ პროგრამასთან. ეს ფაქტი კონკრეტულ სტატიაში გამოყენებული ინფორმაციისა და ფოტოების გადამოწმებითაც მარტივად დასტურდება. მაგალითად, 2019 წლის 4-10 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „წაიკითხეთ და შეძრწუნდით - ეს ქართველთა გენოციდის ოფიციალური გეგმაა!“ გიორგი გიგაური ზემოთ მოყვანილ სტანდარტს აქვეყნებს და მასალას თან ურთავს ორ ფოტოს [იხ. ფოტო], რომლიდანაც ერთი მისი თქმით „იუნისეფის სექსუალური განათლების „საერთაშორისო სტანდარტების“ სახელმძღვანელოა“, მეორე კი - „იუნისეფის სექსუალური განათლების პროგრამა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებისთვის“. სინამდვილეში კი ამ ფოტოებს არანაირი რეალური კავშირი ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ აღწერასთან არ აქვს. ფოტოებზე არსებული ინგლისურენოვანი წარწერებიდანაც ჩანს, რომ „იუნისეფის სექსუალური განათლების სახელმძღვანელოდ“ წარმოჩენილი ფოტო [Sexual Abuse and Commercial Exploitation of Children – Elements for a national strategy and Plan of Action] სინამდვილეში არის “გაეროს ბავშვთა ფონდის” ბანგლადეშის ოფისის მიერ 2011 წელს მომზადებული ანგარიში, სახელწოდებით „სექსუალური ძალადობა და ბავშვთა კომერციული ექსპლუატაცია: ეროვნული სტრატეგიის ელემენტები და სამოქმედო გეგმა“. ხოლო მეორე ფოტო [Combating Sexual Violence against Children in the Caribbean: from isolated Actions to Integrated Strategies] ასახავს “უნისეფის” ერთ-ერთ ანგარიშს - „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კარიბის ზღვის ქვეყნებში: იზოლირებული მოქმედებებიდან ინტეგრირებულ სტრატეგიებამდე“. ჟურნალისტმა ორივე ფოტო მანიპულაციისთვის გამოიყენა და მათი დახმარებით დეზინფორმაცია გაავრცელა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს ანგარიში დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია.

ფოტო, ასავალ-დასავალი, 04-10.03.2019

დეზინფორმაციაა ასევე მასალაში განხილული ე.წ. სქესობრივი განათლების სტანდარტის კონკრეტული მონაკვეთიც, რომელიც ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებსა და საკითხებს ეხებოდა. რთულია იმის ზუსტად თქმა, რომელ წყაროს ეყრდნობოდა ჟურნალისტი ამ შემთხვევაში, თუმცა, მას “იუნისეფთან” კავშირი ნამდვილად არ აქვს. UNICEF-ი თანაავტორია “გაეროს მოსახლეობის ფონდის” (UNFPA) მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის -“International technical guidance on sexuality education – An evidence informed-approach”, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიები [5-8; 9-12; 12-15] ემთხვევა ჟურნალისტის მიერ ჩამოთვლილს, თუმცა, განსახილველი

2.5 დეზინფორმაცია გაზეთ „ასავალ-დასავალში“

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საწინააღმდეგო მოსაზრებებს აქტიურად აქვეყნებდა. ამ მასალების ძირითად შინაარსობრივ მხარეზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა, ცალკე უნდა გამოვყოთ მათი დეზინფორმაციული ნაწილი. მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან „ასავალ-დასავალი“ ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან სხვა არცერთ მედიასაშუალებას სქესობრივი განათლების საკითხებზე ყალბი ინფორმაციის შემცველი მასალა არ მოუმზადებია. „ასავალ-დასავალის“ თითქმის ყველა მასალა კი დეზინფორმაციას, ფოტო - მანიპულაციასა თუ ანტიდასავლურ ნარატივს შეიცავდა. სექსუალური განათლების საკითხებზე საუბრისას ძირითადი ხაზი სწორედ მისი ანტიდასავლურ კონტექსტში განხილვა იყო და მთავარ მიზანს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ნეგატიურად და მიუღებლად წარმოჩენა წარმოადგენდა. ჟურნალისტი ცდილობდა საკუთარი ტექსტი, ძირითად შემთხვევაში რომელიმე დასავლური ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის ლანძღვა, ფოტო მასალით და საინფორმაციო ხასიათის „ბულეტით“ გაემყარებინა. რასაც უმეტესად მანიპულაციური ხასიათი ჰქონდა და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

დეზინფორმაცია N1

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: “ბავშვთა კოდექსით“, სოფო კილაძის აღიარებითვე სკოლებში შემოაქვთ „სექსუალური განათლება“ არჩევითია თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს - შემოაქვთ და აკანონებენ „საერთაშორისო სტანდარტებით“! ეს „საერთაშორისო სტანდარტები“ კი, ცნობილია: „5-8 წლის ასაკში ბავშვმა უნდა ისწავლოს, რომ მასტურბაცია არ არის სახიფათო“! „9 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს სექსუალური სტიმულაციების შესახებ და ორგაზმის არსი, განმარტება და დანიშნულება“! „9-12 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის პატივისცემა“! „12-15 წლის ასაკში ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მამაკაცსა და ქალს შეუძლია სექსუალური სიამოვნების მიღება როგორც საკუთარი, ასევე საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან“! სწორედ ამ „საერთაშორისო სტანდარტებითა“ და იუნისეფის დაფინანსებით მომზადდა იმ ავადსახსენებელი ხატია ახალაიას ცნობილი ვიდეოგაკვეთილები, რომლებიდანაც ჩვენს შვილებს ასწავლიან, რომ „ანუსი უბრალოდ საჭმლის მომნელებელი სისტემის ნაწილი კი არაა, ბევრისთვის ის სიამოვნებასთან ასოცირდება“! [ასავალ-დასავალი, 01-07.04.2019]

ჟურნალისტი გიორგი გიგაური მის მიერ მომზადებულ თითქმის ყველა მასალაში აღნიშნავდა, რომ საქართველოში „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც სქესობრივი განათლების სწავლების კომპონენტსაც შეიცავდა, “გაეროს ბავშვთა ფონდის” - UNICEF-ის ინიციატივითა და „დირექტივით“ მომზადდა. რაც ცალსახად არასწორი ინფორმაციაა, ვინაიდან ეს კოდექსი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტერგაციის კომიტეტების მიერ მომზადდა და UNICEF-ი უბრალოდ ამ პროცესის მხარდამჭერი იყო. გარდა ამისა, ჟურნალისტი მკითხველს არწმუნებდა, რომ საქართველოში სქესობრივი განათლების სწავლებას სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ გაწერილი სტანდარტებით აპირებენ. ამ თითქოსდა „სტანდარტს“ ის თითქმის ყველა სტატიაში ბეჭდავდა. მასში გადმოცემულ ინფორმაციას, ბავშვის ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სქესობრივი განათლების კომპონენტების სწავლების შესახებ, არავითარი კავშირი არ აქვს

“იუნისეფის” მიერ რეალურად გაწერილ პროგრამასთან. ეს ფაქტი კონკრეტულ სტატიაში გამოყენებული ინფორმაციისა და ფოტოების გადამოწმებითაც მარტივად დასტურდება. მაგალითად, 2019 წლის 4-10 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „წაიკითხეთ და შეძრწუნდით - ეს ქართველთა გენოციდის ოფიციალური გეგმაა!“ გიორგი გიგაური ზემოთ მოყვანილ სტანდარტს აქვეყნებს და მასალას თან ურთავს ორ ფოტოს [იხ. ფოტო], რომლიდანაც ერთი მისი თქმით „იუნისეფის სექსუალური განათლების „საერთაშორისო სტანდარტების“ სახელმძღვანელოა“, მეორე კი - „იუნისეფის სექსუალური განათლების პროგრამა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებისთვის“. სინამდვილეში კი ამ ფოტოებს არანაირი რეალური კავშირი ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ აღწერასთან არ აქვს. ფოტოებზე არსებული ინგლისურენოვანი წარწერებიდანაც ჩანს, რომ „იუნისეფის სექსუალური განათლების სახელმძღვანელოდ“ წარმოჩენილი ფოტო [Sexual Abuse and Commercial Exploitation of Children – Elements for a national strategy and Plan of Action] სინამდვილეში არის “გაეროს ბავშვთა ფონდის” ბანგლადეშის ოფისის მიერ 2011 წელს მომზადებული ანგარიში, სახელწოდებით „სექსუალური ძალადობა და ბავშვთა კომერციული ექსპლუატაცია: ეროვნული სტრატეგიის ელემენტები და სამოქმედო გეგმა“. ხოლო მეორე ფოტო [Combating Sexual Violence against Children in the Caribbean: from isolated Actions to Integrated Strategies] ასახავს “უნისეფის” ერთ-ერთ ანგარიშს - „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კარიბის ზღვის ქვეყნებში: იზოლირებული მოქმედებებიდან ინტეგრირებულ სტრატეგიებამდე“. ჟურნალისტმა ორივე ფოტო მანიპულაციისთვის გამოიყენა და მათი დახმარებით დეზინფორმაცია გაავრცელა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს ანგარიში დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია.

ფოტო, ასავალ-დასავალი, 04-10.03.2019

დეზინფორმაციაა ასევე მასალაში განხილული ე.წ. სქესობრივი განათლების სტანდარტის კონკრეტული მონაკვეთიც, რომელიც ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებსა და საკითხებს ეხებოდა. რთულია იმის ზუსტად თქმა, რომელ წყაროს ეყრდნობოდა ჟურნალისტი ამ შემთხვევაში, თუმცა, მას “იუნისეფთან” კავშირი ნამდვილად არ აქვს. UNICEF-ი თანაავტორია “გაეროს მოსახლეობის ფონდის” (UNFPA) მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის -“International technical guidance on sexuality education – An evidence informed-approach”, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიები [5-8; 9-12; 12-15] ემთხვევა ჟურნალისტის მიერ ჩამოთვლილს, თუმცა, განსახილველი

საკითხები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. „საერთაშორისო სექსუალური განათლების პრაქტიკული გზამკვლევის“ ერთ-ერთი თავი (6, გვ 64) „ადამიანის სხეულს და მის განვითარებას“ ეხება. კონკრეტულად, „ადამიანის სექსუალურ და რეპროდუქციულ სისტემასა და ფიზიოლოგიას” და ამ თავში განხილულია თუ რომელ ასაკში რა ტიპის ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ ბავშვებს [იხ. ფოტო]. არცერთ აქ აღწერილ კომპონენტს ჟურნალისტის მიერ დასახელებულ საკითხებთან კავშირი არ აქვს.



6.1 Sexual and Reproductive Anatomy and Physiology

Learning objectives (5-8 years)

Key idea: It is important to know the names and functions of one's body and it is natural to be curious about them, including the sexual and reproductive organs

Learners will be able to:

- identify the critical parts of the internal and external genitals and describe their basic function (knowledge);
- recognize that being curious about one's body, including the genitals, is completely normal (attitudinal);
- practise asking and responding to questions about body parts that they are curious about (skill).

Key idea: Everyone has a unique body that deserves respect, including people with disabilities

Learners will be able to:

- identify ways that men's, women's, boys', and girls' bodies are the same; the ways they are different; and how they can change over time (knowledge);
- explain that all cultures have different ways of seeing people's bodies (knowledge);
- acknowledge that everyone's body deserves respect, including people with disabilities (attitudinal);
- express things that they like about their body (skill).

Learning objectives (12-15 years)

Key idea: During puberty and pregnancy, hormones impact many processes involved with maturation and reproduction

Learning objectives (9-12 years)

Key idea: Everyone's body has parts involved in one's sexual health and reproduction, and it is common for children to have questions about them

Learners will be able to:

- describe the body parts involved with sexual health and reproduction (knowledge);
- acknowledge that it is normal to be curious and have questions about their bodies and sexual functions (attitudinal);
- acknowledge that everyone's body is unique and that variations exist in size, shape, functioning and characteristics (attitudinal);
- identify a trusted adult to whom they can ask questions, and demonstrate ways to ask about sexual and reproductive anatomy and physiology (skill).

Key idea: Women's bodies can release eggs during the menstrual cycle, and men's bodies may make and ejaculate sperm, both of which are needed for reproduction

Learners will be able to:

- explain the key functions of the body that contribute to reproduction (e.g. menstrual cycle, sperm production and ejaculation of semen) (knowledge);
- explain that both women's and men's bodies play an important role in reproduction (attitudinal);
- express confidence in understanding how the menstrual cycle or ejaculation of sperm happens (skill).

6

International technical guidance on sexuality education – An evidence informed-approach, pg. 65

დეზინფორმაცია N2

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: “იუნისეფის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში, რომელიც მექსიკისთვის იყო განკუთვნილი, ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ შესაძლებელია სექსუალური სიამოვნების მიღება ცხოველებთან და უსულო საგნებთანაც კი!“ [ასავალ-დასავალი, 4-10 მარტი]

ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ეს ინფორმაციაც მცდარია. მართალია, ამ შემთხვევაში ის არცერთ კონკრეტულ წყაროს არ ასახელებდა, თუმცა, ინტერნეტ სივრცეში საფუძვლიანი ძებნის შემდეგაც კი მსგავსი შინაარსის ვერანაირი დოკუმენტი ვერ მოიძებნა. გასული წლების განმავლობაში UNICEF-ი მექსიკის შესახებ ზოგად ანგარიშებს ამზადებდა, თუმცა, არცერთი ეს დოკუმენტი სქესობრივი განათლების არანაირ სახელმძღვანელოს არ წარმოადგენს. ერთადერთი მასალა, რომელიც ამ საკითხზე იძებნება 2018 წლის მარტში გამოქვეყნებული ანგარიშია სახელწოდებით: „Evolution and Resistance to Sexuality Education in Mexico“. მასში საუბარია მექსიკაში სქესობრივი განათლების სწავლების დანერგვის შემდეგ პოზიტიურად შეცვლილ მდგომარეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ “უნისეფი” მხოლოდ ფინანსურად უჭერდა მხარს ამ ანგარიშის მომზადებას. ამასთანავე, მექსიკაში სქესობრივი განათლების მისეული სტანდარტის დამკვიდრების მცდელობის შესახებ არანაირი ინფორმაცია ინტერნეტის ღია წყაროებში არ მოიპოვება.

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "არც ამერიკაში და არც საქართველოში პრაქტიკულად არავინ იცის, რომ ამ „საყოველთაო სექსუალური განათლების პროგრამის" ყველაზე დიდი და აქტიური გამავრცელებელი გაეროსთან არსებული „მოსახლეობის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაციაა" (IPPF). ამ ორგანიზაციას მსოფლიოს 170 ქვეყანაში 65 ათასი ოფისი აქვს! მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ამ ფედერაციამ მოსწავლეებისთვის გაავრცელა ბუკლეტები, რომელიც თითქოს „შიდსთან ბრძოლას" ეძღვნებოდა, თუმცა, შიგნით, ლაპარაკი იყო იმაზე, როგორ უნდა ბედნიერება სექსუალური ცხოვრებისგან! თუმცა, ყველაზე საზარელი ალბათ ის იყო, რომ ამ ბუკლეტით „მოსახლეობის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაცია" ბავშვებს ასწავლიდა იმას, რომ „მათ აქვთ უფლება, სექსუალურ პარტნიორს არ გაუმხილონ ინფორმაცია, რომ შიდსით არიან დაავადებულები!" [ასავალ-დასავალი, 4-10 მარტი]

დეზინფორმაციაა ზემოთ მოყვანილი ციტატის შინაარსიც, რომელსაც გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი გაეროს პარტნიორი ორგანიზაციის „მოსახლეობის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის" შესახებ ავრცელებდა და ცდილობდა მკითხველი მსგავსი პროცესების საქართველოში განხორციელების საფრთხეში დაერწმუნებინა. ეს არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა. ჟურნალისტის თქმით, სქესობრივი განათლების კამპანიის ფარგლებში მან აფრიკაში ბავშვებს „შიდსთან" დაკავშირებით საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგა. ბუკლეტებით მათ ასწავლიდნენ, რომ უფლება ჰქონდათ პარტნიორისთვის საკუთარი ინფიცირებულობის შესახებ არაფერი ეთქვათ. რაც სიმართლეს არ შეესაბამება. „მოსახლეობის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე იძებნება გზამკვლევი, რომელიც აივ ინფექციით დაავადებულთათვის და მათი სექსუალური პარტნიორებისთვის არის განკუთვნილი. ამ გზამკვლევის მიზანი ინფიცირებულების [და არ მარტო] ინფორმირება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და დაავადების გავრცელების პრევენციაა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ინფიცირებულ ადამიანებსა და მათ სექსუალურ პარტნიორებს შორის უსაფრთხო კავშირის ქონაზე. მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნულია ინფიცირებულის მიერ პარტნიორის ინფორმირების მნიშვნელობა, რათა მათ თანაბრად დაიცვან უსაფრთხო სექსუალური კავშირის წესები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი უშუალოდ აფრიკის ქვეყნებს არ ეხება. ის ზოგად და ფუნდამენტურ რეკომენდაციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ითვალისწინებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ გზამკვლევზე დაყრდნობითაც მარტივია ორგანიზაციის მიდგომებსა და ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას შორის შეუსაბამობის აღმოჩენა.

მედიაკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამონიტორინგო წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებას ქართულ მედიაში მასშტაბური სახე არ ჰქონია. 2019 წელს ონიტორინგის სუბიექტი მედიები სქესობრივი განათლების მიმართ ინტერესს ნაკლებად იჩენდნენ. კვლევის საკითხების მედიაში გააქტიურებას ძირითადად რაიმე მაპროვოცირებელი მოვლენა ან ფაქტი განაპირობებდა. თავად კი გაშუქების ინიციატორი იშვიათად იყო. ეს ტენდენცია ნათლად იკვეთება გაშუქების სიხშირისა და პერიოდულობის დიაგრამიდანაც. სამონიტორინგო მედიაში სქესობრივი განათლების საკითხები ყურადღების ცენტრში უფრო ხშირად ირიბად გაშუქების დროს ექცეოდა, ვიდრე მათ დროს პირდაპირი გაშუქებისთვის უთმობდნენ. საკვლევ საკითხებზე მსჯელობისას მედია ძირითადად ნეიტრალურ ტონს ირჩევდა და მათ სხვადასხვა წყაროსთან ერთად განიხილავდა. რესპონდენტებს შორის ხშირად საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ფსიქოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. ათი შეფასება კი, ვისაც ეს საკითხები ყველაზე მეტად ეხება, მედიისთვის საინტერესო იშვიათად იყო. იგულისხმებიან: მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სქესობრივი განათლების საკითხებზე ნაკლებად გვხვდებოდა კაცი რესპონდენტების მოსაზრებებიც. კვლევის საკითხებს უფრო ხშირად ქალები განიხილავდნენ და მედია მათ შორის გენდერულ ბალანსსაც იშვიათად იცავდა.

აღსანიშნავია, რომ სამონიტორინგო მედია 2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხებიდან ძირითადად მის საჭიროებაზე ამახვილებდა ყურადღებას და სქესობრივი განათლების პროტესტს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მედიის ობიექტივში მოხვდა სქესობრივი განათლების სკოლაში სწავლებასთან და მის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის საკითხებზე საუბრისას მედია უპირატესობას ნეიტრალური ტერმინების გამოყენებას ანიჭებდა და ნეგატიური კონტექსტის ტერმინებს გამონაკლის შემთხვევებში იყენებდა. 2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების გამოკვეთილი მახასიათებლები ძირითად მიგნებებად შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- **სამონიტორინგო მედიებმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული თემები 2019 წლის ყველა თვეში გააშუქეს. გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თებერვალი-ივნისის პერიოდში დაფიქსირდა, პიკს კი მან მარტში მიაღწია.**

- **სამონიტორინგო მედიასაშუალებები სქესობრივი განათლების საკითხებს უფრო მეტ დროს ირიბი გაშუქებისას უთმობდნენ, ვიდრე მათ პირდაპირ აშუქებდნენ.**

- **კვლევის სუბიექტებიდან ბეჭდური მედია ერთადერთია, სადაც პირდაპირი გაშუქება ირიბზე მაღალია.**

- **2019 წელს საკვლევი მედია სქესობრივი განათლების საკითხებს ძირითადად ნეიტრალური ტონით აშუქებდა.**

- კვლევის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი პოზიტიური მედიაპროდუქტი ტელევიზიების ეთერში მოხვდა.

- მონიტორინგის სუბიექტებს შორის რადიო ერთადერთია, სადაც ნეგატიური გაშუქების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

- საკვლევი სუბიექტებიდან ნეგატიური მასალების სიმრავლით ბეჭდური მედია გამოირჩეოდა. მის შემთხვევაში ნეგატიური მასალების რაოდენობა პოზიტიურისაზე მეტია.

- მედია კვლევის საკითხებზე მსჯელობისთვის ყველაზე ხშირად საზოგადოების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, ფსიქოლოგებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავდა.

- სამონიტორინგო სუბიექტებში კვლევის საკითხებს უფრო ხშირად ქალები განიხილავდნენ, ვიდრე კაცები.

- კვლევის სუბიექტებიდან რესპონდენტთა შორის გენდერული ბალანსი მხოლოდ ტელევიზიასა და ონლაინ მედიაში იყო დაცული.

- საკვლევ მედიაში კვლევის საკითხებიდან ყველაზე მეტი მასალა სქესობრივი განათლების საჭიროებაზე მომზადდა, ყველაზე ცოტა კი სქესობრივი განათლების პროტესტს შეეხებოდა.

- კვლევის სუბიექტებიდან რადიო ერთდერთია, რომელსაც კატეგორია "პროტესტი სქესობრივ განათლებას" საერთოდ არ გაუშუქებია.

- საკვლევი სუბიექტებიდან სქესობრივი განათლების საჭიროების შესახებ ყველაზე ნაკლები მასალა ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნდა.

- სამონიტორინგო მედიაში კვლევის საკითხებს ყველაზე ხშირად შემდეგი ნეიტრალური ტერმინებით მოიხსენიებდნენ: "სექსუალური განათლება", "სქესობრივი აღზრდა", "სქესობრივი განათლება" და "სექსუალური აღზრდა".

- სამონიტორინგო მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ შემდეგი ნეგატიური ტერმინები გამოიყენეს: "ორალური სექსის გაკვეთილები", "კეთილისმყოფელ სექსზე ლექციები", "სექსოლოგიის გაკვეთილი".

ტელევიზია:

- სამონიტორინგო ტელევიზიებიდან საკვლევ საკითხებზე ყველაზე მეტი მასალა აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ჰეშთეგმა“ მოამზადა.

- 2019 წელს ტვ იმედზე ყველაზე მეტჯერ სქესობრივი განათლების საკითხები შუადღის გადაცემა „იმედის დღეში“ გაშუქდა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე - თოქ-შოუში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“, რუსთავი 2-ზე კი - შუადღის გადაცემა „სხვა შუადღეში“.

- საკვლევი საკითხებიდან ტელევიზიებში ყველაზე მეტი მასალა სქესობრივი განათლების საჭიროებას ეხებოდა და მასზე საინფორმაციო გამოშვების გარდა ყველა ტიპის გადაცემაში ისაუბრეს.

- 2019 წლის განმავლობაში სქესობრივი განათლების საკითხებს ტელევიზიები უმეტესად გადაცემის ბლოკს უთმობდნენ.

- აჭარის ტელევიზია თემას უმეტესად პირდაპირ და პოზიტიურად აშუქებდა. მას სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების მიმართ ერთგვარი სამაუწყებლო პოლიტიკა ჰქონდა.

- მონიტორინგის პერიოდში პირდაპირი გაშუქებისას ტელევიზიები სქესობრივი განათლების საკითხებს უმეტესად პოზიტიურად აშუქებდნენ მაშინ, როდესაც ირიბი გაშუქებისას ტონი, თითქმის, ყოველთვის ნეიტრალური იყო.

- სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქებისას ტელევიზიების წყარო ძირითადად საზოგადოება იყო, ირიბი გაშუქებისას კი საკითხს ყველაზე ბევრჯერ თავად ჟურნალისტები განიხილავდნენ.

- ტელევიზიებში სქესობრივი განათლების სწავლების საკითხს უფრო ხშირად ფსიქოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განიხილავდნენ, ვიდრე განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და კანონმდებლები.

რადიო:

- მონიტორინგის სუბიექტი რადიოები სქესობრივი განათლების საკითხებს ძირითადად ირიბად აშუქებდნენ.

- რადიოებს სამონიტორინგო პერიოდში საკვლევი საკითხები ნეგატიურად საერთოდ არ გაუშუქებიათ.

- რადიოებში სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების დროს რესპოდენტთა შორის სქესობრივი ბალანსი დაცული არცერთ შემთხვევაში არ იყო.

- 2019 წელს მონიტორინგის სუბიექტ რადიოებს სქესობრივი განათლების პროტესტთან დაკავშირებული ამბები საერთოდ არ გაუშუქებიათ.

- სამონიტორინგო პერიოდში სქესობრივი განათლების საკითხებს კვლევის სუბიექტი მედიებიდან ყველაზე ნაკლები დრო რადიომ დაუთმო.

ონლაინ მედია:

- სამონიტორინგო ონლაინ მედიიდან GHN.ge-ის საკვლევ საკითხებზე არცერთი მასალა არ გამოუქვეყნებია.

- ონლაინ მედიას 2019 წლის განმავლობაში საკვლევი საკითხებისთვის დრო მხოლოდ იანვარში არ დაუთმია.

- ონლაინ მედიიდან edu.aris.ge-ისა და newposts.ge-ის კვლევის საკითხები მხოლოდ პირდაპირ აქვთ გაშუქებული, მხოლოდ ირიბი გაშუქება კი არცერთ მედიაში არ გვხვდება.

- ონლაინ მედიაში ნეგატიური მასალების ნახევარი saqinform.ge-ზეა გამოქვეყნებული.

- ონლაინ მედიიდან mshobleli.ge და newposts.ge ის მედიაგამოცემებია, რომლებზეც გაშუქების სამივე ტონი გვხვდება.

- ონლაინ მედიაში პოზიტიურად სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების გარდა, სამივე ქვეკატეგორია გაშუქდა.

- ონლაინ მედიასაშუალებებს შორის iPress.ge ერთადერთია, რომელსაც საკვლევი საკითხები მხოლოდ ნეიტრალურად აქვს გაშუქებული.

- ონლაინ მედიაში საკვლევ საკითხებს ნეგატიური ტონი ძირითადად ირიბი გაშუქების დროს ჰქონდათ.

- ონლაინ მედიაში წყაროების უმეტესობა სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქების დროს საუბრობდა და მათი რაოდენობა თითქმის ორჯერ მეტია, თემის ირიბი გაშუქების დროს მოსაუბრე რესპონდენტებზე.

- ონლაინ მედიაში საკვლევ საკითხებზე პირდაპირი გაშუქებისას მხოლოდ სასულიერო პირები და მასწავლებლები საუბრობდნენ. მათ კვლევის თემაზე ირიბად არ უსაუბრიათ.

- 4 ონლაინ მედია გამოცემას: netgazeti.ge, interpressnews.ge, iPress.ge, saqinform.ge კაცი რესპონდენტი საერთოდ არ ჰყოლია. ამასთან, 1 ქალი რესპონდენტი მაინც კვლევის ყველა სუბიექტს ჰყავდა.

- ონლაინ მედიაში სქესობრივი განათლების საჭიროება ერთადერთი ქვეკატეგორიაა, სადაც ირიბი გაშუქება პირდაპირზე მეტია, დანარჩენ სამ კატეგორიაში პირდაპირი გაშუქება ირიბზე მაღალია.

- ონლაინ მედია კვლევის საკითხებზე საუბრისას ძირითადად ნეიტრალურ ტერმინებს იყენებდა.

ბეჭდური მედია:

- 2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხები მონიტორინგის სუბიექტი ბეჭდური მედიიდან მხოლოდ ჟურნალებს „თბილისელები“ და „ოჯახის მკურნალი“ არ გაუშუქებიათ.

  ბეჭდურ მედიაში ნეიტრალური და ნეგატიური ტონით გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

  ბეჭდურ მედიაში 2019 წლის იანვრის, ივლისის, სექტემბრისა და დეკემბრის განმავლობაში საკვლევ საკითხებზე არცერთი მასალა არ გამოქვეყნებულა.

  ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საჭიროების საკითხი ერთადერთია, რომელიც სამივე ფორმატით (ინტერვიუ, სტატია, ახალი ამბავი) გაშუქდა.

  ბეჭდური მედიიდან „ახალი განათლება“ ერთადერთია, რომელმაც თემა როგორც პოზიტიურად, ისე ნეიტრალურად ყველაზე მეტჯერ გააშუქა, ყველა ეს მასალა კი სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებას ეხებოდა.

  ბეჭდური მედიიდან ნეგატიური ტონი მხოლოდ გაზეთებში: “ასავალ-დასავალი” და “ალია” გვხვდება.

  გაზეთ „ასავალ-დასავალში“ საკვლევ საკითხებზე მომზადებული მასალებიდან ერთის გარდა, ყველას ნეგატიური ტონი ჰქონდა. მათი უმრავლესობა სქესობრივი განათლების მიმართ პროტესტის პირდაპირი გაშუქება იყო.

  მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან „ასავალ-დასავალის“ გარდა სხვა არცერთ მედიასაშუალებას სქესობრივი განათლების საკითხებზე ყალბი ინფორმაციის შემცველი მასალა არ მოუმზადებია.

  “ასავალ-დასავალს” სულ ინფორმაციის 7 წყარო ჰყავდა. აქედან 5 შემთხვევაში ის თავად ამ გაზეთის ჟურნალისტი იყო და ყველა ამ მასალას ნეგატიური ტონი ჰქონდა.

- **ბეჭდური მედიიდან ორივე სქესის რესპონდენტი მხოლოდ „ასავალ-დასავალს“ ჰყავდა, დანარჩენ მედიებს კი ან მხოლოდ ქალი რეპონდენტები ჰყავდათ, ან მხოლოდ - კაცები.**

- **ბეჭდურ მედიაში კვლევის საკითხების პირდაპირი გაშუქებისას რესპონდენტთა შორის გენდერული ბალანსი დაცული არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა.**

როგორ შევიტანოთ სქესობრივი განათლების საკითხები მედიის დღის წესრიგში: პრაქტიკული გზამკვლევი და რეკომენდაციები

2019 წელს სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების მედია მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ეს თემა არ არის მედიის დღის წესრიგის ნაწილი. უამრავი ყოველდღიური პოლიტიკური, სოციალური, კრიმინალური, სკანდალური თუ ტრაგიკული ამბავი სქესობრივი განათლების თემას მუდმივად ჩრდილავს. სწორედ ამის გამოა, რომ მისი მედიაში მოხვედრა ძირითადად რაიმე კონკრეტულ მოვლენას უკავშირდება. მედიასაშუალებების ინიციატივით მისი გაშუქების შემთხვევები ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ გვაქვს, ზოგ შემთხვევაში კი სულ რამდენიმე მასალას წარმოადგენს. რეალურად კი მედია ერთ-ერთი ძირითადი რგოლია სქესობრივი განათლების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება სქესობრივი განათლების საკითხების მედია გაშუქების გაზრდა?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი მედიისა და სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე მხარეების თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს და ამ თანამშრომლობას კომპლექსური, სტრატეგიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. არსებობს მედიისა და სხვადასხვა სექტორის ასეთი კოლაბორაციის არაერთი მაგალითი არაერთ საკითხზე, რომელმაც შედეგი გამოიღო. მთავარია, საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდოთ სწორი ფორმით და შინაარსით, რათა მედიაში თემის გააქტიურებამ უკუშედეგი არ მოგვცეს და კიდევ უფრო არ გააღრმაოს ის კრიტიკული დამოკიდებულება, რაც საზოგადოების ნაწილს სქესობრივი განათლების მიმართ აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვისაუბროთ რამდენიმე პუნქტზე, რომელიც ამ მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს:

- **სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბონ კოლაბორაცია ერთ ან რამდენიმე მედია საშუალებასთან ან/და ჟურნალისტთან**

- **სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მედია პარტნიორების/ჟურნალისტების სწორი ინფორმირება თემის მნიშვნელობისა და რაობის შესახებ**

- **სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა მოამზადონ ტრენინგ-კურსი უპირველესად პარტნიორი მედიებისა თუ ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლებისთვის**

- **სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა გააცნონ მედია პარტნიორებს სქესობრივი განათლების საკითხების სწორად გაშუქების ფორმა და სტანდარტი**

- **სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა კონკურსის, ჯილდოსა თუ ფულადი პრიზის დაწესებით მოახდინონ მედიის წარმომადგენლების წახალისება თემით დაინტერესებისათვის**

განვიხილოთ რას გულისხმობს თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი. გასათვალისწინებელია, რომ მედიასთან კოლაბორაცია უმეტესად ფინანსურ ვალდებულებებს უკავშირდება, რისი საშუალებაც შეიძლება დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას არ ჰქონდეს. ამიტომ, ამ შემთხვევაში სამოქმედო გეგმის პირველ პუნქტში ჩვენ კოლაბორაციაში მაინც და მაინც საგრანტო ტიპის პროექტს არ ვგულისხმობთ. ყოველთვის მოიძებნება ფორმატი, რომლითაც თემით დაინტერესებული მხარეები საერთო მიზნის მიღწევას შეძლებენ, იქნება ეს მემორანდუმი, საპარტნიორო ქსელი თუ სხვ. პირველ ეტაპზე საკითხზე ორიენტირებული მცირე გაერთიანებაც შეძლებს პროცესის გააქტიურებას. ამისთვის კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავად ამ მედია წარმომადგენლების სწორი ინფორმირება. სქესობრივი განათლების საკითხები საკმაოდ კომპლექსურია და მედიაში თემის ნაკლებ აქტუალობიდან გამომდინარე, ჟურნალისტები მასზე ამომწურავ ინფორმაციას არ ფლობენ. შესაბამისად, ხშირად სქესობრივ განათლებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი საკითხის გაშუქებისას ეს კავშირი მათი ყურადღების მიღმა რჩება და აქედან გამომდინარე თემის წამოწევაც არ ხდება. სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მომზადებული ტრენინგ-კურსები ჟურნალისტების ინფორმირებასთან ერთად სწორედ ამ ტიპის კავშირების წარმოჩენაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ვინაიდან ჟურნალისტიკა პრაქტიკული საქმიანობის უდიდეს კომპონენტს შეიცავს, აუცილებელია ტრენინგ-კურსი მოიცავდეს კონკრეტული მაგალითების განხილვას მათივე საქმიანობიდან. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ 2019 წლის მედია მონიტორინგისას გამოკვეთილ ტენდენციასა და კონკრეტულ შემთხვევებზე.

მართალია, მედია მონიტორინგის პერიოდში სქესობრივი განათლების თემა ხშირად არ შუქდებოდა, მაგრამ ძალიან ხშირი იყო ისეთი ფაქტების გაშუქება, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვს სქესობრივ განათლებასთან. თუმცა, ეს კავშირი ქვეყანაში არსებულ რეალობაში ერთი შეხედვით რთული შესამჩნევია, ამიტომაც უმეტესად ჟურნალისტებიც არ საუბრობდნენ მათზე. ხშირად გაშუქებული ასეთი ფაქტები შეგვიძლია სამ თემატურ კატეგორიად დავყოთ, ესენია:

1. პედოფილია და გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანთა მიმართ

გაშუქების კონკრეტული ფაქტები 2019 წელს:

- **რუსთავი 2, “კურიერი” - „პედაგოგმა მოსწავლეზე იძალადა - მასწავლებელმა მოსწავლეზე სექსუალური ძალადობა შვილიშვილების თვალწინ სცადა - ბრალდებულ პედაგოგზე "კურიერმა" დამატებითი დეტალები გაარკვია“**

- რუსთავი 2, “კურიერი” -„საბედისწერო გზავნილი - პედოფილია სკოლაში - მე-9 კლასელმა გოგონამ მასწავლებლისგან ინტიმური ხასიათის შეტყობინებები მიიღო“

- რუსთავი 2, “კურიერი” - გარყვნილი ქმედება სკოლაში

წლის ყველაზე გახმაურებული ფაქტი სხვადასხვა მედიაში:

- რუსთავი 2, “კურიერი” - 16 წლის დედა - 16 წლის გოგოს მტკიცებით, ნათესავმა გააუპატიურა - არასრულწლოვანი ორსულობას 9 თვე მალავდა

- ტვ იმედი, “ქრონიკა” - სავარაუდო გაუპატიურების შემთხვევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, “მოამბე” - შემთხვევა ლაგოდეხის რაიონში

- რადიო თავისუფლება - გაუპატიურების ფაქტი ლაგოდეხის რაიონში

- GHN.GE - 16 წლის გოგოს გაუპატიურებაში ბრალდებული 40 წლის მამაკაცი დაკავებულია

- AMBEBI.GE - ლაგოდეხში 16 წლის გოგომ 40 წლის ნათესავისგან ბავშვი გააჩინა? - მოზარდი მამაკაცს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს

- IPN.GE - სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლის ორსულობის ამბავი მაშინ გაიგეს, როდესაც მას მუცელი ასტკივდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს

- NETGAZETI.GE - “მოზარდი შოკურ მდგომარეობაშია“ – 16 წლის გოგო თქმით, მან ბავშვი გაუპატიურების შედეგად გააჩინა

- MSHOBLEBI.GE - "სკოლაში ცუდად გახდა და ასე გაიგო ორსულობის ამბავი" - არასრულწლოვანი ნათესავ მამაკაცს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს

- გაზეთი „ვერსია“ – „პოლიციამ არასრულწლოვანის გაუპატიურების ბრალდებით 1 პირი დააკავა“

- გაზეთი „ალია“ - "მითხრეს, 10 ათასი ლარი მოგვეცი, თუ გინდა შენ არ დაგაბრალოთო" – „რას ჰყვება კაცი, რომელსაც 16 წლის გოგოზე ძალადობაში ადანაშაულებენ“

- გაზეთი „ახალი თაობა“ - "ღამით მამამისი მოვიდა და გამაუპატიურა" - ლაგოდეხში 16 წლის გოგონას მოძალადის 14 წლის შვილზე დანიშვნა შესთავაზეს“

2. ნაადრევი ქორწინება და არასრულწლოვანთა მშობლობა

- **აჭარის ტელევიზია, "მთავარი", - ნაადრევი ქორწინების ფაქტები და რეაგირება**
- **რუსთავი 2, "შაბათის კურიერი" - ნაადრევი ქორწინების შედეგი**
- **რუსთავი 2, "დილამშვიდობისა საქართველო" - გოგონები რომლებიც სწავლასა და განვითარებას ნაადრევი ქორწინების გამო, ვერ ახერხებენ**
- **რუსთავი 2, "კურიერი" - "ტრადიცია" კანონდარღვევის წინააღმდეგ - არასრულწლოვნების გათხოვება და დანიშვნა ქვემო ქართლში - საგანგაშო სტატისტიკა მარნეულიდან"**
- **რუსთავი 2, "კურიერი" - არასრულწლოვან შვილზე ზეწოლისთვის დაკავებული მამა სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა**

3. ბავშვთა სექსუალური შანტაჟი და პირადი ცხოვრების კადრების გავრცელების მუქარა

- **ტვ პირველი, "დღის ამბები" - ბათუმი: პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები**
- **რუსთავი 2, "კურიერი" - „შანტაჟი ინტერნეტით - სექსუალური შანტაჟის მსხვერპლი მოზარდები"**
- **ტვ იმედი, "ქრონიკა" - „მოსწავლეების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები სოციალურ ქსელში - შსს-მ ფაქტზე გამოძიება დაიწყო"**

ეს არის გასულ წელს ამ სამ თემაზე მომზადებული მასალების მცირე ჩამონათვალი, რომელშიც შესაძლებელი იყო სქესობრივი განათლების სწავლების საკითხის წამოწევა, თუმცა ეს არ მომხდარა. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თემა ცალსახად ნეგატიურია და საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულებით არ სარგებლობს. ამიტომ, ასეთი ფაქტები ძალიან კარგი შესაძლებლობაა სქესობრივი განათლების საკითხების პოზიტიურ ჭრილში გაშუქებისთვის, რადგან ის ამ შემთხვევებში გაცილებით ნაკლებ მიუღებლობას იწვევს, ვიდრე თავად ეს ფაქტები. გარდა ამისა, სწორედ ამ ტიპის განათლებაა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციის მთავარი ბერკეტი ყველა ქვეყანაში, სადაც მისი სწავლება დაშვებულია. მედიას ასეთი კანონსაწინააღმდეგო შემთხვევების გაშუქებისას სქესობრივი განათლების საკითხების ინტეგრირება არაერთი ხერხით შეუძლია. კერძოდ:

- **პედოფილიის, ნაადრევი ქორწინების, არასრულწლოვანთა მიმართ გარყვნილი ქმედების, არასრულწლოვანთა მშობლობის, ბავშვების სექსუალური შანტაჟის ფაქტების შესახებ მომზადებულ მასალებში პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბრისას სქესობრივი განათლების სწავლება მოიყვანოს პრევენციის ერთ-ერთ გზად**

- **პედოფილიის, ნაადრევი ქორწინების, არასრულწლოვანთა მიმართ გარყვნილი ქმედების, არასრულწლოვანთა მშობლობის, ბავშვების სექსუალური შანტაჟის ფაქტების შესახებ მომზადებულ მასალებში მოუყვანოს იმ ქვეყნების მაგალითი, სადაც სქესობრივი განათლების სწავლებამ ამგვარი ფაქტების სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეამცირა**

- **პედოფილიის, ნაადრევი ქორწინების, არასრულწლოვანთა მიმართ გარყვნილი ქმედების, არასრულწლოვანთა მშობლობის, ბავშვების სექსუალური შანტაჟის ფაქტების შესახებ მომზადებულ მასალებში ჩაწეროს წყარო, რომელიც ფაქტის შეფასებისას სქესობრივ განათლებას პრევენციად წარმოაჩენს და/ან თავად ჟურნალისტმა სთხოვოს რესპონდენტს ამ თემაზე საუბარი**

- **პედოფილიის, ნაადრევი ქორწინების, არასრულწლოვანთა მიმართ გარყვნილი ქმედების, არასრულწლოვანთა მშობლობის, ბავშვების სექსუალური შანტაჟის ფაქტების შესახებ მომზადებულ მასალებში მაყურებელს გააცნოს სქესობრივი განათლების რა კომპონენტის ცოდნა იცავს ბავშვებს მსგავსი საფრთხეებისგან**

- **სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებმა გამოიყენონ სანდო და დამაჯერებელი რესურსები - სტატისტიკა/კვლევები/ანგარიშები**

  სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებმა რეაგირება მოახდინონ რესპონდენტების ნეგატიურ გზავნილებზე

- **სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებმა გამოიყენონ ნეიტრალური ტერმინები**

- **სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებმა იხელმძღვანელონ ეთიკური გაშუქების ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტებით**

ამ კონკრეტულ, მარტივ ნაბიჯებს შეიძლება დაემატოს ზემოთ ხსენებული კომპონენტიც, რაც საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მედიისთვის სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების გარკვეული სტანდარტის შეთავაზებას გულისხმობს. ამ სტანდარტის დანერგვას კი წამახალისებელი კონკურსები და პრიზები კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს. რასაც შეიძლება მოჰყვეს უფრო ფართო და მრავალფეროვანი ღონისძიებების გატარებაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. Gruber Enid , Joel W Grube, Adolescent sexuality and the media - a review of current knowledge and implications 2010-2014.
https://bit.ly/3rndKXo

2. Kupersmidt Janis B, Christina V. Malik, Tracy M. Scull. A Media Literacy Education Approach to Teaching Adolescents Comprehensive Sexual Health Education 2014. https://bit.ly/2KRc080

3. International Planned Parenthood Federation, https://www.ippf.org/ (12.12.2020)

4. TV MR GE. Nielsen Television Audience Measurement's Official License. http://www.tvmr.ge/ (20.06.2020)

5. UNESCO - Comprehensive sexuality education: A foundation for life and love campaign.
https://bit.ly/2WFEfcC (15.12.2020)

6. UNICEF – for every child, https://www.unicef.org/ (15.12.2020)

7. UNFPA – GEORGIA, https://bit.ly/3heVISH (12.12.2020)

8. TOP.GE. ქართული პროვაიდერების რეიტინგი 2019. https://top.ge/ (18.06.2020)

9. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, http://ncp.ge/ge/home (03.07.2020)

10.საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, https://bit.ly/3nOeFOG (20.07.2020)

11.საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა", სქესობრივი აღზრდის საკითხებზე X-XI კლასიის მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მათ მშობლებში ჩატარებული ხარისხობრივი კვლევის შედეგები. 2010. https://bit.ly/34CZWP1 (18.10.2020)

12. საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა", საგანი „მე და საზოგადოება" - სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და საჭიროებები ხარისხობრივი კვლევის ანგარიში 2016. https://bit.ly/3nOPewg (18.10.2020)

13.საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა", სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი განათლება გაშუქება ქართულ მედიაში - მედიამონიტორინგის შედეგები 2018. https://bit.ly/2M2BkbX (09.12.2020)

14. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო 2016. https://bit.ly/3hpmF6p (28.11.2020)

15. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის დადგენილება No459 - საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. Matsne.gov.ge https://bit.ly/2KyZOsN (21.11.2020)

16. საქართელოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება 2019. Ombudsman.ge https://bit.ly/2WGXkLq (10.12.2020)

მონიტორინგის სუბიექტი მედიასაშუალებების არქივი

1. აჭარის ტელევიზია. დილის ტალღა. Ajaratv.ge - FACEBOOK.COM https://bit.ly/2KxDv6v; https://bit.ly/3r7Wfdt (01.01.2019-31.12.2019)

2. აჭარის ტელევიზია. იმპულსი. Ajaratv.ge - FACEBOOK.COM https://bit.ly/38jNB3k; https://bit.ly/38jNB3k (01.01.2019-31.12.2019)

3. აჭარის ტელევიზია. კვირის მთავარი. Ajaratv.ge - FACEBOOK.COM https://bit.ly/37svYyU; https://bit.ly/37qqlkG (01.01.2019-31.12.2019)

4. აჭარის ტელევიზია. მთავარი. Ajaratv.ge - FACEBOOK.COM https://bit.ly/34lOnvn; https://bit.ly/37qqlkG (01.01.2019-31.12.2019)

5. აჭარის ტელევიზია. რადიოვიზია. FACEBOOK.COM - YOUTUBE.COM https://bit.ly/34m6PUI; https://bit.ly/37pvwS2; (01.01.2019-31.12.2019)

6. აჭარის ტელევიზია. სათქმელი Ajaratv.ge - YOUTUBE.COM https://bit.ly/38eKSI5; https://bit.ly/3r9AcTN (01.01.2019-31.12.2019)

7.აჭარის ტელევიზია. ჰეშთეგი. Ajaratv.ge - FACEBOOK.COM https://bit.ly/3ay0NV1; https://bit.ly/34kbsi8 (01.01.2019-31.12.2019)

8. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. ახალი დღე. 1tv.ge https://1tv.ge/show/akhali-dghe/ (01.01.2019-31.12.2019)

9. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. ახალი კვირა. 1tv.ge https://1tv.ge/show/akhali-kvira/ (01.01.2019-31.12.2019)

10. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად. 1tv.ge
https://1tv.ge/show/aqtualuri-tema/ (01.01.2019-31.12.2019)

11. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. მოამბე. 1tv.ge
https://bit.ly/3ntTP6X (01.01.2019-31.12.2019)

12. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. ნაშუადღევს. 1tv.ge
https://1tv.ge/show/nashuadghevs/ (01.01.2019-31.12.2019)

13. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. პირადი ექიმი. 1tv.ge
https://1tv.ge/show/piradi-eqimi/ (01.01.2019-31.12.2019)

14. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი. რეალური სივრცე. 1tv.ge
https://1tv.ge/show/realuri-sivrtse/ (01.01.2019-31.12.2019)
15. ტელეკომპანია იმედი. იმედის დილა. Imedi.ge
https://bit.ly/3mtx5CL (01.01.2019-31.12.2019)

16. ტელეკომპანია იმედი. იმედის დღე. Imedi.ge
https://bit.ly/3r5HLLl (01.01.2019-31.12.2019)

17. ტელეკომპანია იმედი. იმედის კვირა. Imedi.ge
https://bit.ly/3alB0z5 (01.01.2019-31.12.2019)

18. ტელეკომპანია იმედი. ექიმები. Imedi.ge
https://bit.ly/3amjvhW (01.01.2019-31.12.2019)

19. ტელეკომპანია იმედი. პირისპირ. Imedi.ge
https://bit.ly/3mAk1f2 (01.01.2019-31.12.2019)

20. ტელეკომპანია იმედი. ქრონიკა 20:00 საათზე. Imedi.ge
https://bit.ly/2K66xdP (01.01.2019-31.12.2019)

21. ტელეკომპანია პირველი. დღის ამბები. FACEBOOK.COM - YOUTUBE.COM
https://bit.ly/3mueWof; https://bit.ly/2Ki8inY (01.01.2019-31.12.2019)

22. ტელეკომპანია პირველი. პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად. FACEBOOK.COM - YOUTUBE.COM https://bit.ly/3numlWb; https://bit.ly/34n9RYW (01.01.2019-31.12.2019)

23. ტელეკომპანია პირველი. რეაქცია. FACEBOOK.COM - YOUTUBE.COM
https://bit.ly/3alj87j; https://bit.ly/3al2chn (01.01.2019-31.12.2019)

24. ტელეკომპანია პირველი. ღამის ამბები. FACEBOOK.COM - YOUTUBE.COM
https://bit.ly/3alj87j; https://bit.ly/2LPEAHH (01.01.2019-31.12.2019)

25. ტელეკომპანია რუსთავი 2. არჩევანი. Rustavi2.com
https://www.rustavi2.ge/ka/shows/archevani (01.01.2019-31.12.2019)

26. ტელეკომპანია რუსთავი 2. დილა მშვიდობისა საქართველო. Rustavi2.com https://www.rustavi2.ge/ka/shows/dila (01.01.2019-31.12.2019)

27. ტელეკომპანია რუსთავი 2. დილა მშვიდობისა საქართველო უქმეებზე. Rustavi2.com https://bit.ly/3mrQWC7 (01.01.2019-31.12.2019)

28. ტელეკომპანია რუსთავი 2. კურიერი 21:00 საათზე. Rustavi2.com https://www.rustavi2.ge/ka/shows/kurieri (01.01.2019-31.12.2019)

29. ტელეკომპანია რუსთავი 2. მთავარი ექიმი. Rustavi2.com https://bit.ly/3nwvj4W (01.01.2019-31.12.2019)

30. ტელეკომპანია რუსთავი 2. პ.ს. Rustavi2.com https://www.rustavi2.ge/ka/shows/P.S. (01.01.2019-31.12.2019)

31. ტელეკომპანია რუსთავი 2. სხვა შუადღე. Rustavi2.com https://bit.ly/2WmDmFM (01.01.2019-31.12.2019)

32. ტელეკომპანია რუსთავი 2. შაბათის კურიერი. Rustavi2.com https://bit.ly/2Ky787K (01.01.2019-31.12.2019)

33. რადიო თავისუფლება. დილის საუბრები. Radiotavisupleba.ge https://bit.ly/3gXWNOr (01.01.2019-31.12.2019)

34. რადიო თავისუფლება. საღამოს თავისუფლება. Radiotavisupleba.ge https://bit.ly/2WoHDIT (01.01.2019-31.12.2019)

35. რადიო იმედი. დილის არხი. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2MM49WB; YOUTUBE.COM (01.01.2019-31.12.2019)

36. რადიო იმედი. დღის არხი. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2VLK0UN; YOUTUBE.COM (01.01.2019-31.12.2019)

37. რადიო იმედი. მე დედა ვარ Imedi.fm https://bit.ly/2KvtwyY; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2MJVSCO; YOUTUBE.COM (01.01.2019-31.12.2019)

38. რადიო იმედი. ჩვენ აქ ვართ. Imedi.fm https://bit.ly/38Aa505; FACEBOOK.COM. https://bit.ly/2VHPH6i; YOUTUBE.COM (01.01.2019-31.12.2019)

39. რადიო იმედი. საღამოს არხი. Imedi.fm https://bit.ly/2L67q3a; FACEBOOK.COM. (01.01.2019-31.12.2019)

40. რადიო ფორტუნა. პულსი. Fortune.ge https://bit.ly/3gZnEJX (01.01.2019-31.12.2019)

41. რადიო ფორტუნა. 7 რჩევა ფსიქოლოგისგან. Fortune.ge
https://bit.ly/3gUnGmA (01.01.2019-31.12.2019)

42. საზოგადოებრივი რადიო. პიკის საათი. 1tv.ge
https://1tv.ge/show/pikis-saati/ (01.01.2019-31.12.2019)

43. საზოგადოებრივი რადიო. სახლისკენ. 1tv.ge
https://1tv.ge/show/sakhlisken/ (01.01.2019-31.12.2019)

44. საზოგადოებრივი რადიო. ღია სტუდია. 1tv.ge
https://1tv.ge/show/ghia-studia/ (01.01.2019-31.12.2019)

45. საზოგადოებრივი რადიო. ჩვენი სკოლა. 1tv.ge
https://1tv.ge/audio/chveni-skola/ (01.01.2019-31.12.2019)

46. საინფორმაციო სააგენტო AMBEBI.GE
https://www.ambebi.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

47. საინფორმაციო სააგენტო EDU.ARIS.GE
https://edu.aris.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

48. საინფორმაციო სააგენტო GHN.GE
https://ghn.ge/date/2019-01-01 (01.01.2019-31.12.2019)

49. საინფორმაციო სააგენტო Interpressnews.ge (IPN)
https://bit.ly/34ncMRo (01.01.2019-31.12.2019)

50. საინფორმაციო სააგენტო IPRESS.GE
http://ipress.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

51. საინფორმაციო სააგენტო MSHOBLEBI.GE
https://www.mshoblebi.ge// (01.01.2019-31.12.2019)

52. საინფორმაციო სააგენტო NEWPOSTS.GE
https://bit.ly/34ojNRF (01.01.2019-31.12.2019)

53. საინფორმაციო სააგენტო NETGAZETI.GE
https://netgazeti.ge/date/2019/01/ (01.01.2019-31.12.2019)

54. ონლაინ გამოცემა RADIOTAVISUPLEBA.GE
https://www.radiotavisupleba.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

55. ონლაინ გამოცემა SAQINFORM.GE
http://saqinform.ge/news/2019-01-01 (01.01.2019-31.12.2019)

56. გაზეთი. ალია. https://www.alia.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

57. გაზეთი. ასავალ-დასავალი.
https://bit.ly/2LDcKOu (01.01.2019-31.12.2019)

58. გაზეთი. ახალი განათლება.
https://bit.ly/3aiTbW8 (01.01.2019-31.12.2019)

59. გაზეთი. ვერსია. https://www.versia.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

60. გაზეთი. ახალი თაობა. https://akhalitaoba.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

61. გაზეთი. კვირის პალიტრა.
https://bit.ly/3murGvc (01.01.2019-31.12.2019)

62. გაზეთი. რეზონანსი. https://bit.ly/3r6nm8O (01.01.2019-31.12.2019)

63. ჟურნალი. თბილისელები.
https://www.tbiliselebi.ge/ (01.01.2019-31.12.2019)

64. ჟურნალი. ოჯახის მკურნალი.
https://bit.ly/3antgN0 (01.01.2019-31.12.2019)

65. ჟურნალი. სარკე. https://bit.ly/3r9Lrvo (01.01.2019-31.12.2019)

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა N1 - TVMR.GE-ს 2019 წლის მონაცემები
დიაგრამა N2 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N3 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების და სიხშირე პერიოდულობა
დიაგრამა N4 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N5- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N6 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N7 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების გენდერული ბალანსი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N8 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N9 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში
დიაგრამა N10 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ტელევიზიებში
დიაგრამა N11- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება გადაცემების ტიპის მიხედვით
დიაგრამა N12 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმატი ტელევიზიებში
დიაგრამა N13 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ტელევიზიებში
დიაგრამა N14 - სქესობრივი განათლების საკითხების ტონი პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას
დიაგრამა N15 - ტელემედიის ინფორმაციის წყარო სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას
დიაგრამა N16 - ტელევიზიების წყარო სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქებისას
დიაგრამა N17 - რესპონდენტთა სქესი სქესობრივი განათლების საკითხების ტელევიზიაში პირდაპირი და ირიბი გაშუქებისას
დიაგრამა N18 - გენდერული ბალანსი ტელევიზიებში სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი გაშუქებისას
დიაგრამა N19 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება რადიოებში
დიაგრამა N20 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა რადიოებში
დიაგრამა N21 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი რადიოებში
დიაგრამა N22- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რადიოებში
დიაგრამა N23 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი რადიოებში
დიაგრამა N24 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება რადიოებში
დიაგრამა N25 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რადიოებში
დიაგრამა N26 - სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი რადიოებში

დიაგრამა N27 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ონლაინ მედიაში
დიაგრამა N28 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ონლაინ მედიაში
დიაგრამა N29 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმა ონლაინ მედიაში
დიაგრამა N30 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში
დიაგრამა N31- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N32-სქესობრივი განათლების საკითხების წყაროების სქესი ონლაინ მედიაში
დიაგრამა N33 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N34 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტიპი ონლაინ მედიაში
დიაგრამა N35 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში
დიაგრამა N36 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში
დიაგრამა N37 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების სიხშირე და პერიოდულობა ბეჭდურ მედიაში
დიაგრამა N38 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ფორმატი ბეჭდურ მედიაში
დიაგრამა N39 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი ბეჭდურ მედიაში
დიაგრამა N40 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი კვლევის სუბიექტებში
დიაგრამა N41 - რესპონდენტთა სქესი ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას
დიაგრამა N42 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების ტონი რესპონდენტის სქესის მიხედვით ბეჭდურ მედიაში
დიაგრამა N43- გენდერული ბალანსი ბეჭდურ მედიაში სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N1- სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქება ტელევიზიებში
ცხრილი N2 - რესპონდენტთა სქესი სქესობრივი განათლების საკითხების ტელევიზიებში გაშუქებისას
ცხრილი N3 - სქესობრივი განათლების საკითხების პირდაპირი და ირიბი გაშუქების წყაროები რადიოებში
ცხრილი N4 - სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქების წყაროები რადიოებში
ცხრილი N5 - ბეჭდური მედიის წყარო სქესობრივი განათლების საკითხების გაშუქებისას